# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 24 ივლისი, 2008 წელი.

№ 136 (5994)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge | ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika | ფასი 50 თეთრი.




# რევოლუციის მოლოდინი

**უმაღლესი** *განათლების დიპლომებისა არ იყოს, ერთ სულ მოსახლეზე რევოლუციონერთა რაოდენობითაც საქართველო გაცილებით უსწრებს ისეთ მაღალგანვითარებულ ქვეყნებს, როგორებიც არიან ნიდერლანდები, გერმანია, ფინეთი და დიდი ბრიტანეთი (რომ არაფერი ვთქვათ ბრაზილიასა და იაპონიაზე).*

2-4

# ЕСЛИ ЗАВТРА ВОЙНА...

7



# აფხაზეთს ომი არ სურს

Guardian

10

## ჭაბუა ამირეჯიბი:

# გლობალიზაცია ერებისა და კაცობრიობის მტერია, მის წინააღმდეგ ვიბრძოდი მთელი ჩემი ცხოვრება და ვიბრძოლებ სიკვდილის შემდეგაც კი - იმით, რაც დამიწერია

4

# შპს „თბილისის წყალი“ თბილისელებს აიძულებს, რომ თავიანთი ხარჯით დააყენონ წყლის მრიცხველები

12



# როცა არჩევნების გრიგალმა გადაიარა

3-6

⊙ პოზიცია

# რევოლუციის მოლოდინი



**„რევოლუცია“ ლათინური სიტყვაა და შემობრუნებას, გადატრიალებას, ანუ ბუნების, საზოგადოებისა და შემეცნების მოვლენათა ღრმა თვისებრივ, ნახტომისებურ ცვალებადობას ნიშნავს.**

„რევოლუციების ეპოქა“ მე-16 საუკუნეში, ნიდერლანდების ბურჟუაზიული რევოლუციით დაიწყო. მას მე-17 საუკუნეში ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუცია მოჰყვა. მე-18 საუკუნის ბოლოდან დღემდე, რევოლუციები „პანტა-პუნტით“ ეწყობოდა საფრანგეთსა და რუსეთში.

მე-20 საუკუნის დასასრულსა და 21-ე საუკუნის დასაწყისში საქართველომაც „აუბა მხარი“ ე.წ. „მდიდარი რევოლუციური წარსულის“ ქვეყნებს და ჯერჯერობით ორი ე.წ. რევოლუცია „გამოაცხო“.

მიუხედავად იმისა, რომ 1991-92 წლების სახელმწიფო გადატრიალებას „დემოკრატიული რევოლუცია“, ხოლო 2003 წლის ხელისუფლების „მალულ გადაბარებას“ „ვარდების რევოლუცია“ უწოდეს, ყველამ კარგად იცის ამ „საზოგადოებისა და შემეცნების მოვლენათა ღრმა თვისებრივი, ნახტომისებურ ცვალებადობათა“ ნამდვილი სახელები.

მიუხედავად იმისა, რომ ეს წერილი განვლილ რევოლუციებს არ ეძღვნება, მაინც საჭიროდ ჩავთვალე, „თხლად“ შემეხსენებინა მკითხველისთვის „საქართველოს რევოლუციური წარსული“.

უმაღლესი განათლების დიპლომებისა არ იყოს, ერთ სულ მოსახლეზე რევოლუციონერთა რაოდენობითაც საქართველო გაცილებით უსწრებს ისეთ მაღალგანვითარებულ ქვეყნებს, როგორებიც არიან ნიდერლანდები, გერმანია, ფინეთი და დიდი ბრიტანეთი (რომ არაფერი ვთქვათ ბრაზილიასა და იაპონიაზე).

ალბათ ამ საქმეში მხოლოდ რუსეთსა და საფრანგეთს ჩამოვრჩებით, მაგრამ სად ჩვენი რევოლუციონერების „ხარისხი“ და სად მათი. როგორ შევადარებ ერთმანეთს ლევან რამიშვილსა და რობესპიერს, ან თეა თუთბერიძესა და სოფია პეროვსკაიას. რა ენა მომიბრუნდება (ეჰ!!!).

რევოლუციის კლასიკურ განმარტებაში აღნიშნულია, რომ „რევოლუცია არის საზოგადოების მოძრაობა თვისებრივად ახალი, უფრო მაღალი ეტაპისკენ“.

გამომდინარე იქედან, რომ საქართველოს მოსახლეობამ ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური განვითარების უფრო მაღალ ეტაპზე გადასვლის ნაცვლად, უფრო უკან დაიხია, ე. წ. „ქართული რევოლუციები“, რბილად რომ ვთქვა, „უხარისხონი“ აღმოჩნდნენ (ისევე, როგორც თითქმის ყველა იმპორტირებული საქონელი, თურქული პამიდვრის, ან ჩინური ბოტასების არ იყოს).

სამწუხაროდ, ახალი, 21-ე საუკუნის პირველი ათწლეულის მიწურულს, კიდევ ერთი რევოლუციის პირას აღმოვჩნდით.

რევოლუციის მოხდენისთვის აუცილებელია განსაზღვრული ობიექტური, თუ სუბიექტური პირობები.

ამ პირობების, ანუ მიზეზების ჩამონათვალი არც ისე დიდია, მაგრამ მათგან მაინც გამოვყოფდი რამდენიმე მიზეზს, რომელთა ერთობლიობა განსაკუთრებით ამწვავებს რევოლუციისწინა მდგომარეობას.

„ახალი ქართული რევოლუციის“ ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი უმძიმესი საერთო-ეკონომიკური მდგომარეობაა.

1. განუწყვეტელი ინფლაცია, რომელიც გამოწვეულია ერთის მხრივ საერთაშორისო ბაზარზე საწვავის (ნავთობპროდუქტებისა და გაზის) გაძვირებით, ხოლო მეორეს მხრივ ლარის ხელოვნურად გამყარების პოლიტიკით (ეს „პოლიტიკა“ მიმართულია უცხოეთიდან საქართველოში შემოსული ვალუტის, ანუ საქართველოდან საშოვარზე გასული მოქალაქეების მიერ საკუთარი ოჯახებისთვის გამოგზავნილი ფულის წინააღმდეგ).

2. უკანასკნელი ექვსი თვის განმავლობაში ჩატარებული არჩევნების გამო გაიზარდა ხელისუფლების მიერ განხორციელებული ე.წ. „სოციალური პროგრამების“ რაოდენობა, რომლებიც ძირითადად ერთჯერად, კამპანიურ ხასიათს ატარებდა და დიდი დანახარჯებისა და პიარის მეტი არავითარი შედეგი არ მოუტანია.

3. მოსახლეობის დიდ ნაწილს არ გააჩნია არამც თუ მუდმივი, დროებითი სამუშაოც კი. ხოლო მათთვის, ვინც სადღაც მაინც მუშაობს, არ არსებობს არავითარი გარანტია, რომ მთავრობის მიერ „დასავლეთის გამოცდილების გაზიარების შედეგად მიღებული“ რომელიმე დადგენილების შემდეგ არ დაკარგავენ სამსახურს („სამსახურის დაკარგვად“ შეიძლება ჩაითვალოს როგორც ე.წ. „ოპტიმიზაცია“, ასევე სამუშაო პირობების გაუარესება, ანუ გადასახადების გაზრდა, ახალი გადასახადებისა და აკრძალვების შემოღება. ხელისუფლების მიერ საკუთარი ბაზრის დაუცველობა (იაფფასიანი და უხარისხო უცხოური პროდუქციის შემოტანის გამარტივებაა) დ.ა.შ.).

4. ეკონომიკური უკუსვლის ერთ-ერთი მაჩვენებელია მოსახლეობის დიდი ნაწილის მიერ აღებული სხვადასხვა სახის სესხები, რომელთა დაფარვა, მცირე გამონაკლისების გარდა, ძალიან მტკივნეულად აისახება ნებისმიერი ოჯახის ბიუჯეტზე.

5. ეროვნული ფასეულობების ხელყოფა, რაც უმძიმეს დარტყმას აყენებს ქართულ განათლებასა და კულტურას (მიმდინარეობს საქართველოს გადაქცევა ბატისტასდროინდელ კუბად).

6. საგარეო პოლიტიკის არასწორი მიმართულებით წარმართვა, რაც ერთ-ერთი დამამუხრუჭებელი მიზეზი ხდება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საქმეში.

7. ხელისუფლებისა და ძალოვანი სტრუქტურების მიერ სასამართლო სისტემის საკუთარ იარაღად გადაქცევა. ეს პრობლემა ერთის მხრივ, მოსახლეობის დაუცველობის მაჩვენებელია, ხოლო მეორეს მხრივ, ნორმალური ინვესტიციების განხორციელებასაც უშლის ხელს (ძალიან გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ დღეს, ფაქტობრივად, ე.წ. „კომენდანტის საათია“ გამოცხადებული).

8. და კიდევ მრავალი სხვა მიზეზი, რომლებიც თქვენთვის უჩემოდაც ცნობილია.

როგორც ვხედავთ, ქართული დღევანდელობა სრულად აკმაყოფილებს რევოლუციის მოხდენის ობიექტური პირობების ყველა პუნქტს, გარდა ერთისა (არადა ის ერთია ყველაზე მთავარი): — საქართველოში არ არსებობს პოლიტიკური ძალა, რომელსაც აქვს მკაფიოდ ჩამოყალიბებული იდეა, რომლის გარშემო მოხდება რევოლუციურად განწყობილი საზოგადოების დარაზმვა.

ასეთი „მკაცრი“ სიტყვების არ შეგეშინდეს ძვირფასო მკითხველო, რადგანაც სულაც არ არის სავალდებულო, რომ ზემოთ ნახსენები „იდეა“ ფაშისტური, ან კომუნისტური იდეების მსგავსი იყოს და არც სიტყვა „დარაზმვა“ ნიშნავს შეიარაღებული ფორმირებების ჩამოყალიბებას. უბრალოდ, აუცილებელია, რომ არსებული პრობლემების გადაჭრის **რეალური და საქართველოს მოსახლეობისთვის მისაღები პროგრამა იყოს.**

სპეციალურად გავუსვი ხაზი **„რეალურ და საქართველოს მოსახლეობისთვის მისაღებ პროგრამას“,** რადგანაც ის პროგრამები, რასაც ხელისუფლება და „არსებული პოლიტიკური ძალები“ გვთავაზობენ, აბსურდული და მიუღებელია (რაღა დაგიმალოთ და მე მგონი „არსებულ პოლიტიკურ ძალებს“ არანაირი პროგრამები არ გააჩნიათ).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, **საქართველო „სოციალური რევოლუციის“ პირას იმყოფება.**

სამწუხაროდ, 21-ე საუკუნის საქართველო **ნამდვილი სოციალური რევოლუციის** წინაშე იმყოფება და მდგომარეობა, რომელსაც „რევოლუციური სიტუაცია“ ეწოდება, დღითი დღე უფრო იძაბება.

მიუხედავად იმისა, რომ 2007 წლის ნოემბერში, პრეზიდენტის ინსტიტუტის გაუქმების რევოლუციური იდეა წარმოიშვა, „პოლიტიკური რევოლუცია“ მაინც ვერ განხორციელდა.

კლასიკური განმარტებით „პოლიტიკური რევოლუცია“ „სოციალური რევოლუციის“ ერთ-ერთ უმთავრეს წინაპირობას წარმოადგენს და მისი დანიშნულება რევოლუციური ძალების მიერ სახელმწიფო ხელისუფლების მოპოვებაა.

გაერთიანებული ოპოზიციის მიერ წარმოთქმული პრეზიდენტის ინსტიტუტის გაუქმების იდეა ძალიან „უნიათოდ აიტაცეს“ დანარჩენმა ოპოზიციურმა ძალებმა. ნათლად ჩანდა, რომ ისინი „ზრდილობის გამო“, იძულებით უჭერდნენ მხარს ამ იდეას. ასევე უნიათოდ დაუჭირეს მხარი პატრიარქის მიერ კონსტიტუციური მონარქიის შემოღების იდეასაც.

არსებული პოლიტიკური ძალების მიერ რევოლუციის მთავარი დანიშნულების, ანუ სახელმწიფო ფორმაციის შეცვლის იგნორირებამ გამოიწვია ხალხის მიერ მოთხოვნილი რევოლუციის ჩანაცვლება „ზედაფენის“, ანუ “სასახლის გადატრიალების“ მცდელობით.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი „პოლიტიკური ლიდერების“ უმრავლესობას თავიანთი კაბინეტების კედლები მოფენილი აქვთ ყავისფერ ჩარჩოებში ჩასმული, უცხოური პოლიტიკური სკოლების მიერ გაცემული სერტიფიკატებით, მაინც მგონია, რომ მათ (ორიოდე გამონაკლისის გარდა), არავითარი თეორიული ცოდნა არ გააჩნიათ არა მხოლოდ რევოლუციების, საერთოდ პოლიტიკური ბრძოლის შესახებაც კი.

ამ „არცოდნამ“ (რომელიც მოცემულ შემთხვევაში საკმაოდ დიდი „ცოდვაა“) სრულიად ლოგიკური შედეგი მოიტანა.

დღევანდელმა ხელისუფლებამ ძალიან კარგად იციან ქვეყანაში არსებული მდგომარეობა.

მთლად დარწმუნებით ვერ ვიტყვი, რომ საქართველოს ხელისუფლების ყველა წევრმა კარგად იცის ის შედეგები, რაც ნამდვილ, სოციალურ რევოლუციას მოჰყვება, მაგრამ სააკაშვილის მიერ გადადგმული ზოგიერთი ნაბიჯი გვაჩვენებს, რომ ის შეეცდება გარკვეული ღონისძიებების გატარების შემდეგ ოდნავ მაინც გამოასწოროს არსებული ვითარება.

ნაციონალური მოძრაობის საპარლამენტო სიის პირველი ათეულის დასახელებისთანავე ცხადი გახდა პრეზიდენტის დამოკიდებულება მომავალი (ანუ დღევანდელი) პარლამენტის მიმართ. სააკაშვილმა დაუფარავად განაცხადა, რომ მას არ სჭირდება ისეთი „უმართავი“ პარლამენტი, როგორიც წინა მოწვევის პარლამენტი იყო.

წინა მოწვევის პარლამენტში წარმოქმნილი ოპოზიციური ფრაქცია „დემოკრატიული ფრონტი“ მთლიანად დაკომპლექტებული იყო ნაციონალური მოძრაობის სიით გასული დეპუტატებით.

ასეთი „ობსტრუქციის“ ერთ-ერთი მიზეზი არასწორი საკადრო პოლიტიკა გახლდათ.

მაშინდელ „უმრავლესობას“ ფაქტობრივად გიგა ბოკერია (ანუ „თავისუფლების ინსტიტუტი“), ძალიან იოლად მართავდა. სწორედ ამიტომ იქნა მიღებული მრავალი ისეთი კანონი, რომლებმაც ძალიან ცუდად იმუშავეს და ლომის წილი შეიტანეს დღევანდელი მდგომარეობის ძმილწევაში).

ხშირ შემთხვევებში ასეთ კანონებს გარკვეული ცვლილებები დასჭირდათ და ამიტომაც 2004-2008 წლებში მიღებული კანონების საკმაოდ დიდ რაოდენობაში ცვლილებები უფრო მეტი მოცულობისაა, ვიდრე თავად კანონი.

დღევანდელი უმრავლესობა ნამდვილად არ დაუშვებს ასეთი სახის ლაფსუსებს, რადგანაც პეტრე ცისკარიშვილს აღმასრულებელ ხელისუფლებაში ყოფნის საკმაო გამოცდილება გააჩნია და შეეცდება რეალურად მომუშავე, ნორმალური კანონების მიღებას. ზოგიერთებისგან განსხვავებით, პეტრე ცისკარიშვილმა კარგად იცის არსებული პრობლემები, რადგანაც ის ჯერ კახეთის რეგიონს, ხოლო შემდგომ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხელმძღვანელობდა, თანაც ძალიან დაძაბულ პერიოდში. მის ერთ-ერთ წარმატებად შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ შარშან დეკემბერში მანდარინის გასაღებასთან დაკავშირებით გლეხებს პრობლემები არ ჰქონიათ (არადა ძალიან ბევრი „მანდარინის ომს“ ელოდა).

ასევე არ იქნება უმრავლესობის წევრთა „გადინება“ და მათგან ისეთი სახის ოპოზიციური ფრაქციების შექმნა, როგორიც წინა პარლამენტში გვქონდა.

ზოგიერთი „ოპოზიციონერის“ „ჭეშმარიტების გზაზე დადგომასა“ და „თვალის ახელას“, მაშინდელი „უმრავლესობის“ ლიდერების გაუნათლებლობამ და დიქტატისკენ მიდრეკილებამ შეუწყო ხელი. ყოფილი პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე დეპუტატთა მხრიდან ასეთი სახის „გამოხტომებს“ დუმილით აძლევდა ვიზას, რადგანაც მაშინდელი „უმრავლესობის“ თავმჯდომარე, რბილად რომ ვთქვა, მაინცდამაინც არ მოსდიოდა თვალში.

დღევანდელი პარლამენტარები კი ცისკარიშვილს იმდენს ნამდვილად ვერ გაუბედავენ, რასაც მაია ნადირაძეს უბედავდნენ (ამის ერთ-ერთი მიზეზი ყველამ ვიცით).

კიდევ ერთი დამაფიქრებელი მომენტი: არსად ჩანან ბოკერიასა და ნადირაძის „ღირსეული“ მემკვიდრეები წიკლაური და ხერხეულიძე.

პარლამენტში არსებული „ოპოზიციაც“, პარლამენტარობაზე უარნათქვამ ოპოზიციაზე პოლიტიკურად (და არა მარტო პოლიტიკურად) გაცილებით უფრო მსუბუქი წონისაა.

აქედან გამომდინარე, სოციალური რევოლუციის ზემოდან განხორციელებისთვის, პრეზიდენტი უკეთეს პარლამენტს ვერ ინატრებდა.

რაც შეეხება აღმასრულებელ ხელისუფლებას:

არჩევნებამდე ყველასთვის ცხადი იყო, რომ თებერვალში დანიშნული მთავრობა გარდამავალი ეტაპისთვის იყო განკუთვნილი (საწყალი ჩერნენკო გამახსენდა. ისიც ხომ ანდროპოვისა და გორბაჩოვის ერთმანეთის საწინააღმდეგო პოლიტიკურ კურსებს შორის იყო „გაკვეხებული“).

არ მინდა დავიჯერო, რომ სააკაშვილს ეკა ტყეშელაშვილი ტალეირანი ჰგონია და იმედი აქვს, რომ ის ისეთ დიპლომატიურ ხლართებს გააბამს, რომ საწყალ ლავროვს სულ „ვაი დედას“ (რა თქმა უნდა რუსულად) აძახებინებს (ნეტა ეკა ტყეშელაშვილმა რუსული თუ იცის?).

იხ. 4 გვ.

⊙ ინფორმაცია

## უკრაინის პრეზიდენტი გენპროკურატურაში დაიბარეს

**უკრაინის პრეზიდენტი ქვეყნის გენერალურ პროკურატურაში დაიბარეს, სადაც ვიქტორ იუშჩენკომ 2004 წელს მოწამვლის ფაქტთან დაკავშირებით ჩვენება უნდა მისცეს, - იუწყება სააგენტო “იტარ-ტასი“.**

ვიქტორ იუშჩენკო ახალ გამომძიებელს გალინა კლიმოვიჩს უკვე მეორედ ხვდება. კლიმოვიჩს უკრაინაში დაკვეთილი მკვლელობების გახსნაში გამოცდილ სპეციალისტად მიიჩნევენ.

გამოძიების წინასწარი ვერსიით, ვიქტორ იუშჩენკო უკრაინის ეროვნული უსაფრთხოების სამსახურის ყოფილი ხელმძღვანელის აგარაკზე სადილის დროს მოწამლეს.

მას შემდეგ უკრაინის პრეზიდენტი ექიმების მუდმივი კონტროლის ქვეშ იმყოფება. ამ ხნის მანძილზე იუშჩენკომ ნარკოზის ქვეშ 24 ოპერაცია გადაიტანა.

ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში ავსტრიულ გაზეთ „შტანდარტთან“ უკრაინის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ მისთვის ცნობილია ამ საქმის დამკვეთები, რომელთა ვინაობის დასახელებაც გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე არ შეუძლია.

**ინტერპრესნიუსი**

მკვახე შეძახილი

# როცა არჩევნებს ბრიგადმა გადაიარა



**არჩევნები გადავიარეთ. რაც მოხდა, სავსებით მოსალოდნელი იყო და დემოკრატიის ილუზიები ისევე გაქრა, როგორც უკეთესი მომავლის იმედები.**

**ან რისი იმედი უნდა გვქონოდა? ხალხი გაიმარჯვებდა? დამშეული ხალხი, რომლის დიდ ნაწილს პურის ფული ენატრება?**

რატომ დაუშვა ოპოზიციამ გამყალბებლების თარეში და რატომ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს ოპოზიციის სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენლები მაჟორიტართა არჩევნების დროს?

რატომ ვერ დაიცვა ხალხის ერთმა ნაწილმა თავისი ხმები ან რატომ გაყიდა ხალხის მეორე ნაწილმა საკუთარი მომავალი რამდენიმე ლარად?

რატომ შებრძანდნენ პარლამენტში ვითომ „ოპოზიციური დეპუტატები“? ზოგი ვაჟკაცად გვაჩვენებდა თავს, ზოგი ქვეყნის პატრიოტად, სხვები კი დიდ მოაზროვნედ და ქრისტიან-დემოკრატებად გამოგვეცხადნენ...

ასეთები ვართ ქართველები და რას იზამ? „ბედნიერი ერი“ ვართ, ილიამ რომ გვიწოდა. არც აკაკიმ დაგვინდო, ვაჟა კი გვევედრებოდა: **„ღმერთო, შეაყვარე ქართველებს საქართველო!“**

არაა ადვილი ასეთი საქართველოს შეყვარება. ქვეყნის, სადაც ურცხვად გაითელა პატიოსნება და სინდისი ხელისუფლების ძალაუფლების შენარჩუნებას შეეწირა.

დაპირებებიც ბევრი იყო, მაგრამ ხალხი რატომ მოტყუვდა?

„საქართველო სიღარიბის გარეშე!“ – ბრძანეს და ასრულების ჟამიც დადგა. ფასებიც ისე გაიზარდა, რომ ამ ქვეყანაში ცხოვრება ღარიბებისთვის გაუსაძლისი გახდა. შიმშილი კი ღარიბების ამ ქვეყნიდან განდევნის ყველაზე ეფექტიანი გზა ყოფილა.

„საქმე ლაპარაკის გარეშეო“ და ჯერ საწყალ გარემოვაჭრეებს დაერივნენ, შიმშილით რომ სწრაფად ამოწყდნენ, შემდეგ პოლიციამ და „სპეცნაზმა“ გამოაჩინა არჩევნების წინ დამალული კლანჭები და ოპოზიციონერთა ცემა-ტყეპა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა.

ცემა-ტყეპას კიდევ გაუძლებდა კაცი, მაგრამ უარესი ტერორის მოლოდინში ვართ.

გინახავთ სადმე ნორმალური ქვეყანა, სადაც საკუთარი ერის წარმომადგენლები ასეთ დისკრიმინაციულ პირობებში არიან. თურქებმა აეროპორტი ხელში ჩაიგდეს და ქართველ მუშებს ხუთჯერ ნაკლებ ხელფასს აძლევენ, ვიდრე თურქეთიდან ჩამოყვანილებს. ამას ქვია საზღვარგარეთიდან შემოსული ინვესტიციების სიკეთე?

როგორც პრეზიდენტმა სააკაშვილმა ერთ-ერთ ინტერვიუში ბრძანა, **საქართველოში 10 მილიარდერი გვყოლია!** ორი მილიარდერი ყველამ ვიცით (მათი მილიარდების წყარო რუსეთიაძ, მაგრამ დარჩენილი რვა ვინღაა? იქნებ ჟურნალისტებმა გამოიძიონ ვინ არიან და ამ ლატაკ საქართველოში როგორ მოახერხეს მილიარდების დაგროვება? ხალხის გალატაკების ხარჯზე ხომ არა?

თუ საქართველოში ათამდე მილიარდერი გვყავს (ასე ბრძანა პრეზიდენტმაძ, რატომ მათი ინვესტიციები არ ჩანს? იქნებ ჩამოგვითვალოს ეს მილიარდერები და მათ მაინც ვკითხოთ, თუ რატომ იყიდება ქართული მიწა და წყალი უცხოელებზე. **ალბათ იმიტომ, რომ მხოლოდ უცხოელებს აქვთ პრივილეგიები ქართულ მიწაზე? ქართველები კი მხოლოდ მონური შრომისა და უცხოელთა მომსახურებისთვისაა განწირული.**

დღეს ალბათ უმთავრესი კითხვაა, თუ რას მოგვიტანს უთავბოლო პრივატიზაცია? მოხვდება თუ არა ქართული მიწა და წყალი მთლიანად უცხოელთა ხელში, მივიღებთ თუ არა ახალ „ყარაბაღს“ სამხრეთ საქართველოში და მოუწევს თუ არა ქართველს ამ დალოცვილი მიწის დატოვება ისევე, როგორც აფხაზეთიდან მოუწია?

განათლება, მეცნიერება, კულტურა ამ ქვეყნისთვის ზედმეტი ფუფუნება აღმოჩნდა. ქართველს სულიერება უნდა გამოაცალონ, რათა მათ მონური ყოფა უდრტვინველად მიიღონ. ამიტომაც ატარებენ იმ რეფორმებს, რომლითაც ქართველის სულიერებას საერთოდ ამოძირკვავენ.

რატომ დახურა მიხეილ თუმანიშვილის სახელობის თეატრის დირექტორმა სპექტაკლი? იმიტომ, რომ ჩვენი სასიქადულო და უსაყვარლესი მსახიობი ნინელი ჭანკვეტაძე მონაწილეობდა?

და შექმნეს ჟურნალისტებმა გაერთიანება ერთი მიზნით: **დაიცვან სიტყვის თავისუფლება!!!**

დიახ, „სიტყვის თავისუფლება“ ნამდვილად დასაცავია ქვეყანაში, რომელიც დემოკრატიის გზის ძიებაში „ტოტალიტრიზმის გზაზე“ აღმოჩნდა.

არჩევნების ჩატარებაც ამისი მკაფიო დადასტურებაა და არცაა გასაკვირი ის, რაც მოხდა. ისევ ის შედეგები იქნება, რამდენი არჩევნებიც არ უნდა ჩავატაროთ, თუ თუნდაც არჩევნების წინ მთელი ოპოზიცია არ გაერთიანდება და ერთ „სახელმწიფო კანდიდატს“ მხოლოდ ერთი ოპოზიციის წარმომადგენელი არ დაუპირისპირდება!

არის კი ასეთი ოპოზიციური ერთიანობის იმედი?

ჟურნალისტების შეხვედრა „ქართულ აკადემიასთან“ ძალიან მნიშვნელოვანი იყო და ჩვენც ჟურნალისტების მოთხოვნას მთლიანად ვუჭერთ მხარს. ჟურნალისტებისთვის თავისუფალი სიტყვის მიცემა, ცხადია, აუცილებელია, მაგრამ ჩვენი, „არაჟურნალისტების“ თავისუფალი სიტყვა რამდენადაა დაცული თვით ჟურნალისტების მხრიდან?

დღეს გვაქვს ერთადერთი ტელევიზია „კავკასია“, სადაც შეიძლება თავისუფალი სიტყვის თქმა, თუ ბატონმა დავით აქუბარდიამ მიგიწვიათ. პრესაშიც ერთადერთი გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკაა“, სადაც პუბლიცისტური წერილები გადაუკეთებლად ქვეყნდება და პუბლიცისტური სიტყვის თავისუფლება მართლაც დაცულია, მაგრამ სხვა გაზეთები ძირითადად ინტერვიუებზე არიან გადასული. აქ კი შენი „თავისუფალი სიტყვა“ ჯერ ჟურნალისტის მიერ იზღუდება, შემდეგ კი, ალბათ, რედაქტორის მიერ და ქვეყნდება ინტერვიუ, რომელშიც ხშირად ძირითადი აქცენტები ერთიდან სულ სხვა საკითხზეა გადატანილი (ჟურნალისტის გემოვნების მიხედვითძ, ზოგჯერ კი რომელიმე ნაწილი საერთოდ ამოღებულია.

განა ეს სიტყვის თავისუფლებაა?

**მართალია, „თავისუფალი სიტყვა“ დემოკრატიის მონაპოვარია, მაგრამ ხომ არ არის ის ძალზე საშიში ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში? განა ამ „თავისუფალ სიტყვას“ არ შეეწირა გურამ შარაძე? რამდენი აღმოჩნდა გისოსებს მიღმა?**

იხ. 6 გვ.

პროტესტი

## გიორგი გაჩეჩილაძე: თუ რუსეთი აფხაზეთს თავს არ დაანებებს, ოლიმპიადას ვერ ჩაატარებს

### საქართველოს მწვანეთა პარტიამ ევროპის პარლამენტიდან წერილი მიიღო

**ერთი თვის წინათ საქართველოს მწვანეთა პარტიამ ოფიციალურად მიმართა საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს, ევროპის მწვანეთა პარტიას, ევროპის პარლამენტს, ევროპის კომისიას, ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციას და მოითხოვა სოჭში ზამთრის ოლიმპიადისთვის მოსამზადებელი სამუშაოების შეჩერება დაფინანსების საკითხის საბოლოო გარკვევამდე, ასევე – სპეციალური მონიტორინგის ჯგუფის შექმნა, რომელიც ობიექტური დასკვნის საფუძველზე გადაწყვეტდა ზამთრის ოლიმპიური თამაშების რუსეთში ჩატარების მიზანშეწონილობას.**



მწვანეთა პარტიის ლიდერის გიორგი გაჩეჩილაძის განცხადებით, 2014 წლის ზამთრის ოლიმპიადის ჩატარებისთვის ოლიმპიადის ინფრასტრუქტურა სამშენებლო მასალების დეფიციტს განიცდის, რომლის შესავსებად, სამშენებლო და ინერტული მასალების (ქვიშა, ქვა, ღორღიძ გატანას აფხაზეთის შავი ზღვის სანაპირო ზოლიდან გეგმავს. ეს გამოიწვევს ეკოლოგიურ კატასტროფას, ზღვა წინ წამოვა და დაიწყება მოსახლეობის გასახლებაო. მწვანეთა პარტიის ლიდერმა ოლიმპიური ობიექტებისა და საჭირო ინფრასტრუქტურის მშენებლობის მასშტაბის გამო (გათვალისწინებულია საზღვაო პორტების მშენებლობაცძ შავი ზღვის აღმოსავლეთის სანაპირო ზოლში ეკოლოგიური ბალანსის დარღვევის გარდაუვალობაზე და იმაზე ილაპარაკა, რომ აფხაზეთის სეპარატისტული მთავრობა ცდილობს ამ ყოველივეს მოსახლეობის კეთილდღეობისთვის გადადგმულ ნაბიჯად წარმოჩენას. „სინამდვილეში კი რუსეთის პოლიტიკური ინტერესების გარდა, ამის მიღმა იგულისხმება აფხაზეთის ლიდერების წმინდა კორუფციული გარიგებები, ერთი მხრივ, კრასნოდარის მხარის ხელმძღვანელობასა და, მეორე მხრივ, რუსულ ოლიგარქებთან, რუსეთის უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლობის უშუალო მონაწილეობით“, – ფიქრობს გიორგი გაჩეჩილაძე.

მისი თქმით, სოჭის ოლიმპიადის გამო რუსეთის ხელისუფლება აშკარად უგულებელყოფს არა მარტო ტერიტორიული მთლიანობის საერთაშორისოდ აღიარებულ პრინციპს, საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლს და გარემოს დაცვით კანონმდებლობას, არამედ პირდაპირ არღვევს მის მიერ ოლიმპიადის გამო აღებულ საერთაშორისო ვალდებულებებს. კონკრეტულად, ოლიმპიადის ძირითადი კანონის ოლიმპიური ქარტიის I თავის მე-13 პუნქტის ეკოლოგიურ მოთხოვნებს, რომლის მიხედვითაც ოლიმპიური თამაშების ჩატარება ეკოლოგიური ზიანის გამო კითხვის ნიშნის ქვეშ დგება.

გიორგი გაჩეჩილაძის განმარტებით, მათი ოფიციალური მიმართვის შემდეგ, პირველი რეაქცია იყო სოჭში რუსეთის პრემიერ-მინისტრის პუტინისა და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის საკოორდინაციო კომისიის ხელმძღვანელის ჟან კლოდ კილლის შეხვედრა, სადაც ეკოლოგიურ საკითხებზე იმსჯელეს, თუმცა აფხაზეთი ამ შეხვედრაზე არ გახმიანებულა.

ახლახან კი, მწვანეთა პარტიამ მიიღო ევროპის პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტიდან ოფიციალური წერილი. ევროპარლამენტი დაინტერესდა სოჭის ოლიმპიადის გამო აფხაზეთის მოსალოდნელი ეკოლოგიური პრობლემებით. მათ სურთ საქართველოს მწვანეთა პარტიასთან ერთად მუშაობა.

გიორგი გაჩეჩილაძემ მიმართა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, რათა ერთობლივი ძმედებით განმტკიცდეს სახელმწიფოს პოზიცია ამ საკითხის გამო: „თუ რუსეთი აფხაზეთს თავს არ დაანებებს, იგი ვერ ჩაატარებს ოლიმპიადას“, – განაცხადა გაჩეჩილაძემ. მწვანეების დელეგაცია სოჭის ოლიმპიადის გამო ეკოლოგიურ პრობლემებზე სექტემბერში გერმანიაში გეგმავს შეხვედრებს.

**თამარ შაიშმელაშვილი**

ინფორმაცია

## გოგინაშვილს ბრალი არ უმტკიცდება

**თემურ გოგინაშვილი, რომელიც ოსმა ძალოვანებმა ოთხი დღის წინათ მკვლელობების ბრალდებით დააკავეს, შესაძლოა, დღეს დილით გაათავისუფლონ.**

**ამის შესახებ სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრმა მიხეილ მინძაევმა განაცხადა.**

**– მინძაევის განცხადებით, გოგინაშვილს ბრალი არ უმტკიცდება. გოგინაშვილმა აღიარა, რომ 1995 წელს სადისტურად ჩადენილი მკვლელობების დროს დანაშაულის ადგილზე იმყოფებოდა და ნახა, როგორ აწამებდნენ მსხვერპლს. თუმცა, მტკიცებულება იმისა, რომ მკვლელობა უშუალოდ მან ჩაიდინა, არ არსებობს. ამდენად, გოგინაშვილს, შესაძლოა, მხოლოდ გაუსვლელობის ხელწერილი დააწერინონ და გაათავისუფლონ, რათა საჭიროების შემთხვევაში მისი მოწმედ გამოძახება შესაძლებელი იყოს, – განაცხადა მინძაევმა და განმარტა, რომ სასამართლომ კიდევ ორი მოწმე უნდა დაკითხოს.**

ინტერპრესნიუსი

სათქმელი

**„საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციას**

**პატივცემულო რედაქტორებო!**

**გიგზავნით ჩემ მიერ გაზეთ „Москва-Тбилиси“-სათვის რუსულ ენაზე მიცემული ინტერვიუს თარგმანს. ხსენებულმა გაზეთმა გასაგები მიზეზების გამო ინტერვიუ „გაკრიჭა“. მითხრეს, რომ ასეთივე სახით „ინტერნეტმაც“ გამოაქვეყნა. არ ვიცი, სწორია თუ არა ეს ცნობა. ასეა თუ ისე, ვაკმაყოფილებ ჩვენს ორმხრივ დაინტერესებას და, ვიმედოვნებ, რომ თქვენი გაზეთი ამ თარგმანს „გაუკრეჭავად“ გამოაქვეყნებს.**

**უღრმესი პატივისცემით**

**ჭაბუა ამირეჯიბი**

**21.07.2008**

## ჭაბუა ამირეჯიბი:

# გლობალიზაცია ერებისა და კაცობრიობის მტერია, მის წინააღმდეგ ვიბრძოდი მთელი ჩემი ცხოვრება და ვიბრძოლებ სიკვდილის შემდეგაც კი - იმით, რაც დამიწერია

მისი წარდგენა არაა საჭირო არც საქართველოში, არც რუსეთში. მის სახელთან ნებისმიერი ეპითეტები — ზედმეტი და ყალბია! დღეს იგი — ქართველი ერის სიამაყე და ღირსებაა. სახელგანთქმული თავადების ჯიშის წარმომადგენელმა თავისი 87 წლის განმავლობაში რა არ ნახა — არც ტანჯვა და წამება ჰკლებია, არც სიდუხჭირე და დამცირება, არც გულაგის 16 წელი, საიდანაც სამჯერ გამოიქცა... მაგრამ არ გატყდა, არ წავიდა სინდისის წინააღმდეგ... და გაიმარჯვა! ცოცხალმა ლეგენდამ, მე-20 საუკუნის ქართული ლიტერატურის კლასიკოსმა ჭაბუა ამირეჯიბმა, მიუხედავად ახლახან გადატანილი (კიდევ ერთი) ოპერაციისა, მონახა თავის თავში ძალა და დრო, რომ შემხვედროდა და მოეცა ექსკლუზიური ინტერვიუ ყოველკვირეული „მოსკოვი-თბილისისთვის“.

— ჩემდა დიდად სამწუხაროდ, ჩვენი საუბრის უკვე დასაწყისში რამდენიმე შენიშვნა უნდა მოგახსენოთ. პირველი — არ არის აუცილებელი ჩემი პიროვნების გადაჭარბებული შეფასება, და მეორე — დავაზუსტებ თქვენს ინფორმირებულობას ჩემი გამოქცევების შესახებ: ჩეკისტებს გამოვექეცი ექვსჯერ, მათ შორის სამჯერ — ერთსა და იმავე დღეს, 1945 წლის 20 სექტემბერს. პირველი გამოქცევა იყო ეგრეთ წოდებული შამპანკომბინატის კოლონიიდან, მაგრამ თბილისში ჩელუსკინელების ხიდზე დამაპატიმრა პატრულმა და მიმიყვანა თბილისის კომენდატურაში; მეორე გამოქცევა იყო სროლასროლაში კომენდატურიდან ქალაქ თბილისის მილიციის მეცხრე განყოფილებაში კონვოირების დროს; მესამე გამოქცევა — სწორედ ამ განყოფილებიდან. ოთხწელიწადნახევარი ვიყავი გაქცეული, მაგრამ 1949 წლის 27 დეკემბერს დამაპატიმრეს და კვლავ დაიწყო ჩემი გულაგი სამი დანარჩენი გამოქცევისთვის.

**— ბატონო ჭაბუა, თქვენს მთელს მსოფლიოში ცნობილ რომან „დათა თუთაშხიაში“ განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ფილოსოფიურ განსჯებს ადამიანის არსებობაზე, მისი საზოგადოებრივი შეგნების სტერეოტიპებზე, მათს ცვალებადობაზე. ამ აზრით, რუსეთსა და საქართველოს შორის დღეს მიმდინარე დიალოგი ბაბილონის ნადგურცემას გვაგონებს. თითქოს ჩვენ სხვადასხვა ენებზე ვურთიერთობდეთ და არაფერი გვესმოდეს ერთმანეთისა.**

— უდავოდ მართებული შეფასებაა. პუტინი და მისი ხელისუფლება ლაპარაკობენ ისეთი ადამიანის ენაზე, ვისაც საკუთარი ხალხის წინაშე, დღევანდელობაში განუხორციელებელი ამოცანა დაუსახავს მიზნად — უწინდელზე მაღალი ჩეკიზმით აღჭურვილი რუსეთის იმპერიის აღდგენას. სააკაშვილი ბუშის ტყვეობაში ნებაყოფლობით ჩავარდნილი „მოღვაწეა“. მისი ერთ-ერთი მიზანია საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს, ლიკვიდაცია და ქართველი ერის გადაკეთება უცხოელი ტურისტების მომსახურე ლაქიების ბრბოდ. ვინც ობიექტურად და გულდასმით აკვირდება მის მოღვაწეობას, შეუძლებელია სხვა დასკვნამდე მივიდეს. რა, პუტინი იმდენად გამოუსწორებელი ჰუმანისტია, რომ სააკაშვილთან საერთო ენა იმის გამო ვერ უპოვნია, რომ ის ერთადერთი პრეზიდენტია, ვისაც საკუთარი ერის განადგურება აქვს გადაწყვეტილი? ისიც ცალკე საკითხავია, რატომ არის რუსეთის ხელმძღვანელობა საქართველოს ნატოში გაწევრების ასერიგად კატეგორიული წინააღმდეგი? ეს მაშინ, როდესაც საკუთარი ქვეყნის გარშემო არსებული სახელმწიფოების ნატოში საყოველთაო გაერთიანების გამო, შეიძლება ითქვა, „ხმაც არ დაუძრავს“. და კიდევ ერთი კითხვა — შეძლებს თუ არა თქვენი გაზეთი ჩემს მიერ ასეთი შეფასების გამოქვეყნებას?..

**— თქვენ ყოველთვის იბრძოდით პიროვნების უფლებებისათვის, რასაც ერის ინტერესებზე მაღლა აყენებდით. თუმცა, საქართველოში დღევანდელი ხელისუფლების პირობებში, უნდა ვაღიაროთ, ინდივიდუუმის ინტერესებს თითქმის არაფერი ემუქრება. მაგრამ გლობალიზაციის შეტევას განიცდის ყოველივე არსებითად ეროვნული... როგორ მიგაჩნიათ — ხომ არ დადგა დრო, როდესაც ეროვნული თვითმყოფადობისა და კულტურის შენარჩუნებისთვის უნდა შეველიოთ ცალკეული პიროვნებების ინტერესებს და გლობალიზაციის ზოგიერთ „სიკეთეს“?.**

— გთხოვთ მაპატიოთ, მაგრამ ან საკითხი დასმულია არასწორად, ან მე ის სხვაგვარად გავიგე: როგორ შეიძლება, „არაფერი ემუქრებოდეს ინდივიდუუმის ინტერესებს, როდესაც „გლობალიზაციის შეტევას განიცდის ყოველივე არსებითად ეროვნული“?!

დიახ, მე ყოველთვის ვიბრძოდი პიროვნების უფლებებისთვის, მათ შორის — პიროვნების უფლებებისთვის, დაიცვას ერის ინტერესები, მისი კულტურა და შემდგომი ინტელექტუალური განვითარების ინტერესები! გლობალიზაცია ერისა და კაცობრიობის მტერია, მის წინააღმდეგ ვიბრძოდი მთელი ჩემი ცხოვრება და ვიბრძოლებ სიკვდილის შემდეგაც კი — იმით, რაც დამიწერია.

რაც შეეხება ეროვნულ თვითმყოფადობას — ღრმად მწამს, რომ იგი გაიმარჯვებს გლობალიზაციასთან და კოსმოპოლიტიზმთან ბრძოლაში.

**— „ინტელიგენციისათვის ხელისუფლებასთან თანამშრომლობის საუკეთესო საშუალებაა კონსტრუქციული ოპოზიცია. არა მხოლოდ იმიტომ, რომ მისთვის ეს სულიერების ბუნებრივი მდგომარეობაა, არამედ იმიტომაც, რომ ასეთი დაპირისპირების გარეშე ყველაზე შესანიშნავი, ყველაზე დემოკრატიული ხელისუფლებაც კი გადაგვარდება დიქტატურად“ — ეს თქვენი სიტყვებია 1992 წლის 21 იანვარს „მოსკოვსკიე ნოვოსტისათვის“ (№ 25) მიცემული ინტერვიუდან. როგორია, თქვენი აზრით, საქართველოში ინტელიგენციისა და ხელისუფლების ურთიერთობა?**

— ჩემ მიერ თექვსმეტი წლის წინათ ჩამოყალიბებული ხელისუფლებასთან ინტელიგენციის ურთიერთობის წესი მიმაჩნია სწორად დღესაც, როგორც დიქტატურისაკენ მუდმივად არსებულ სწრაფვასთან ბრძოლის ერთადერთი საშუალება. სწორედ ქართული ინტელიგენციის დღევანდელი დამოკიდებულება არსებული ხელისუფლებისადმი როგორც გაძარცულისა — მძარცველისადმი, თანაც მხედველობაში მაქვს არა მხოლოდ ადამიანური უფლებები.

**— რას ნიშნავს თქვენთვის რუსეთი, რუსი ხალხი და რუსული კულტურა? როგორ ხედავთ რუსეთისა და საქართველოს მომავალს — ერთად თუ ცალ-ცალკე?**

— რუსეთი, რუსი ხალხი და რუსული კულტურა ჩემთვის, ისევე როგორც ნებისმიერი საღად მოაზროვნე ადამიანისათვის — ესაა დიდი ქვეყანა, დიდი ისტორიით, ღირსეული და ნიჭიერი რუსი ხალხით, რომელმაც შექმნა დიდი კულტურა, ასეთ დადებით გავლენას რომ ახდენს ადამიანური აზროვნების განვითარების პროცესზე საერთოდ.

ახლა რაც შეეხება შოკისმომგვრელ შეკითხვას: „როგორ ხედავთ რუსეთსა და საქართველოს მომავალს — ერთად თუ ცალ-ცალკე?“ — მირჩევნია მეზობლობა და კეთილი ურთიერთობანი ცალ-ცალკე! ეს, ვფიქრობ, კარგად არის გამოხატული ჩეჩნურ ანდაზაში: „მან სისკალ — მან ხამპალ“ („ჩემი სახლი — ჩემი ხმიადი“).

**— რა არის მთავარი ჭაბუა ამირეჯიბის ცხოვრებაში? ყველაფერი რომ თავიდან დაგეწყოთ, რას შეცვლიდით, ან რას დატოვებდით უცვლელად?**



— ამას ხშირად მეკითხებიან, გიპასუხებთ: მე კმაყოფილი ვარ საკუთარი წარსულით ერთი ჩვეულებრივი მოვლენის — ღრმა სიბერის გამოკლებით!.. ვიხსენებ და ძალიან ვწუხვარ ჩემი მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო შეცდომების გამოც. თავიდან რომ მიხდებოდეს ცხოვრების დაწყება, მათ, ალბათ, არ გავიმეორებდი...

ამ ინტერვიუს გამოქვეყნების შესაძლებლობის კვალობაზე, განსაკუთრებით აღვნიშნავ იმ წუხილს, რასაც განვიცდი რუსეთში მცხოვრებ ჩემს მეგობრებთან ურთიერთობის სიძნელის გამო — აი, ზოგიერთი მათგანი, რომლებიც შემორჩა ხანდაზმულ მეხსიერებას: ჟენია ევტუშენკო, ბელა ახმადულინა, ბორის მესერერი, მარლენ კორალოვი, ანდრეი ვოზნესენსკი, იური როსტი, ანდრეი ბიტოვი, იგორ შტოკმანი, ჟენია პრიმაკოვი... ოცნებად მაქვს, თუნდაც ერთხელ კიდევ შევხვდე იმათ, მათზე მუდმივად ვფიქრობ, ყოველთვის მათთან ვარ! გალია კორნილოვა ახსოვს მთელ ჩემს მრავალრიცხოვან ოჯახს... ღმერთმა მომიტევოს, რომ ამ წუთში ყველა ვერ გავიხსენე!

**თქვენც მაპატიეთ, მეგობრებო...**

**ესაუბრა**
**არნო ხიდირბეგიშვილი**

პოზიცია

# რევოლუციის მოლოდინი

(მეორე გვერდიდან)

არც ის მინდა დავიჯერო, რომ საქართველოს პრეზიდენტი თემურ იაკობაშვილზე, „აჩვენეთ ეს კაცი მსოფლიოს და ომი აღარ იქნებაო“, ფიქრობდეს.

ეკა შარაშიძე და ეკონომიკა? — მდაა?! რთული შემთხვევაა.

საფინანსო გუნდსაც არ უნდა ჰქონდეს საქმე „სეიკოსავით“ აწყობილი.

მოკლედ რომ ვთქვა, დიდი რევოლუციური ცვლილებები უნდა მოხდეს საქართველოს ხელისუფლებაში.

ესეც შენი ხელისუფლების შეცვლა, ანუ „პოლიტიკური რევოლუცია“!

საინტერესოა, თუ როგორი სახის ცვლილებები განხორციელდება აღმასრულებელ ხელისუფლებაში.

მოსახლეობისთვის მიუღებელი პირების აქტიური პოლიტიკური ასპარეზიდან მოშორება, გარკვეულ წინსვლად შეიძლება ჩაითვალოს, მაგრამ იუსტიციის სამინისტროსა და გენერალური პროკურატურის გაერთიანება ძალოვანი სტრუქტურების კიდევ უფრო გაძლიერებისკენ გადადგმული ნაბიჯია. ხოლო ნიკა გვარამიას კანდიდატურის განხილვა ამ ახალი უწყების ხელმძღვანელის პოსტზე, ნამდვილად არ შეეფერება რევოლუციონერ პრეზიდენტს (კულუარებში საუბრობენ, ნიკა გვარამიას კანდიდატურას მხოლოდ „თავისუფლების ინსტიტუტის“ თვალის ასახვევად განიხილავენო).

რბილად რომ ვთქვა, ძალიან სამწუხაროა, მაგრამ ქართული ეკონომიკის ბედ-იღბალი კვლავ კახა ბენდუქიძის სრული კონტროლის ქვეშ დარჩება.

ლადო ვარძელაშვილს ან გარემოს დაცვის მინისტრად გადმოიყვანენ, ან — საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარედ.

შიდა ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულად კი ბადრი ნანეტაშვილი მოიაზრება. მიუხედავად იმისა, რომ ნანეტაშვილი წარმოშობით ქარელიდანაა, მას რეგიონის მასშტაბითაც კარგად იცნობენ. ძალიან საკვირველია, მაგრამ ამ შემთხვევაში ხელისუფლების აზრი მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილის აზრს ემთხვევა.

ცვლილებები იქნება თავდაცვის სამინისტროშიც, მაგრამ როგორც წესი, ამ სამინისტროს შესახებ ბევრს არ ლაპარაკობენ.

ერთიანი ეროვნული გამოცდების მიმდინარეობის პერიოდში სააკაშვილის მიერ განათლების სამინისტროს ჩინოვნიკების მიმართ გაკეთებული მკვეთრი განცხადებიდან გამოჩნდა, რომ პრეზიდენტმა იცის გია ნოდიას „საგანმანათლებლო პოლიტიკის“ შესახებ და „ეგზიტპოლების ოსტატის“ მინისტრობას დიდი დრო არ უწერია.

მით უმეტეს, რომ მინისტრობიდან ნოდიას განთავისუფლება საზოგადოების მიერ ეროვნულ ნაბიჯად იქნება აღქმული.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, **„საქართველო სოციალური რევოლუციის“ პირას იმყოფება.**

ქვეყანა რევოლუციის პირას, აუცილებელი, გარდაუვალი რევოლუციის პირას დაგას.

რევოლუციის ფორმას კონკრეტული ისტორიული პირობები და ქვეყნის შიგნით არსებული ძალების თანაფარდობა განაპირობებს.

ის, თუ როგორ განხორციელდება ქართული რევოლუცია, ჯერჯერობით საქართველოს დღევანდელ ხელისუფალზეა დამოკიდებული.

ჯერჯერობით!

არადა „რევოლუცია“ ნამდვილად არ არის ცუდი და საშიში სიტყვა. რევოლუცია მხოლოდ განვითარების დამუხრუჭების, უკანდახევის, ქაოსში ჩაძირვის წინააღმდეგ მიმართული გარდაუვალი ღონისძიებაა.

„სოციალურ რევოლუციებს“ „ისტორიის ლოკომოტივებს“ უწოდებდა კარლ მარქსი.

სხვა არ ვიცი და კარლ მარქსმა, „რევოლუციების საკითხები“ რომ ძალიან კარგად იცოდა, ნამდვილად დარწმუნებული ვარ.

**გია გაბრიჭიძე**

◉ როცა უთქმელობა დანაშაულია

*სათაურად, გალაკტიონის ცნობილი ლექსის სტრიქონის დასაწყისი შევარჩიე... გაგრძელება ვეღარ შევბედე... ისე კი, დარწმუნებული ვარ, როგორც დიდმა პოეტმა იწინასწარმეტყველა თავის მომავალზე სტრიქონის დასასრულს — „რას იტყვის ჩემზე შთამომავლობა“, ამ წერილის ადრესატს, დღევანდელი საქართველოს ღირსეულ შვილს, ბატონ ბიძინა ივანაშვილსაც მიესადაგება-შეეფერება... ვშიშობ ამ მიგნებამ თუ პარალელმა, მკითხველი და სავსებით შესაძლებელია, თვით ბატონი ბიძინაც გააღიზიანოს, მაგრამ... თავი, რომ ვიმართლო და პანეგირიკად არ ჩამეთვალოს ზემოთ თქმული, აკაკი წერეთლის სიტყვებს მოვიშველიებ: „ადამიანის ღირსება ხალხში არ იკარგება ფასდაუდებლად. კარგი კაცები მარტო იმითი კი არ არიან სასარგებლონი, რომ თავისთავად ბევრ კარგ საქმეს აკეთებენ, ისინი თავის სახელით სხვებსაც იწვევენ საკეთილ-მოქმედოდ“.*

# ჩემთვის დღესავით არის ნათელი...



ჩემთვის და ჩემი თაობისთვის ყველაზე საყვარელი და კომპეტენტური გაზეთის „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციას, ჩემს მეგობრებს, პროფესიონალ ჟურნალისტებს, შევახსენებ რამდენიმე თვის წინათ, მკითხველის „სამსჯავროზე“ გამოტანილი ჩემი წერილის გამოქვეყნების წინაისტორიას, რომელიც ბატონ ბიძინას ეძღვნება: „კაცი, რომელიც სიცოცხლეშივე საქართველოს ისტორიაშია შესული“. დღემდე მახსოვს ის განცდა და შიში იმის გამო, რომ ვინაიდან პირადად არ ვიცნობ ბატონ ბიძინას, მას ჩემი გულწრფელი აღტაცება, ჩემი ყმაწვილკაცობის კოლეგა-მეგობრები — სახელოვანი ვეტერანი წყალბურთელების, საერთოდ სპორტსმენების სიხარულის ასეთი ფორმით გამოხატვა პირფერობად, რაღაც წვრილმან-მლიქვნელურ, ხელოვნურ წერილად არ მიეღო. მით უმეტეს, რომ საყოველთაოდ ცნობილია, მას არ უყვარს ქება-დიდება თუ ჰოპაპურობა (თუმცა, ეს ჩემთვის დღემდე გაუგებარია: მან ხომ ნამდვილად დაიმსახურა ხალხის პატივისცემა და სიყვარულიძ. მოკლედ, რედაქციის დახმარებითა და „წაქეზებით“, წერილი დაიბეჭდა, სადაც გულწრფელ მადლობას ვუხდიდით ბატონ ბიძინას.

ძვირფასო რედაქციავ! იმ წერილის პათოსი რა მოსატანია იმასთან, რის თქმასაც ახლა ვაპირებ. ამ შემთხვევაში ჩემი მიზან-სურვილი იმდენად მნიშვნელოვნად მიმაჩნია, რომ იგი ყველა წესიერი, პატრიოტი ქართველის სულსა და გულს უნდა ჩაწვდეს. განა, შეიძლება, გულგრილი დარჩე, როცა ამ დღეებში ვიღაც-ვიღაცების მონაჩმახს ეცნობი, დიდი ქართველი ქველმოქმედის, ბატონი ბიძინა ივანაშვილის მისამართით, კაცზე, რომელზეც ლეგენდები დადის, კაცზე, რომელიც სიკეთით და სიყვარულით ცხოვრობს, კაცზე, რომელმაც დაგვიბრუნა ისტორიული მეხსიერება, რომ მართლაც არსებობდნენ დიდნი კაცნი, ქველმოქმედნი სარაჯიშვილები, ზუბალაშვილები, ხოშტარიები და სხვანი, რომლებიც სამშობლოს საკეთილდღეოდ ილვწოდნენ, ერთგულებდნენ ეროვნულ საქმეებს, ხელს უწყობდნენ ილია ჭავჭავაძის იდეების ხორცშესხმას.

ეს რა ხდება დღეს! სამშობლოს უზომოდ მოყვარულ კაცს, რომელიც იღვწის, იწვის, ნიჭსა, ენერგიასა და ქონებას უშურველად ახმარს ქართველი ხალხის კეთილდღეობას, ვაიქართველები უსაფრდებიან, ცილს სწამებენ, აუგს უთხზავენ. ...„ქართუ ჯგუფის“ პრესსამსახურმა მათ საკადრისი პასუხი გასცა, მაგრამ ვგონებ, მაინც — დიპლომატიური, სოლიდური, თავშეკავებული (მათი ჟურნალისტური ეთიკა დიდად განსხვავდება „იმათგან“ძ. არადა, ბატონი ბიძინას „გამართლებას“ არავითარი არგუმენტები არ სჭირდება. საკმარისია იგი დაინახო პატარა გოგო-ბიჭების ჟრიამულში საბავშვო ბაღებში, სკოლებში, სხვადასხვა სანახაობებზე, სპორტულ თუ თეატრალურ დღესასწაულებზე ან ხალხთან ერთად მოფუსფუსე ბალვენახებში, მხარეში, მის მშობლიურ „ცა-ფირუზ, ხმელეთზურმუხტ“ იმერეთში — საჩხერეში — ჭორვილაში... მან ხომ გააბედნიერა, გაანათა, გაათბო და გაალამაზა ამ ბავშვების ცხოვრება, მეორე ახალი სიცოცხლე შთაბერა მათ მშობლებს, ოჯახებს და სოფლებს, თუმცა ეს ცოტაა იმ დიდ ეროვნულ საქმეებთან, რომელსაც ის მეთაურობს, თანაც ჩუმად, უშურველ-უანგაროდ, „ბიძინასებურად“. მომღერლებს სიმღერა არ დაავიწყა, მსახიობებს — სცენაზე გამოსვლა, აკადემიკოსებს — კვლევაძიების უნარი და მრევლს — ეკლესიაში სიარული, ეს, ისე, ერთი წინადადებით, ერთი ამოსუნთქვით. მოკლედ, იმის თქმა მსურს, რომ თავისი დიდი ქველმოქმედებით, დიდი კაცობით უყვართ — ბავშვებს, სტუდენტებს, მოხუცებს, სნეულთ, მშრომელ გლეხებს თუ მეცნიერებს, მსახიობებს თუ მწერლებს... და არ უყვართ შურითა და ბოღმით ავსებულთ — ავსულებს...

ძვირფასო რედაქციავ! ამ დღეებში გაზეთში გამოქვეყნებულ „ქართუ ჯგუფის“ პრესსამსახურის განცხადებას რომ გავეცანი, სურვილიც გამიჩნდა, თქვენი კეთილგანწყობით ვისარგებლო და გთხოვოთ, ნება დამრთოთ იმ „ხალხს“ შევახსენო, თქვენი ცხოვრების კრედო, თქვენი გაზეთის დევიზი — დიდი ილიას სიტყვები, რომელიც თქვენისთანებს გულზე აქვთ ამოქარგული: „იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.“

და ბოლოს, მტერმა თუ მოყვარემ ბატონ ბიძინასადმი მიძღვნილ ამ წერილთან დაკავშირებით მლიქვნელად ან სულაც სნობად რომ არ ჩამთვალოს (ხოლო ვინც მე არ მიცნობს, იქნებ უარესიც თქვას — „შეკვეთა-დაკვეთით აქვს დაწერილიო“ და ა.შ.ძ, იმ მავანთა გასაგონად და არა იმიტომ, რომ ვინმეს თავი მოვაწონო, დიდი მორიდებით მკითხველს შევახსენებ უკანასკნელ წლებში ჩემს მიერ გამოქვეყნებული საგაზეთო წერილების თემატიკას, რომლებიც ეძღვნებოდა თანამედროვეობის გამოჩენილ მოღვაწეებს — სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია II-ს, აკადემიკოსებს მარიამ ლორთქიფანიძეს, ნოდარ ამაღლობელს, ოთარ ჯაფარიძეს, როინ მეტრეველს, სახელოვან მწერლებს ლევან სანიკიძეს და ოტია იოსელიანს, ცნობილ ხელოვანს ზურაბ წერეთელს, გამოჩენილ სპორტსმენებს და ხელოვნების მოღვაწეებს, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ისიც საკმარისია, რომ „თავის გასამართლებლად“ გავბედე დიდებულ ქართველთა ჩამოთვლა... ისე, რომ მიმხვედრი მიხვდება. კიდევ ერთხელ პატიებას ვთხოვ გამგებ მკითხველს ამ „ახსნა-განმარტებისათვის“ — შემთხვევით არაფერი არ ხდება, არაფერი არ იწერება...

სწორედ, ამიტომაც ვამთავრებ წერილს გალაკტიონის სტრიქონის პერიფრაზით: ჩემთვის დღესავით არის ნათელი, რას იტყვის თქვენზე შთამომავლობა, ბატონო ბიძინა!

მარჯვედ ბრძანდებოდეთ, მუდამ გამარჯვებული გვეყოლოთ!

**ოთარ მიმინოშვილი,**
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

*P. S. ეს წერილი ორიოდე თვით წინათ არის დაწერილი, გამოქვეყნება მერიდებოდა-მეხათრებოდა... მაგრამ როცა ივლისში კვლავ წამოყვეს თავი უმადურმა-გაუგებრებმა და „ქართუ ჯგუფის“ პრესსამსახურმა მათ საკადრისი პასუხიც გასცა, მეც გამიჩნდა „შეხმიანების“ სურვილი...*

*ო. მ.*

◉ რეპლიკა

## შეიძლება ყველაფერს ეროვნული ერქვას?

**გლობალიზაციის არც თუ სახარბიელო პერიოდში, რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ, რაზეც კი ხელი მიუწვდება, ყველაფერს ეროვნული შეარქვა. დავიწყოთ საუკუნეზე მეტი ხნის, ყოფილი საჯარო ბიბლიოთეკით, რომელიც ახლა ეროვნულ ბიბლიოთეკად იწოდება. საშუალო სკოლებს კი რატომღაც საჯარო სკოლები უწოდეს. საკვირველია, თუ ბიბლიოთეკას საჯარო არ ესადაგებოდა, სკოლას როგორ მოერგო.**

საერთოდ აქ, და სხვა შემთხვევებშიც, რაღაც გაუგებრობაა. მაგალითად ავიღოთ ბორის პაიჭაძის ეროვნული სტადიონი. ვეკითხები სტადიონის ხელმძღვანელობას: თუ იგი ბორის პაიჭაძის სახელობისაა, როგორ არის ეროვნული, ან — თუ სტადიონი ეროვნულის სახელს ატარებს, როგორ არის იგი ბორის პაიჭაძის სახელობის?

დღეს ეროვნული ეწოდება სახელმწიფო არქივს, სახელმწიფო მუზეუმს, ოპერის თეატრს, ქვეყნის ფეხბურთელთა ნაკრებს. უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდებიც ეროვნულად მონათლეს და ჩასაბარებელ საგნებში პრიორიტეტი აბიტურიენტთათვის სრულიად უცნობ ზოგად უნარებს მიანიჭეს, მაშინ, როდესაც ეს საგანი სკოლებში საერთოდ არ ისწავლება.

რაც შეეხება საქართველოს ისტორიას, ამაზე საუბარი საერთოდ არ არის. კაცმა რომ თქვას, თუ გამოცდები ეროვნულია, რატომ არ უნდა ბარდებოდეს ერის ისტორია, მაგრამ, რა თქმა უნდა, იგი სოროსის გეგმაში არ იქნება და არც არავინ აქცევს მას ყურადღებას.

ნეტავ რა დაგვრჩა ამ ინტერნაციონალურ ქვეყანაში მოუნათლავი, ეროვნული რომ შეარქვან. მე მგონი მხოლოდ ახლანდელი „სპეცპარლამენტი“, იმედია ამასაც მალე მოვესწრებით.

**დურმიშხან ცინცაძე**

◉ ინფორმაცია

## რატომ პატარავდება შაგრენის ტყავივით სასჯელის ვადა?

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის პალატის მოსამართლეებმა მსჯავრდებულ რევაზ მჭედლიშვილს 17-წლიანი სასჯელი 7 წლამდე შეუმცირეს.**

როგორც უზენაესი სასამართლოს პრესსამსახურიდან იტყობინებიან, მჭედლიშვილი გორის რაიონულმა სასამართლომ დამნაშავედ სცნო ხულიგნური ქვენაგრძნობით და განსაკუთრებული სისასტიკით მკვლელობის ჩადენაში, ასევე — ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა და ტარებაში“.

საქმის მასალების მიხედვით, რევაზ მჭედლიშვილმა დაუდგენელ დროსა და ვითარებაში მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა დაუდგენელი მარკის ცეცხლსასროლი იარაღი — პისტოლეტი საბრძოლო ვაზნებით, რომლებსაც მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა და ატარებდა.

2006 წლის 3 ნოემბერს მჭედლიშვილმა თავის ბიძაშვილებთან — ილია, ვახტანგ და გიორგი მჭედლიშვილებთან ერთად მიიღო ალკოჰოლური სასმელი გიორგი მჭედლიშვილის დაბადების დღის აღსანიშნავად. საღამოს ისინი ავტომანქანით მივიდნენ გორში, ნინოშვილის ქუჩაზე მდებარე გიორგი მჭედლიშვილის საცხოვრებელ ბინასთან, ვახტანგ მჭედლიშვილი დატოვეს ქალაქში, რევაზ და გიორგი მჭედლიშვილები კი მანქანიდან გადავიდნენ. ავტომანქანაში მძღოლის გვერდითა სავარძელზე იჯდა ილია მჭედლიშვილი და ესაუბრებოდა გიორგი მჭედლიშვილს, ხოლო რევაზ მჭედლიშვილი იდგა ავტომანქანის წინა, მარცხენა კართან და საუბრობდა სახლიდან გამოსულ ლევან მჭედლიშვილთან — გიორგი მჭედლიშვილის ძმასთან. ამ დროს რევაზ მჭედლიშვილმა უმიზეზოდ, ხულიგნური ქვენაგრძნობით, განსაკუთრებული სისასტიკით, ძმის — ლევან მჭედლიშვილის თანდასწრებით, განიზრახა გიორგი მჭედლიშვილის მოკვლა. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად მან ამოიღო იარაღი და დამიზნებით ესროლა გიორგი მჭედლიშვილს, რომელსაც თავის არეში მიაყენა ცეცხლნასროლი ჭრილობა. ამის შემდეგ რევაზ მჭედლიშვილი მიიმალა, ხოლო გიორგი მჭედლიშვილი მიღებული ჭრილობის გამო 2006 წლის 10 ნოემბერს საავადმყოფოში გარდაიცვალა.

აღნიშნული ქმედებისთვის მჭედლიშვილს განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 21 წლის ვადით.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ მჭედლიშვილს სასჯელი შეუმსუბუქა და საბოლოოდ განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 17 წლის ვადით.

უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 22 ივლისის განჩინებით, აღნიშნული განაჩენი შეიცვალა მსჯავრდებულის სასიკეთოდ: საბოლოოდ მჭედლიშვილს განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით.

**ინტერპრესნიუსი**

მკვახე შეძახილი

(მესამე გვერდიდან)

# როცა არჩევნების გრიგალმა გადაიარა



თუმცა, ერთი მთავარი პრობლემა რჩება. თუ სიტყვის თავისუფლება ყველასთვის დემოკრატიული მონაპოვარია, ადვილი წარმოსადგენია, რა დღეში ჩავარდება თვით მედია, თუ ყველამ ამ მონაპოვრით სარგებლობა მოისურვა. რა გაზეთის გვერდი ან სატელევიზიო ეთერი ეყოფა ყველას თავისუფალ სიტყვას? გამოდის, რომ ზოგიერთებს აქვთ სიტყვის თქმის საშუალება, მრავალთათვის კი ეს გამორიცხულია.

ამდენად, სიტყვის თავისუფლება მხოლოდ მათი ხვედრია, ვინც პოლიტიკურ ან ფინანსურ ძალაუფლებას ფლობს...

დღეს ჟურნალისტური გამოძიების ძირითადი თემაა **„რა ხდება?“**. ეს ძალიან მნიშვნელოვანია საზოგადოებისათვის, მისი ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად, თუმცა, გაცილებით მნიშვნელოვანი სხვა კითხვაა: **რატომ ხდება ის, რაც ხდება?**

მთავარი ის კი არაა, რომ მეცნიერება და განათლება ნადგურდება, მთავარია იმისი გაგება, თუ რატომ ხდება ეს? რატომ დაინგრა ეკონომიკა? რატომ გადაიხვეწა მილიონი ქართველი საზღვარგარეთ? რატომ ვერ შევუქმენით მინიმალური სასიცოცხლო პირობები ჩვენს მოქალაქეებს საკუთარ ქვეყანაში?

იმედია, სწორედ ამ შეკითხვებზე პასუხის გაცემა გახდება ჟურნალისტური გამოძიებების მთავარი მიზანი და თუ ამ შეკითხვებს ვუპასუხებთ, ჩვენ შევძლებთ ქვეყნის მომავლის პროგნოზირებას, რა მოგველის, რა მოელის საქართველოს?

მაგრამ ჯერ იმისი გარკვევა გვჭირდება, რატომ ებრძვიან სულიერებას და ინტელექტს?

ბლეზ პასკალი ამბობდა: **საკმარისია საფრანგეთი სამასმა ინტელექტუალმა დატოვოს და ის იდიოტების ქვეყნად გადაიქცევა!**

რამდენმა ინტელექტუალმა დატოვა საქართველო და როდის გადაიქცევა ეს ქვეყანა იდიოტების ქვეყნად? იქნებ უკვე გადაიქცა კიდეც?

ეს ჟურნალისტური გამოძიების მეტად მნიშვნელოვანი თემაა. სწორედ მან უნდა გასცეს პასუხი კითხვას: რატომ ვანადგურებთ განათლებას, მეცნიერებას, კულტურას და საერთოდ, ინტელიგენციას?

ჟურნალისტური გამოძიების ერთ-ერთი მთავარი თემა უნდა გახდეს: **„რატომ და როგორ გახდა საქართველო განვითარებადი ქვეყანა და რა მოუტანა ქვეყანას ამ სტატუსის მიღებამ?“**

ნუთუ მთელი ერი, ინტელიგენციის ჩათვლით, მარიონეტია და ამიტომაც ვცხოვრობთ იმ კანონებით, რომლებიც მსოფლიო ბანკმა და სავალუტო ფონდმა თავისი სესხების სანაცვლოდ თავს მოგვახვია.

ცხადია უმნიშვნელოვანესი კითხვაა: რატომ მოხდა ის, რაც მოხდა აფხაზეთში და სამაჩაბლოში? ვინ აფინანსებდა და ალვივებდა სეპარატისტულ მოძრაობებს? ვის ინტერესებშია ამ კონფლიქტების შენარჩუნება?

ეს მეტად რთული საკითხია და ძალზე ღრმა ანალიზს საჭიროებს.

როგორ განსაზღვრა ქვეყნის ბედი იმ კანონებმა, რომლებიც სხვადასხვა დროს საქართველოს პარლამენტმა მიიღო მსოფლიო ბანკისა თუ სხვა უცხოური ორგანიზაციების ზეწოლით?

ესეც უთუოდ ჟურნალისტური კვლევის საგანი უნდა გახდეს.

ცხადია, ჟურნალისტებს ძირითადად სენსაციები აინტერესებთ, თუმცა, ჩვენთან ამ სენსაციებში ძირითადად კრიმინალური თემატიკა ბატონობს. მაგრამ რატომ გაიზარდა კრიმინალური სამყარო? რატომ გაივსო ქართველი მეძავებით თურქეთისა და ევროპის საროსკიპოები? რატომ აძევებენ ქართველებს ევროპის ქვეყნებიდან?

ესეც ჟურნალისტური გამოძიებების საგანია და თქვენ, ძვირფასო ჟურნალისტებო, ხედავთ, თუ რა მძიმე ტვირთი გაწევთ მხრებზე. გისურვებთ თავი დააღწიოთ ყვითელ პრესას და ის პრობლემები გააშუქოთ, რომელიც საქართველოს გადაარჩენს.

სწორედ ამისთვის გვჭირდება სიტყვის თავისუფლება.

საქართველოს მომავალი საფრთხეშია. საქართველოს ძალიან უჭირს და ჩვენგან (და არა გადამთიელთაგან) შველას ითხოვს. არჩევნების გრიგალმა გადაიქროლა, მაგრამ გაიხსენეთ ბერტოლდ ბრეხტის სიტყვები: **„ომი დამთავრდა, მშვიდობის გეშინოდეს, ხალხო!“**

**მერაბ ჯიბლაძე,**
**„ქართული აკადემია“**

გლობუსი

# პრობლემა, რომელსაც სხვაგვარი

**დასავლეთის მოჭარბებული ყურადღება საქართველოს სეპარატისტული რეგიონებისა და იქ მიმდინარე ტერორისტული აქტებისადმი, საგრძნობია. ისე, როგორც არასდროს, აშშ-ს ადმინისტრაცია კატეგორიულია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დეკლარირებაში.** საქართველოს პრობლემებისადმი განსხვავებული მიდგომაა ევროპის ქვეყნებში. ევროკავშირის ახალი წევრი სახელმწიფოები, ყოფილი საბჭოთა ბლოკის წევრები, დაბეჯითებით უჭერენ მხარს თბილისს, რასაც ვერ ვიტყვით დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებზე. მათგან სრულიად განსხვავებული პოზიცია უკავია რუსეთს, კავკასიის საკითხებში მთავარ მოთამაშეს. საქართველოს ხელისუფლების დაჟინებული, სისტემატური ინფორმაციული ძალისხმევა, როგორც ვაშინგტონის, ისე ბრიუსელის მიმართ გარკვეულ მიზანს აღწევს.




განსაკუთრებით ეს შეინიშნება პირველის მისამართით. ხშირად ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ თბილისური გეგმები, აფხაზეთისათვის ფართო ავტონომიის მინიჭებასთან და საერთაშორისო პოლიციური ძალებით რუსი ცისფერჩაფხუტიანების ჩანაცვლებასთან დაკავშირებით, იმდენად სწრაფად პოულობს ამერიკის ადმინისტრაციიდან მხარდაჭერას, რომ უნებლიედ იბადება კითხვა — ვაშინგტონში ხომ არ არის დაწერილი? საკმარისია ოფიციალურმა თბილისმა გააკეთოს განცხადება, რომ მას უმალ ეხმაურება აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი მაკორმაკის პირით. ასე იყო ამას წინათ, როდესაც სახელმწიფო დეპარტამენტმა გააკეთა შემდეგი განცხადება: „აშშ-ს ადმინისტრაცია მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და მოუწოდებს მხარეებს დაუყოვნებლივ შეწყვიტონ ბომბების აფეთქება, რომელმაც შეიწირა უდანაშაულო ადამიანების სიცოცხლე. ამასთანავე სახელმწიფო დეპარტამენტი ყურადღებას ამახვილებს საერთაშორისო პოლიციური ძალების ყოფნაზე იმ ადგილებში, სადაც აფეთქებებს ჰქონდა ადგილი. ამ განცხადებაში ახალი არაფერია გარდა ერთისა — რუსი სამშვიდობოების ჩანაცვლება საერთაშორისო პოლიციური ძალებით, თორემ უდანაშაულო ადამიანების მსხვერპლთან დაკავშირებული წინადადება, ამერიკის ადმინისტრაციის მხრიდან ერაყ-ავღანეთის მაგალითებიდან გამომდინარე, ცინიკურად ჟღერს. ნაკლებად დასაჯერებელია მისი გულაჩუყება, როდესაც ავღანეთში „მცდარი“ დაბომბვის შედეგად ასობით ბავშვი, ქალი და მოხუცი იღუპება. ამას წინათ ნატოს ავიაციამ საჰაერო იერიში მიიტანა ტალიბების ბანაკზე, რომელიც მშვიდობიანი სოფელი გამოდგა. დაიღუპა 46 უდანაშაულო ადამიანი.

მაგრამ აქ საქმე სხვასთან გვაქვს. ერაყსა და ავღანეთში შერცხვენილი აშშ-ს ადმინისტრაცია ცდილობს მისი რვაწლიანი მოღვაწეობიდან ერთი პოზიტიური მაგალითი მაინც დატოვოს. საქართველოსთან ბუშის ადმინისტრაციას მამა-შვილური ურთიერთობა აქვს. რა სახელებით არ შეამკო მან ჩვენი ქვეყანა — „რეგიონის დემოკრატიული შუქურა“, „დემოკრატიულად ჩატარებული არჩევნები და სხვა. ადმინისტრაციის მიზნები კავკასიაში არის პოლიტიკურ-ეკონომიკურ-სამხედრო პლაცდარმის შექმნა, რუსეთის განდევნა თუ არა, მისი გავლენის ზედმიწევნით შესუსტდება, კასპიის ზღვის ენერგეტიკულ რესურსებზე გარკვეული კონტროლის დაწესება და სხვა. კავკასიიდან რუსეთის განდევნით არა მარტო ამერიკის დღევანდელი ადმინისტრაციაა დაინტერესეული, არამედ მომავალიც, ვინაიდან მსოფლიო ჰეგემონიზმის დოქტრინა მოითხოვს ამას, ბუშის ადმინისტრაციის სურვილია ისეთი ვითარების შექმნა, რომ მომავალ ადმინისტრაციას სხვაგვარი მოქმედების საშუალება არ მიეცეს .




აფხაზეთის ფაქტობრივი ხელისუფლება შამბას სახით თვლის, რომ ვაშინგტონ-თბილისის გეგმის ამოცნობა იოლია. ორივეს მიზანია რუსი მშვიდობისმყოფელების განდევნა, რისთვისაც საჭიროა მისი დისკრედიტაცია. სწორედ ამიტომ ხდება ტერორისტული აქტები.

საერთაშორისო პოლიციური ძალების აფხაზეთში შეყვანა არცთუ იოლი საქმეა და უტოპიას უახლოვდება, ვიდრე რეალობას. აღნიშნულის განსახორციელებლად საჭიროა დღევანდელი ფორმატის ძირფესვიანი შეცვლა, რუსი სამშვიდობოების შემცვლელების გამოძებნა, დაფინანსების საკითხის გადაწყვეტა, გაეროს რეზოლუციის მიღება და სოხუმის თანხმობა. საერთაშორისო პოლიციურმა ძალებმა ნატოს ეგიდით უნდა იმოქმედონ, მაგრამ გადაწყვეტილება ამის შესახებ გაეროს უშიშროების საბჭომ უნდა მიიღოს, რაც ძნელად შესასრულებელი ამოცანაა, ვინაიდან გაეროს შეფასებით რუსი სამშვიდობოები პირნათლად ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას. გაერო დადებითად იხილავს რუს სამშვიდობოებს. დავუშვათ

წკეპლიკა

# ЕСЛИ ЗАВТРА ВОЙНА...



**ჰა და ჰა, ომის პირას ვართ, რუსეთთან ომისა. სარაევოში მკვლელობის მსგავსი რამ გვაკლია, რომ დაიქუხოს. არადა, ომი უნდა ჩვენს დალხენილ ცხოვრებას, ხო იცი! ღმერთო, შენ დაგვიფარე გარე თუ შინა ავანტიურისტებისა და იმათ ზრახვებისაგან. დიახ, დიახ, შინ ავანტიურისტებისგანაც...**

უცნაური ჩემთვის ისაა, რომ მე, საქართველოს რიგითი მოქალაქე და ასეთივე ჟურნალისტი „უცხოური პრესიდან“ ვიგებ, თუ რისი თავი გვაქვს ჩვენ და რისი თავი აქვს სხვას (შეიძლებოდა უფრო „თავაზიანად“ თქმაც...ძ: ან ვიგებ, თუ საერთოდ რა ხდება ჩვენს სამხედრო სფეროში:

დასავლეთი ამარაგებს საქართველოს შეიარაღებულ ძალებს ყველაფრით, რაც კი ხელთ მოხვდება, ვაზნებით დაწყებული და ტანკებითა თუ თვითმფრინავებით დამთავრებული. ერთ-ერთ რუსეთულ გაზეთში მოყვანილია იმ „დასავლეთში“ შემავალი ქვეყნების ვრცელი ნუსხა (14 მოვითვალეძ, სათაურით-„რითი შეაიარაღა დასავლეთმა სააკაშვილი“. არ დაიჯერებთ და, ამ სიაში რუსეთის ძმაკაცი სერბეთიც შედის...

უცხოურ პრესაში დასმულია შეკითხვა: რაში სჭირდება საქართველოს 30-ათასიან ჯარს ამდენი საომარი ტექნიკა და საბრძოლო მასალა? ეს ქვეყანა ხომ ისედაც „მსოფლიოს ჩემპიონია“ თავისი ბიუჯეტის მილიტარიზაციით – მთლიანი შიდა პროდუქტის 9 პროცენტი არმიის ხელახლა აღჭურვაზე იხარჯება (აქვე სათქმელად, ეს მეომარი ქვეყნისათვის დამახასიათებელი მაჩვენებელია – „მშვიდობიანად“ ითვლება მხოლოდ 2,5-3 პროცენტიძ.

საქართველო ჯიუტად ემზადება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან კონფლიქტის ძალისმიერი გადაჭრისათვის, გვამცნობს „უცხოური პრესა“. ცნობილია, რომ მოწინააღმდეგეზე გასამარჯვებლად ჩვეულებრივ საკმარისია ცოცხალი ძალითა და ტექნიკით სამმაგი უპირატესობა. **ქართული მხარე კი უკვე ახლავე აფხაზურს აღემატება 10-ჯერ, სამხრეთოსურს კი 20-ჯერ!** მიუხედავად ამისა, თბილისს განზრახული აქვს უახლოეს წლებში „პარტნიორთაგან“ იმდენი საბრძოლო ტექნიკის მიღება ან შესყიდვა, რომ ამას შეუძლია არმიის საომარი პოტენციალის ამაღლება კიდევ მესამედით.

ეს ყველაფერი ასეა, მაგრამ საჭიროა აი რისი გათვალისწინება: **აფხაზეთსა ან სამხრეთ ოსეთში ქართული არმიისდიდი საომარი პროვოკაციის შემთხვევაში შეეჯახებიან რუსეთის ჩრდილო-კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარებს, პირადი შემადგენლობით ეს ოლქი საქართველოს არმიას აჭარბებს 5-ჯერ, საბრძოლო ტექნიკით კი – 15-20-ჯერ.**

ასე გამანათლა „უცხოურმა პრესამ“ მოსალოდნელი ომის კუთხით. თავს რამდენიმე „ლირიკული წიაღსვლის“ ნებას მივცემ. „ხვალ თუ ომი იქნება“, მარტო ჩრდილო-კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარებს კი არ შევასკდებით – მთელი ჩრდილოეთ კავკასიის ბოევიკებსა და მოხალისეებსაც, რომელთაც, გაგიხარიათ, გვარიან გასამრჯელოს გადაუხდიან ქართველთა ხოცვაში. არც რუსეთის კაზაკობა (კერძოდ, კრასნოდარის მხარის, ყუბანისა, თერგისა...ძ დაგავიწყდეს. ყველა მათგანმა ხომ ასე იყოჩაღა აფხაზეთის ომში ქართველთა წინააღმდეგ.

ჩვენ კი ვინ დაგვიდგება გვერდით, ვინ ამოგვიდგება მხარში? საიდან ჩამოგვივლენ მოხალისეები – პოლონეთიდან, უკრაინიდან, ამერიკიდან? მეტი არაა ჩემი მტერი. **ობოლი ერი ვართო, გაგვაფრთხილა ერთხელ ერთმა ბრძენკაცმა...**

რუსულ სათაურს რაც შეეხება შორეულ სიყმაწვილეში კარგად ვიცოდი რუსული სამხედრო-სალაშქრო სიმღერები დიდი სამამულო ომის დროს. ერთ-ერთიდან ავიღე...

**თამაზ ეგანოიძე**

ინფორმაცია

## შვედები პუტინის დეკრეტს საქართველოს ანექსიად აფასებს

**ევროკავშირმა კონფლიქტის მხარეებს შორის ნდობის აღსადგენად უნდა იმუშაოს და სწორედ ეს უნდა გახდეს მომავლო მოლაპარაკებების საფუძველი.**

**ამის შესახებ საქართველოში არსებულ კონფლიქტებთან დაკავშირებით საგარეო ურთიერთობებისა და ევროპული სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში ევროკომისარმა ბენიტა ფერერო-ვალდნერმა განაცხადა.**



**შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრი კარლ ბილდტი კი, საქართველოს სეპარატისტული რეგიონებისადმი რუსეთის მხრიდან გადადგმულ წამახალისებელ ნაბიჯებზე საუბრობს. მისი განცხადებით, რეგიონში ბოლოდროინდელი კრიზისის მიზეზი პუტინის აპრილის დეკრეტი გახდა. აღნიშნულ დეკრეტს ბილდტი ტერიტორიის ანექსიის მცდელობად აფასებს.**

ინტერპრესნიუსი

გლობუსი

# მოგვარება სჭირდება

უშიშროების საბჭო გადადგამს ისეთ ნაბიჯს, რაც გაახარებს თბილის-ვაშინგტონს. ვინ ჩაანაცვლებს რუს სამშვიდობოებს და ვინ გადაიხდის მათი იქ ყოფნის თანხებს? წესით, გაერომ, უნდა გადაიხადოს, მაგრამ გააკეთებს ამას მაშინ, როდესაც რუსი ცისფერჩაფხუტიანების ყოფნა არაფერი უჯდება? და მთავარი – იქნება თუ არა სოხუმი რუსების ნაცვლად სხვების ჩაყენების თანახმა აფხაზეთის ფაქტობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების არაერთი განცხადებისა, ისინი არ დაუშვებენ ამას. მაშ რისი იმედი აქვთ თბილისსა და ვაშინგტონში? როგორ შეძლებენ ისინი ზემოაღნიშნული საკითხების მოგვარებას? ამ შემთხვევაში ვაშინგტონის კავალერისტული მიდგომა საწინააღმდეგო შედეგს გამოიღებს, მით უმეტეს, რომ ბუშის წარმავალი ხელისუფლება სულ უფრო ნაკლებად ანგარიშგასაწევი ხდება საერთაშორისო არენაზე.

წინა სტატიაში აღვნიშნე, რომ სოლანას სოხუმში ჩასვლა, რაც საქართველოს ხელისუფლებამ მოჭარბებულად დადებითად შეაფასა, ნაკლებად აღსატაცებელია, ვინაიდან ევროკავშირის აქტიური ჩართვა პროცესში კიდევ უფრო დააშორებს ისედაც დაშორებულ სოხუმს თბილისისაგან, მეტ თავდაჯერებას შემატებს მას, გაზრდის თბილისის გვერდის ავლით ბრიუსელში, აფხაზეთის საკითხების განხილვის შესაძლებლობას, გამოიყვანს იზოლაციაში მყოფ აფხაზეთს არასასურველი მდგომარეობიდან, რაც თავის მხრივ წყალს მიუშვებს მოსკოვ-სოხუმის წისქვილზე. მე იმ უაღრესად მცირე სადამიანთა რიცხვს მივეკუთვნები, ვინც თვლიდა და თვლის, რომ საერთაშორისო სარბიელზე აფხაზეთის საკითხის განხილვისას უნდა მონაწილეობდეს აფხაზეთის ფაქტობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები. ეს ინიციატივა თვით თბილისს უნდა გამოეჩინა, თვით თბილისს უნდა გადაედგა სოხუმ-თბილისს შორის არსებული პრობლემების მოგვარებისათვის გაბედული ნაბიჯები, მათ შორის სანქციების გაუქმებასთან დაკავშირებით და არა სხვა. ასეთი მიდგომა აღადგენდა ჩატეხილ ხიდს, ნდობის ფაქტორს, რაც გახსნიდა კარს ფართო დიალოგისათვის. ევროკავშირის დღევანდელი გეგმის კონფლიქტის მოწესრიგებაში მოსკოვი მთავარი მოთამაშეა, ბრიუსელი კი – შუამავალი. აფხაზეთის, როგორც მხარის ფართო მონაწილეობა საერთაშორისო სარბიელზე რომ გარდაუვალი იქნებოდა, ეს უნდა ცოდნოდა, როგორც გუშინდელ, ისე დღევანდელ საქართველოს ხელისუფლებას. ქართული ანდაზისა არ იყოს – ჩათრევას ჩაყოლა სჯობდა, მაგრამ ამის გაანალიზება, განჭვრეტა წარმოუდგენელია არაპროფესიონალ პოლიტიკოსთა და დიპლომატთა მხრიდან. მარტო ამერიკელებზე დაყრდნობა არ მოიტანს სასურველ შედეგს.

კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებით ევროპას ამერიკისაგან განსხვავებული გეგმა აქვს. მის მიხედვით პირველ ეტაპზე უნდა მოხდეს დაძაბულობის განელება, რაც ხელს შეუწყობს თბილის-სოხუმს შორის თავდაუსხმელობის ხელშეკრულების გაფორმებას. მეორე ეტაპზე უნდა განხორციელდეს აფხაზეთის აღდგენის სამუშაოები და ლტოლვილების დაბრუნება. ამ ხანგრძლივ პროცესში აქტიურად იქნება ჩართული ევროკავშირი. მესამე ეტაპზე შესაძლებელი გახდება აფხაზეთის სტატუსის განხილვის დაწყება. განხილვის დროს არ გამოირიცხება აფხაზეთის დამოუკიდებლობაც, თუმცა ამას ჯერ გულისხმობენ და ხმამაღლა არ ლაპარაკობენ. გერმანიის მიერ შემუშავებული გეგმა ზოგიერთ მომენტში წააგავს იმ გეგმას, რაც აფხაზებთან ერთად შევიმუშავეთ 5 წლის წინათ გერმანიაში, მხოლოდ აფხაზეთის დამოუკიდებლობის გამორიცხვით. რას ითვალისწინებდა ერთობლივად შემუშავებული გეგმა?: საქართველოს პრეზიდენტის მობოდიშებას ქართველი და აფხაზი ხალხის წინაშე 1992 წელს წამოწყებული სამხედრო ქმედებისთვის, ეკონომიკური სანქციების გაუქმების წინადადებით დსთ-თვის მიმართვას, თბილის-სოხუმს შორის თავდაუსხმელობის დოკუმენტის ხელმოწერას, ეკონომიკური, სატრანსპორტო, კულტურული სხვა ყველა სახის თანამშრომლობის დაწყებას და ამ საკითხების მოგვარებას ერთობლივი საბჭოს მეშვეობით, რომლის სხდომები თვეში ერთხელ გაიმართებოდა თბილისსა და სოხუმში, აფხაზეთის წარმომადგენლობის გახსნა თბილისში და თბილისისა – სოხუმში და სხვა. სავარაუდოდ აღებული იყო ათი წელი, რის შემდეგ დაიწყებოდა აფხაზეთის სტატუსის განხილვა. გერმანიის საგარეო უწყების ხელმძღვანელის შტაინმაიერის გეგმასაც არანაკლები დრო დასჭირდება, თუ მეტი არა. ხუთი თვის წინათ, რომ დაგვეწყო, ნახევარი გზა გავლილი გვექნებოდა, მაგრამ მაშინ რევოლუცია ამჯობინეს პოლიტიკოსებმა. აფხაზეთი აჭარა არ არის და ამ საკითხის მოგვარებას, თუნდაც ორივე მხარის ხელისუფლების სურვილისა, დიდი დრო დასჭირდება. მსოფლიოში მსგავსი ვითარება უცხო არ არის. მათი გადაჭრისათვის ათეული წლებიც არ არის საკმარისი.



გერმანული პროექტი როგორც ჩვენთვის, ისე აფხაზებისთვისაც არის ცნობილი. აქედან გამომდინარე ის არ მიიღებს თბილის-ვაშინგტონის გეგმას, რომელიც საქართველოს პრეზიდენტმა გაახმოვანა. ძნელია დაარწმუნო მეორე მხარე ავტონომიის სიკეთეებში, თუნდაც ფართო ავტონომიისა, როდესაც თავს დამოუკიდებლად აცხადებ. გარდა ამისა, რას ნიშნავს ფართო ავტონომია? ვიცე-პრეზიდენტის პოსტი და ვეტოს უფლება არ ნიშნავს ფართო ავტონომიას. პროექტი საჭიროებს დეტალურად გადახედვას, რაც დაფიქსირებული უნდა იყოს ქაღალდზე და არა ეთერში. ცალმხრივად შედგენილ დოკუმენტს ნაკლებად უწერია შედეგის მოტანა, ვინაიდან დასაწყისიდანვე ულტიმატუმური ხასიათის მატარებელია. თუნდაც ოქრო-ბრილიანტებით შემკული ცალმხრივი დოკუმენტი წინასწარვე მიუღებელი იქნება მეორე მხარისათვის. გაცილებით დიდი სარგებლის მოტანა შეუძლია ერთობლივად შედგენილ დოკუმენტს, რისთვისაც საჭიროა შესაბამისი ატმოსფეროს შექმნა. ლანძღვა-გინებით და ძალის დემონსტრირებით საქმე არ მოგვარდება. არც რუსეთის ფაქტორის იგნორირება წაადგება საქმეს.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი**
პოლიტოლოგი

# შპს „საქართველოს საარბიტრაჟო სასამართლოს" დებულება

**მუხლი 1. დებულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტება:**

1.ამ დებულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა)არბიტრაჟი – ერთი ან რამდენიმე წევრისაგან კანონით, მხარეთა შეთანხმებით და ამ დებულებით დადგენილი წესებით არჩეული (დანიშნული) ორგანო, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს მხარეთა შორის წამოჭრილი კონკრეტული დავა;

ბ)არბიტრი – არბიტრაჟის წევრი;

გ)კანონი – საქართველოს კანონი ,კერძო არბიტრაჟის შესახებ";

დ)კორესპონდენცია – საქმესთან დაკავშირებული ნებისმიერი ხასიათის ინფორმაციის შემცველი წერილობითი დოკუმენტი;

ე)საარბიტრაჟო განხილვის დაწყება – არბიტრაჟის მიერ დავაზე პირველი საარბიტრაჟო სხდომის ჩატარების დღე;

ვ) საარბიტრაჟო სასამართლო – შპს ,საქართველოს საარბიტრაჟო სასამართლო";

ზ) საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარე – შპს ,საქართველოს საარბიტრაჟო სასამართლოს" თავმჯდომარე (დირექტორი) ან მისი მოვალეობის შემსრულებელი;

თ) საარბიტრაჟო წარმოება – პროცესი, რომელიც იწყება სარჩელის წარმოებაში მიღებით და მთავრდება არბიტრაჟის მიერ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანით;

ი) სარჩელი – საარბიტრაჟო პრეტენზია.

2. ფუნქციებს, რომლებიც ამ დებულების მიხედვით განეკუთვნება საარბიტრაჟო სასამართლოს კომპეტენციას, ახორციელებს საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარე ან შესაბამისად უფლებამოსილი პირი.

**მუხლი 2. საარბიტრაჟო შეთანხმება**

1. საარბიტრაჟო შეთანხმება არის მხარეთა წერილობითი შეთანხმება, რომლითაც მხარეები თანხმდებიან დავა გადაწყვიტონ საარბიტრაჟო წესით.

2. საარბიტრაჟო შეთანხმება წერილობითი ფორმით დადებულად ითვლება, თუ მისი შინაარსი დაფიქსირებულია რაიმე ფორმით.

3.საარბიტრაჟო შეთანხმება დადებულად ითვლება სასარჩელო განცხადებისა და შეპასუხების (შეგებებული სარჩელის) მეშვეობით, რომელშიც ერთი მხარე ადასტურებს საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობას, ხოლო მეორე მხარე ამას არ ეწინააღმდეგება.

4.ხელშეკრულებაში რაიმე დოკუმენტზე მითითება, რომელიც შეიცავს საარბიტრაჟო დათქმას, წარმოადგენს საარბიტრაჟო შეთანხმებას იმ პირობით, რომ მოცემული დათქმა ხდება ხელშეკრულების ნაწილი.

5.თუ ერთ და იმავე დავასთან (ხელშეკრულებასთან) დაკავშირებით დადებულია რამდენიმე საარბიტრაჟო შეთანხმება, ძალაშია ის საარბიტრაჟო შეთანხმება, რომელიც უფრო გვიან არის მიღებული. ადრე დადებული საარბიტრაჟო შეთანხმება ან შეთანხმების ცალკეული ნაწილი მოქმედებს, თუ იგი არ ეწინააღმდეგება უფრო გვიან დადებულ შეთანხმებას.

6.საარბიტრაჟო შეთანხმება ავტონომიურია და არ არის დამოკიდებული იმ ხელშეკრულების პირობებზე, რომლის ნაწილსაც ის წარმოადგენს. ხელშეკრულების ბათილობა ავტომატურად არ იწვევს საარბიტრაჟო შეთანხმების ბათილობას.

**მუხლი 3. ზოგადი დებულებები**

1.არბიტრაჟი თავისი კომპეტენციის ფარგლებში განიხილავს პირებს შორის წამოჭრილ სამოქალაქო დავას, დებულებით დადგენილი წესების მიხედვით, თუ საარბიტრაჟო განხილვის მონაწილე მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

2.არბიტრაჟის კომპეტენციის საკითხს წყვეტს ამ დავის განმხილველი არბიტრაჟი. გადაწყვეტილებას თავისი კომპეტენციის და უფლებამოსილების შესახებ არბიტრაჟი იღებს დადგენილების სახით ან ეს საკითხი შეიძლება აისახოს საქმის არსებითად განხილვის შემდეგ საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში.

3.არბიტრაჟი (საარბიტრაჟო სასამართლო) ხელმძღვანელობს დებულების იმ რედაქციით, რომელიც მოქმედებს შესაბამისი საარბიტრაჟო-საპროცესო მოქმედების ჩატარების დროს.

4.თუ მხარეები სხვა რამეს არ დაადგენენ, მხარეთა შეთანხმება დავა განიხილონ ამ დებულების შესაბამისად გულისხმობს, რომ მხარეები შეთანხმებულნი არიან დავასთან დაკავშირებით არ მიმართონ არცერთი ქვეყნის სასამართლოს ან სახელმწიფო ორგანოს საარბიტრაჟო სასამართლოს (არბიტრაჟის) კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე.

5.მხარეთა შეთანხმება, რომელიც ადგენს დებულებით დადგენილი საქმის განხილვისა და სხვა საკითხების გადაწყვეტის განსხვავებულ წესს არბიტრაჟისათვის სავალდებულოა იმ შემთხვევაში, თუ ამგვარი შეთანხმების უფლება მხარეებს მინიჭებული აქვთ კანონით.

6.არბიტრაჟი და მხარეები მოქმედებენ ამ დებულების შესაბამისად. ამ დებულების რომელიმე წესის განმარტების, აგრეთვე ამ დებულებით მოუწესრიგებელი პროცედურული საკითხის გადაწყვეტის უფლებამოსილება აქვს არბიტრაჟს.

7.დავის სწრაფად და ობიექტურად გადაწყვეტის ინტერესებიდან გამომდინარე, საარბიტრაჟო სასამართლო (არბიტრაჟი) უფლებამოსილია განახორციელოს კანონით და დებულებით აუკრძალავი ან პირდაპირ გაუთვალისწინებელი ნებისმიერი მოქმედება.

8.თუ აღმოჩნდება, რომ ამ დებულების რომელიმე ნაწილი ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას ან იურიდიული ძალის არმქონეა, ეს ფაქტი გავლენას ვერ მოახდენს მისი დანარჩენი ნაწილებისა და მთლიანად დებულების იურიდიულ ძალასა და გამოყენებადობაზე.

**მუხლი 4. არბიტრაჟის შემადგენლობა, აცილება**

1.არბიტრთა რაოდენობა განისაზღვრება საარბიტრაჟო შეთანხმების შესაბამისად.

2.თუ საარბიტრაჟო შეთანხმება არ განსაზღვრავს არბიტრთა რაოდენობას, არბიტრაჟი შედგება სამი წევრისაგან.

3.საარბიტრაჟო სასამართლო უფლებამოსილია გაზარდოს ან შეამციროს არბიტრთა რაოდენობა ყოველი კონკრეტული საქმის სირთულისა და მხარეთა სურვილის გათვალისწინებით.

4.არბიტრაჟის წევრთა რაოდენობა არ შეიძლება იყოს ლუწი. თუ საარბიტრაჟო შეთანხმებით არბიტრაჟის შემადგენლობა ლუწი რიცხვით განისაზღვრება, საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარე დამატებით ნიშნავს ერთ წევრს.

5.არბიტრის დანიშვნისა და უფლებამოსილების შეწყვეტის უფლება აქვს მხოლოდ საარბიტრაჟო სასამართლოს.

6.არბიტრები ინიშნებიან (აირჩევიან) მხოლოდ საარბიტრაჟო სასამართლოს არბიტრთა სიიდან გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საარბიტრაჟო შეთანხმება პირდაპირ ითვალისწინებს მხარეთა ან მესამე პირის მიერ არბიტრის (არბიტრების) დანიშვნას (წარდგენას).

7.საარბიტრაჟო შეთანხმებაში პირდაპირ გათვალისწინებული მხარეთა ან მესამე პირის მიერ არბიტრის (არბიტრების) დანიშვნის (წარდგენის) უფლება გაიგება, როგორც არბიტრის (არბიტრების) კანდიდატურის წარდგენის უფლებამოსილება.

8.მხარეების მიერ არბიტრის (არბიტრების) წარდგენა უნდა მოხდეს წერილობით.

9.თუ დავაში მონაწილეობს ორზე მეტი მხარე და არბიტრაჟის წევრთა რაოდენობა განისაზღვრება ერთზე მეტით, მოსარჩელეები და მოპასუხეები წარადგენენ არბიტრთა თანაბარ რაოდენობას საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში და წესით.

10.მხარის ან მესამე პირის მიერ წარდგენილი არბიტრობის კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს კანონით, მხარეთა შეთანხმებითა და ამ დებულებით განსაზღვრულ პირობებს, წინააღმდეგ შემთხვევაში საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარე უფლებამოსილია უარი თქვას წარმოდგენილი კანდიდატურის არბიტრად დანიშვნაზე.

11.ერთწევრიანი არბიტრაჟის შემთხვევაში მხარეები თანხმდებიან არბიტრის – არბიტრაჟის თავმჯდომარის კანდიდატურაზე საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარის მიერ განსაზღვრულ ვადაში.

12.სამი ან მეტწევრიანი არბიტრაჟის შემთხვევაში მხარეები საარბიტრაჟო სასამართლოს არბიტრთა სიიდან ირჩევენ არბიტრთა თანაბარ რაოდენობას საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარის მიერ განსაზღვრულ ვადაში. შერჩეული არბიტრები დანიშვნიდან ხუთი დღის ვადაში ირჩევენ ერთ არბიტრს – არბიტრაჟის თავმჯდომარეს.

13.თუ განსაზღვრულ ვადებში მხარის (მხარეების) ან/და შერჩეული არბიტრების მიერ არ მოხდება არბიტრის (არბიტრების) წარდგენა, არბიტრს (არბიტრებს) თავისი შეხედულებისამებრ ნიშნავს საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარე ვადის გასვლიდან სამი დღის ვადაში.

14.არბიტრობის კანდიდატმა მის დანიშვნამდე საარბიტრაჟო სასამართლოს უნდა წარუდგინოს თავისი ბიოგრაფია, რომელშიც მიეთითება განათლება და კვალიფიკაცია, ნამსახურობის ნუსხა და ამჟამინდელი სამუშაო ადგილი. არბიტრობის კანდიდატი ასევე იძლევა წერილობით თანხმობას მისი არბიტრაჟის წევრად დანიშვნაზე და ავსებს დეკლარაციას იმის შესახებ, რომ არ არსებობს მისთვის ცნობილი ისეთი გარემოება, რომელმაც შეიძლება საფუძვლიანი ეჭვი გამოიწვიოს მის მიუკერძოებლობაში, დამოუკიდებლობასა და ობიექტურობაში და არ არსებობს კანონითა და ამ დებულებით გათვალისწინებული რაიმე დამაბრკოლებელი გარემოება მის არბიტრად დანიშვნასთან დაკავშირებით.

15.არბიტრობის კანდიდატი ვალდებულია სრულად აცნობოს საარბიტრაჟო სასამართლოს იმ გარემოებათა შესახებ, რომლებიც ეჭვქვეშ აყენებენ მის მიუკერძოებლობასა და დამოუკიდებლობას ან გამოიწვიოს კანონის დარღვევა.

16.დანიშნულ არბიტრთან საარბიტრაჟო სასამართლო დებს ხელშეკრულებას.

17.საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარე უფლებამოსილებას შეუწყვეტს დანიშნულ არბიტრს და დანიშნავს ახალ არბიტრს, თუ:

ა) არბიტრი გარდაიცვალა;

ბ) არბიტრი უარს აცხადებს არბიტრობაზე;

გ)არბიტრი დაავადდა ან სხვა მიზეზებით ვერ ახორციელებს თავის ფუნქციებს და მისი უფლებამოსილების შეწყვეტას წერილობით ითხოვს მხარე (მხარეები) ან დანარჩენი არბიტრები;

დ) საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარე მიიჩნევს, რომ არბიტრი განზრახ აჭიანურებს დავის განხილვას ან სისტემატურად არღვევს კანონის, საარბიტრაჟო შეთანხმებისა და ამ დებულების პირობებს, ან სამართლიანად და მიუკერძოებლად არ განიხილავს საქმეს ან ჯეროვნად არ ასრულებს თავის ფუნქციებს;

ე) არბიტრი არასაპატიო მიზეზით დატოვებს არბიტრაჟის სხდომას ან თუნდაც საპატიო მიზეზით ორჯერ არ გამოცხადდება არბიტრაჟის სხდომაზე;

ვ) ამ დებულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

18.მე-17 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში ახალი არბიტრი ინიშნება (აირჩევა) იმავე წესითა და პირობებით, როგორითაც მისი წინამორბედი.

19.არბიტრის (არბიტრების) დანიშვნის და უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარე იღებს განკარგულებას.

20.მხარეს უფლება არა აქვს შეცვალოს თავისი დანიშნული არბიტრი, თუ მხარეთა მიერ სხვა რამ არ არის დადგენილი ან ეს პირდაპირ არ არის გათვალისწინებული დებულებით.

21.მხარეს შეუძლია მოითხოვოს არბიტრის აცილება კანონით დადგენილი საფუძვლების არსებობისას, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ არსებობს რაიმე ისეთი გარემოებები, რომელიც დასაბუთებულ ეჭვს იწვევს არბიტრის მიუკერძოებლობასა და დამოუკიდებლობაში.

22.თუ განცხადებულ აცილებას ეთანხმება მეორე მხარეც, საარბიტრაჟო სასამართლო ვალდებულია დააკმაყოფილოს იგი.

23.მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს თავისი დანიშნული არბიტრის აცილება მხოლოდ იმ გარემოებათა გამო, რომლებიც მისთვის ცნობილი გახდა არბიტრის დანიშვნის შემდეგ.

24.მხარე ვალდებულია აცილების შესახებ განაცხადოს წერილობით ათი დღის ვადაში შესაბამისი არბიტრის დანიშვნის შესახებ ინფორმაციის მიღებიდან ან იმ დღიდან, როდესაც მისთვის ეს გარემოება ცნობილი გახდა ან უნდა სცოდნოდა. განცხადება აცილების შესახებ უნდა იყოს მოტივირებული.

25.საარბიტრაჟო სასამართლომ უნდა განიხილოს არბიტრის აცილების მოთხოვნის ყოველი ცალკეული შემთხვევა და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება. საარბიტრაჟო სასამართლომ შეიძლება განიხილოს ხანდაზმულობის ვადის დარღვევით განცხადებული აცილების მოთხოვნაც აცილებული არბიტრის ჰონორარის ნაწილობრივ ან სრულად განმცხადებელი მხარისათვის დაკისრების პირობით.

26.არბიტრაჟის მთელი შემადგენლობის ან არბიტრაჟის თავმჯდომარის შეცვლის შემთხვევაში მათ შეცვლამდე განხორციელებული ყველა საარბიტრაჟო მოქმედება უნდა განმეორდეს. ცალკეული არბიტრის შეცვლის შემთხვევაში საარბიტრაჟო მოქმედების განმეორების საკითხს წყვეტს არბიტრაჟი.

27.ექსპერტის, თარჯიმნის, სპეციალისტის, სხდომის მდივნის აცილება დასაშვებია დებულებით გათვალისწინებული საერთო საფუძვლით. აცილების საკითხს წყვეტს არბიტრაჟი.

**მუხლი 5. საარბიტრაჟო განხილვის ენა**

1.საარბიტრაჟო განხილვა წარმოებს იმ ენაზე, რომელიც მითითებულია საარბიტრაჟო შეთანხმებაში.

2.თუ საარბიტრაჟო შეთანხმების ენა განსაზღვრული არ არის მხარეთა შეთანხმებით, დავის განხილვა ხდება იმ ენაზე, რომელზეც შედგენილია საარბიტრაჟო შეთანხმება, ხოლო თუ საარბიტრაჟო შეთანხმება შედგენილია რამდენიმე ენაზე, განხილვა ხდება იმ ენაზე, რომელსაც ენიჭება უპირატესობა.

3.ყველა სხვა შემთხვევაში საარბიტრაჟო განხილვის ენა არის ქართული.

4.მხარეები ვალდებულნი არიან ნებისმიერი დოკუმენტი არბიტრაჟში წარადგინონ საარბიტრაჟო განხილვის ენაზე ოფიციალურად თარგმნილი სახით.

**მუხლი 6. საარბიტრაჟო განხილვის ადგილი**

1.საარბიტრაჟო განხილვის ადგილი არის საარბიტრაჟო სასამართლოს იურიდიული მისამართი, თუ მხარეები სხვა რამეს არ დაადგენენ ან თუ საარბიტრაჟო განხილვის ადგილი საქართველოს ფარგლებს გარეთაა.

2.საქმის ინტერესებიდან გამომდინარე არბიტრაჟი უფლებამოსილია საარბიტრაჟო სასამართლოსთან შეთანხმებით დავის განხილვისა თუ ცალკეული საპროცესო მოქმედების განხორციელების მიზნით შეიკრიბოს ნებისმიერ ადგილას იმ პირობით, რომ საარბიტრაჟო განხილვის ადგილი წარმოადგენს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მიღების ადგილს.

**მუხლი 7. გამოსაყენებელი სამართალი**

1.საარბიტრაჟო შეთანხმების იურიდიული ძალისა და არბიტრაჟის იურისდიქციის დადგენისას არბიტრაჟი გამოიყენებს მხარეთა მიერ მითითებულ სამართალს, ხოლო თუ ასეთი მითითებული არ არის, – საქართველოს სამართალს.

2.საარბიტრაჟო განხილვის პროცედურის მიმართ გამოიყენება საქართველოს სამართალი.

3.არბიტრაჟი საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ადგენს, თუ რომელი (ქვეყნის) მატერიალური სამართალი იქნას გამოყენებული დავის გადაწყვეტისას.

**მუხლი 8. კონფიდენციალობა**

1.არბიტრი და საარბიტრაჟო განხილვის მონაწილე ყველა პირი ვალდებულნი არიან სრული საიდუმლოებით შეინახონ ნებისმიერი ინფორმაცია, რაც მათთვის ცნობილი გახდა საარბიტრაჟო განხილვაში მათი მონაწილეობის შედეგად, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმდებიან.

2.საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამხელა შეიძლება მხოლოდ სასამართლოსთვის, სხვა კომპეტენტური ორგანოებისა და პირებისთვის გადაწყვეტილების აღსრულების, მისი შედეგების დადასტურების აუცილებლობის და/ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

**მუხლი 9. ურთიერთობა საარბიტრაჟო სასამართლოს,
არბიტრაჟსა და მხარეებს შორის**

1.საარბიტრაჟო სასამართლოს, არბიტრაჟსა და მხარეებს შორის ურთიერთობა ხდება წერილობით საარბიტრაჟო წარმოების ენაზე.

2.საქმესთან დაკავშირებული ყველა წერილობითი ინფორმაცია მხარეებსა და არბიტრებს ეგზავნებათ საარბიტრაჟო სასამართლოს მეშვეობით.

3.საჭიროების შემთხვევაში წერილობითი ინფორმაციის გადაცემა შესაძლებელია არბიტრაჟის მეშვეობით. ასეთ შემთხვევაში დოკუმენტაციის გაგზავნა ხორციელდება არბიტრაჟის თავმჯდომარის მიერ.

4.საარბიტრაჟო სასამართლოსათვის (არბიტრაჟისათვის) მხარის მიერ გაგზავნილ კორესპონდენციას უნდა ერთვოდეს ასლები ყოველი არბიტრისა და საქმეში მონაწილე დანარჩენი მხარისათვის.

5.საარბიტრაჟო სასამართლო (არბიტრაჟი) ვალდებულია ერთი მხარისაგან შემოსული კორესპონდენციის ასლი გადაუგზავნოს მეორე მხარეს მიღებიდან ორი დღის ვადაში, თუ ამ დებულებით ან მხარეთა შეთანხმებით სხვა ვადა არ არის მითითებული.

6.შესაძლებელია ადრესატს კორესპონდენცია პირადად ჩაბარდეს, ან გაეგზავნოს ფოსტით ან ნებისმიერი ელექტრონული და ტექნიკური საშუალებით, რომელიც იძლევა გაგზავნის დადასტურების ჩანაწერს.

7.მხარეს კორესპონდენცია ეგზავნება სარჩელში (განცხადებაში) ან ადრესატის მიერ მითითებულ მისამართზე. ასეთი მისამართის არარსებობის შემთხვევაში კორესპონდენცია იგზავნება საარბიტრაჟო სასამართლოსათვის (არბიტრაჟისათვის) ცნობილ უკანასკნელ საცხოვრებელ ან იურიდიულ მისამართზე ან სამუშაო ადგილზე.

8.კორესპონდენცია ჩაბარებულად ითვლება იმ დღიდან, როდესაც ადრესატმა იგი მიიღო ან უნდა მიეღო.

**მუხლი 10. ვადები**

1.საარბიტრაჟო-საპროცესო მოქმედების შესრულების ვადა განისაზღვრება ზუსტი კალენდარული თარიღით, იმ გარემოებაზე მითითებით, რომელიც აუცილებლად უნდა დადგეს, ან დროის მონაკვეთით.

2.საარბიტრაჟო-საპროცესო ვადა იწყება იმ კალენდარული თარიღის ან იმ მოვლენის დადგომის შემდგომი დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი.

3.საარბიტრაჟო-საპროცესო ვადა გამოითვლება მხოლოდ დღეებით.

4.თუ ვადის უკანასკნელი დღე ემთხვევა უქმე და დასვენების დღეს, ვადის დამთავრების დღედ ჩაითვლება მისი მომდევნო პირველი სამუშაო დღე.

5.საარბიტრაჟო-საპროცესო მოქმედება, რომლის შესასრულებლადაც დადგენილია ვადა, შეიძლება შესრულდეს ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე. თუ საჩივარი, საბუთები ან ფულადი თანხა ფოსტას ან ტელეგრაფს ჩაჰბარდა, ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე, ვადა გასულად არ ჩაითვლება.

6.ყველა დაუმთავრებელი საარბიტრაჟო-საპროცესო ვადა შეჩერდება საქმის წარმოების შეჩერებით. ვადების შეჩერება დაიწყება იმ გარემოებათა წარმოშობის დღიდან, რომლებიც საფუძვლად დაედო წარმოების შეჩერებას. წარმოების განახლების დღიდან საარბიტრაჟო-საპროცესო ვადის დენა განახლდება.

**მუხლი 11. საარბიტრაჟო განხილვის ხარჯები**

1.საარბიტრაჟო ხარჯებია: მოსაკრებელი, არბიტრაჟის ხარჯი და მხარეთა ხარჯი.

2.მოსაკრებელს შეადგენს სარეგისტრაციო მოსაკრებელი და საარბიტრაჟო მოსაკრებელი. საარბიტრაჟო მოსაკრებლიდან გაიცემა არბიტრთა ჰონორარი.

3.არბიტრაჟის ხარჯი არის კონკრეტული საქმის მიღების, განხილვისა და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ძალაში შესვლისათვის გაწეული დანახარჯი.

4.მხარეთა ხარჯი შედგება საარბიტრაჟო განხილვის დროს თავიანთი ინტერესების დასაცავად მხარეთა მიერ გაწეული ხარჯისაგან გარდა მოსაკრებლისა და არბიტრაჟის ხარჯისა.

5.ამ დებულებაში მითითებული საარბიტრაჟო ხარჯების ოდენობა მოცემულია დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე.

6.სარეგისტრაციო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 300 ლარს.

7.საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარე უფლებამოსილია შეამციროს სარეგისტრაციო მოსაკრებლის ოდენობა, მაგრამ არაუმეტეს 50 პროცენტით.

8.სარეგისტრაციო მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნას სარჩელის წარდგენასთან ერთად. სარეგისტრაციო მოსაკრებელი არ ექვემდებარება დაბრუნებას, თუნდაც საარბიტრაჟო სასამართლომ დავა არ მიიღოს წარმოებაში.

9.საარბიტრაჟო მოსაკრებელის გადახდევინება წარმოებს:

ა)სარჩელზე და შეგებებულ სარჩელზე;

ბ)განცხადებაზე, აგრეთვე საჩივარზე სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ.

10.სარჩელსა და შეგებებულ სარჩელზე საარბიტრაჟო მოსაკრებლის ოდენობა იანგარიშება დავის საგნის ღირებულებიდან და შეადგენს:

ა) თუ დავის საგნის ღირებულება არ აღემატება 100000 ლარს, 4 პროცენტს;

ბ) თუ დავის საგნის ღირებულება არის 100001 ლარიდან 500001 ლარამდე, 4000 ლარს დამატებული 100000 ლარს ზევით თანხის 3,5 პროცენტს;

გ) თუ დავის საგნის ღირებულება არის 500001 ლარიდან 1000001 ლარამდე, 18000 ლარს დამატებული 500000 ლარს ზევით თანხის 3 პროცენტს;

დ) თუ დავის საგნის ღირებულება არის 1000001 ლარიდან 2500001 ლარამდე, 30000 ლარს დამატებული 1000000 ლარს ზევით თანხის 2,5 პროცენტს;

ე) თუ დავის საგნის ღირებულება არის 2500001 ლარიდან 5000001 ლარამდე, 67500 ლარს დამატებული 2500000 ლარს ზევით თანხის 2 პროცენტს;

ვ) თუ დავის საგნის ღირებულება აღემატება 5000000 ლარს, 117500 ლარს დამატებული 5000000 ლარს ზევით თანხის 1,5 პროცენტს.

11.საბანკო და საკრედიტო დაწესებულებების დავებზე საარბიტრაჟო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 1,8 პროცენტს.

12.საარბიტრაჟო მოსაკრებლის მინიმალური ოდენობა განისაზღვრება 500 ლარით.

13.თუ კონკრეტულ დავაზე არბიტრთა რაოდენობა ერთზე მეტია, სარჩელსა და შეგებებულ სარჩელზე საარბიტრაჟო მოსაკრებლის ოდენობა იზრდება ყოველ დამატებულ არბიტრზე 1 პროცენტით, მაგრამ არანაკლებ 200 ლარით.

14.განცხადებაზე, აგრეთვე საჩივარზე სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ საარბიტრაჟო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს სადავო საგნის ღირებულების 0,5 პროცენტს, მაგრამ არანაკლებ 100 ლარისა.

15.გადახდა უნდა მოხდეს საარბიტრაჟო სასამართლოს საბანკო ანგარიშზე თანხის შეტანით.

16.საარბიტრაჟო მოსაკრებელი და არბიტრაჟის ხარჯი ავანსის სახით წინასწარ შეაქვს სარჩელის (თხოვნის) აღმძვრელ მხარეს ან ორივე მხარეს. არბიტრაჟის ხარჯის საავანსო თანხას განსაზღვრავს საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარე. საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარე უფლებამოსილია ერთ ან ორივე მხარეს გადაუვადოს ან გაუნაწილვადოს თანხის გადახდა და დაუდგინოს გადახდის კონკრეტული ვადა (ვადები) საავანსო თანხის მითითებით. საავანსო თანხის ნაცვლად საარბიტრაჟო სასამართლოს შეუძლია მიიღოს საბანკო ან სხვა სახის გარანტია. დადგენილი თანხის გადაუხდელობა ჩაითვლება სარჩელზე (თხოვნაზე) უარის თქმად და არბიტრაჟი (საარბიტრაჟო სასამართლო) შეწყვეტს საქმის წარმოებას ან არ განიხილავს შესაბამის თხოვნას.

17.საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარე უფლებამოსილია შეამციროს საარბიტრაჟო მოსაკრებლის ოდენობა არაუმეტეს 50 პროცენტით. საარბიტრაჟო მოსაკრებლის მეტი ოდენობით შემცირების საკითხს წყვეტს საარბიტრაჟო სასამართლოს პარტნიორთა კრება.

18.დავის საგნის ღირებულებას მიუთითებს მოსარჩელე. თუ მოსარჩელის მიერ მითითებული ფასი აშკარად არ შეესაბამება დავის საგნის ნამდვილ ღირებულებას, დავის საგნის ფასს განსაზღვრავს საარბიტრაჟო სასამართლო.

19.თუ ერთ სარჩელში სხვადასხვა ვალდებულებიდან (ხელშეკრულებიდან) მომდინარე რამდენიმე სხვადასხვა მოთხოვნაა ჩამოყალიბებული, დავის საგნის ღირებულება განისაზღვრება თითოეული მოთხოვნისათვის ცალ-ცალკე და შესაბამისად ცალ-ცალკე დგინდება საარბიტრაჟო მოსაკრებლის ოდენობა.

20.ექსპერტების, სპეციალისტებისა და თარჯიმნების სამუშაოსა და არბიტრაჟში გამოცხადებისათვის საჭირო ხარჯებს წინასწარ გაიღებს მხარე, რომელმაც იშუამდგომლა ამის თაობაზე.

21.საარბიტრაჟო მოსაკრებლის ოდენობა განახევრდება, თუ მოსარჩელემ უარი თქვა თავის სარჩელზე.

22.მხარეთა მორიგების შემთხვევაში საარბიტრაჟო მოსაკრებლის ოდენობა შემცირდება:

ა)50 პროცენტით, თუ მხარეები მორიგდნენ საარბიტრაჟო განხილვის დაწყებამდე;

ბ)30 პროცენტით, თუ მხარეები მორიგდნენ საარბიტრაჟო განხილვის დაწყების შემდეგ.

23.თუ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანის მომენტისათვის აღმოჩნდა, რომ ავანსად გადახდილი საარბიტრაჟო ხარჯების ოდენობა აღემატება საჭირო რაოდენობას, საარბიტრაჟო სასამართლო სხვაობას უბრუნებს ერთ ან ორივე მხარეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში ხარჯების განაწილების შესაბამისი პროპორციით.

24.თუ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანის მომენტისათვის აღმოჩნდა, რომ ავანსად გადახდილი საარბიტრაჟო ხარჯების ოდენობა საჭირო რაოდენობაზე ნაკლებია, მხარემ (მხარეებმა) დაუყოვნებლივ უნდა დაფაროს განსხვავება. არბიტრაჟის წევრებს შეუძლიათ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას ხელი მოაწერონ მხოლოდ მაშინ, თუ საარბიტრაჟო სასამართლოსაგან მიიღებენ დასტურს მხარის (მხარეების) მიერ საარბიტრაჟო ხარჯების სრულად დაფარვის ან საარბიტრაჟო სასამართლოსათვის დამაკმაყოფილებელი სხვაგვარი შესრულების შესახებ.

25.თუ მხარეებმა საარბიტრაჟო შეთანხმებით ან მორიგების დროს თვითონ გაითვალისწინეს საარბიტრაჟო ხარჯების განაწილების წესი, არბიტრაჟი ამ საკითხს წყვეტს მათი შეთანხმების შესაბამისად.

26.თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან, იმ მხარის მიერ გაღებული საარბიტრაჟო ხარჯების გადახდას, რომლის სასარგებლოდაც იქნა მიღებული გადაწყვეტილება, არბიტრაჟი აკისრებს მეორე მხარეს მხოლოდ მოგებული მხარის მოთხოვნის საფუძველზე. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, თანხის დაკისრება მოხდება შედეგის პროპორციულად.

27.თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან, სხვა კერძო არბიტრაჟის გადაწყვეტილების შეცვლის შემთხვევაში არბიტრაჟი შესაბამისად შეცვლის საარბიტრაჟო ხარჯების განაწილებასაც.

**მუხლი 12. მტკიცებულებები**

1.თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.

2.საარბიტრაჟო განხილვისათვის საჭირო მტკიცებულებებს წარმოადგენენ მხარეები. არბიტრაჟს შეუძლია შესთავაზოს მხარეებს წარმოადგინონ დამატებითი მტკიცებულებები და ამისათვის დაუწესოს გარკვეული ვადა.

3.თუ არბიტრაჟის მიერ დადგენილ ვადებში მხარე არასაპატიო მიზეზით არ წარმოადგენს არბიტრაჟის მიერ მოთხოვნილ საქმის გარჩევასთან დაკავშირებულ დოკუმენტებს, არბიტრაჟი უფლებამოსილია გადაწყვეტილება გამოიტანოს მის ხელთ არსებული მასალის საფუძველზე.

4.ნებისმიერი მოსმენის დაწყებამდე არბიტრაჟი უფლებამოსილია მოითხოვოს ნებისმიერი მხარისაგან იმ მოწმეთა შესახებ წინასწარი ინფორმაციის წარმოდგენა, რომლის გამოძახებასაც მხარე აპირებს. ინფორმაციაში უნდა აისახოს მათი ჩვენების საგანი და საარბიტრაჟო განხილვასთან მისი კავშირი.

5.არბიტრაჟს შეუძლია დაადგინოს დრო და ფორმა, რა დროშიც და რა ფორმითაც უნდა წარედგინოს ასეთი ინფორმაცია არბიტრაჟს, ასევე შეუძლია განსაზღვროს მოწმის (მოწმეთა) გამოსვლის დრო და ნებისმიერ დროს შეაწყვეტინოს მას ჩვენების მიცემა, თუ იგი სცილდება კონკრეტულ შემთხვევაში განსახილველ საკითხებს.

6.თუ არბიტრაჟი სხვაგვარად არ დაადგენს, მოწმის (მოწმეთა) ჩვენება ნებისმიერი მხარის მიერ შეიძლება წარმოდგენილ იქნას წერილობით. ამასთან, ნებისმიერ მხარეს შეუძლია შუამდგომლობით მიმართოს არბიტრაჟს, რათა მოწმე, რომლის ჩვენებაც წერილობით იყო წარმოდგენილი, გამოძახებულ იქნას საქმის ზეპირ მოსმენაზე. იმ შემთხვევაში, თუ გამოძახებული მოწმე არ გამოცხადდება საპატიო მიზეზების გარეშე, არბიტრაჟი თავისი შეხედულებისამებრ წყვეტს ამ მოწმის წერილობითი ჩვენების მტკიცებულებად მიღების საკითხს.

7.ნებისმიერი მოწმე, რომელიც ზეპირ ჩვენებას იძლევა, შეიძლება დაკითხულ იქნას ნებისმიერი მხარის მიერ. ამასთან, არბიტრაჟს ნებისმიერ დროს შეუძლია დაუსვას შეკითხვები მოწმეს ჩვენების მიცემის დროს.

8.თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან, არბიტრაჟს შეუძლია თავისი ინიციატივით ან მხარის თხოვნის საფუძველზე დანიშნოს ერთი ან რამდენიმე ექსპერტი კონკრეტულ საკითხზე არბიტრაჟისათვის დასკვნის მისაცემად.

9.არბიტრაჟს შეუძლია ნებისმიერ მხარეს მოთხოვოს ექსპერტისათვის წარსადგენი აუცილებელი ინფორმაცია და დოკუმენტაცია, რომელიც მოცემულ მხარესთან ინახება და მხარე ვალდებულია არბიტრაჟის მიერ განსაზღვრულ დროში წარმოადგინოს ასეთი ინფორმაცია ან/და დოკუმენტაცია.

10.თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან, ნებისმიერ მხარეს შეუძლია მოითხოვოს ექსპერტის (ექსპერტების) მოწვევა ზეპირ განხილვაზე. ექსპერტის მიერ წარმოდგენილი დასკვნის გამო მხარეებსა და არბიტრაჟს უფლება აქვთ ექსპერტს (ექსპერტებს) დაუსვან შეკითხვები მათთვის საინტერესო საკითხებზე.

11.არბიტრაჟის მიერ დანიშნული ნებისმიერი ექსპერტის ჰონორარი და ხარჯი ამ დებულების შესაბამისად გადაიხდება მხარეთა მიერ შემოტანილი ავანსების ხარჯზე, რომელიც შედის საარბიტრაჟო განხილვის ხარჯში.

12.მხარის განცხადება მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ სასამართლოსათვის მიმართვის მოთხოვნით არბიტრაჟს წარედგინება წერილობითი ფორმით.

13.შუამდგომლობაში მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ უნდა აისახოს:

ა) მტკიცებულებანი, რომელთა უზრუნველყოფაც აუცილებელია;

ბ) გარემოებანი, რომელთა დასადასტურებლადაც საჭიროა ეს მტკიცებულებანი;

გ) მიზეზები, რომლებმაც აიძულა განმცხადებელი მიემართა შუამდგომლობით მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ.

14.მტკიცებულებათა უზრუნველყოფის მოთხოვნით სასამართლოსათვის მიმართვის შესახებ არბიტრაჟი იღებს დადგენილებას, ხოლო საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარე – განკარგულებას. ასეთი დადგენილების (განკარგულების) მიღებით საარბიტრაჟო-საპროცესო ვადა ჩერდება შესაბამისი მტკიცებულებების მიღებამდე.

15.მხარეებს, იმისგან დამოუკიდებლად, მონაწილეობდნენ თუ არა ისინი მტკიცებულებათა უზრუნველყოფაში, უფლება აქვთ გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები და მიუთითონ იმ ხარვეზებზე, რომლებსაც, მათი აზრით, ადგილი ჰქონდა უზრუნველყოფის დროს.

16.მხარის განცხადებით არბიტრაჟს (საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარეს) შეუძლია მიმართოს სასამართლოს მტკიცებულებათა დამატებითი ან განმეორებითი უზრუნველყოფის შესახებ განჩინების გამოტანის მოთხოვნით.

17.მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად გაწეულ ხარჯებს გადაიხდის პირი, რომელმაც იშუამდგომლა არბიტრაჟის (საარბიტრაჟო სასამართლოს) წინაშე ასეთი უზრუნველყოფის შესახებ. მოწინააღმდეგე მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს მტკიცებულებათა უზრუნველყოფაში მონაწილეობისათვის მის მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურება. საბოლოოდ ამ ხარჯების განაწილება მოხდება არბიტრაჟის მიერ საქმის არსებითად გადაწყვეტისას.

**მუხლი 13. სარჩელი**

1.საარბიტრაჟო წარმოების დაწყების საფუძველია მხარის სარჩელი.

2.სარჩელი შედგენილი უნდა იყოს წერილობითი ფორმით და შეიცავდეს:

ა) მხარეთა სრულ დასახელებას და მისამართებს;

ბ) დავის საგნის აღწერასა და მოთხოვნას;

გ)გარემოებებსა და მტკიცებულებებს, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნებს;

დ) სარჩელის ფასს, თუ შესაძლებელია მისი შეფასება;

ე) საარბიტრაჟო შეთანხმებას, თუ ასეთი არსებობს;

ვ)არბიტრობის კანდიდატის (კანდიდატთა) სახელს, გვარს, მისამართს, პროფესიას და სხვა მონაცემებს, თუ საარბიტრაჟო შეთანხმებით არბიტრის (არბიტრების) კანდიდატურის წარდგენის უფლება მინიჭებული აქვს მხარეს;

ზ)მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტებს;

თ)საარბიტრაჟო განხილვასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს, რასაც მნიშვნელობა აქვს საარბიტრაჟო წარმოებისათვის.

3.სარჩელში შეიძლება იყოს აგრეთვე მოსარჩელის მოთხოვნა არბიტრაჟისადმი (საარბიტრაჟო სასამართლოსადმი), რათა მან:

ა)დაავალოს მოპასუხეს იმ მტკიცებულებათა წარმოდგენა, რომლებიც მასთან ინახება და რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას;

ბ)გამოითხოვოს მტკიცებულებები და დაიბაროს მოწმეები;

გ)მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ მიმართოს სასამართლოს.

4.თუ სარჩელი შეტანილია ამ მუხლში მითითებული მოთხოვნების დარღვევით, საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარე მოსარჩელეს მისცემს ვადას ხარვეზის გამოსასწორებლად. თუ დანიშნულ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სარჩელი შეტანილად არ ჩაითვლება და დაუბრუნდება მოსარჩელეს.

5.საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარე ვალდებულია სარჩელის მიღებიდან სამი დღის განმავლობაში თავისი განკარგულებით მიიღოს იგი წარმოებაში ან უარი თქვას მის მიღებაზე.

6.წარმოებაში მიღებული სარჩელი თანდართულ დოკუმენტებთან ერთად უნდა გადაეგზავნოს მოპასუხეს ორი სამუშაო დღის ვადაში.

7.დავის საარბიტრაჟო განხილვისათვის მომზადების მიზნით საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარე (არბიტრაჟი):

ა)გადაუგზავნის მოპასუხეს სარჩელს და თანდართული საბუთების ასლებს;

ბ)დაუნიშნავს მოპასუხეს ვადას წერილობით შეადგინოს და წარმოადგინოს თავისი პასუხი სარჩელსა და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე თავისი მოსაზრებები სარჩელზე დართული საბუთების შესახებ.

გ)წინადადებას არბიტრის შერჩევის შესახებ.

8.მოპასუხე მხარემ სარჩელის მიღებიდან ერთი კვირის ვადაში საარბიტრაჟო სასამართლოს (არბიტრაჟს) უნდა მიაწოდოს თავისი პასუხი სარჩელზე. საარბიტრაჟო სასამართლო (არბიტრაჟი) უფლებამოსილია მოპასუხე მხარის მოთხოვნის საფუძველზე გააგრძელოს აღნიშნული ვადა მხოლოდ ერთხელ, არაუმეტეს ერთი კვირით.

9.მოპასუხის წერილობით პასუხში მითითებული უნდა იყოს:

ა) ცნობს თუ არა მოპასუხე სარჩელს;

ბ) თუ სარჩელს არ ცნობს, კომენტარებს მოსარჩელის მიერ მითითებულ გარემოებებზე და მოთხოვნაზე;

გ) შეგებებულ სარჩელს (მოთხოვნებს), თუ ასეთი არსებობს.

დ) გარემოებებსა და მტკიცებულებებს, რომლებზედაც მოპასუხე ამყარებს თავის მოთხოვნებს;

ე)არბიტრობის კანდიდატის (კანდიდატთა) სახელს, გვარს, მისამართს, პროფესიას და სხვა მონაცემებს, თუ საარბიტრაჟო შეთანხმებით არბიტრის (არბიტრების) კანდიდატურის წარდგენის უფლება მინიჭებული აქვს მხარეს;

ვ)საარბიტრაჟო განხილვასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს, რასაც მნიშვნელობა აქვს საარბიტრაჟო წარმოებისათვის.

10.შესაგებლის გაუგზავნელობა მოპასუხეს უფლებას არ ართმევს უარყოს სასარჩელო მოთხოვნები ან/და წარადგინოს შეგებებული სარჩელი საარბიტრაჟო განხილვის პერიოდში.

11.შეგებებული სარჩელის წარდგენა შეიძლება სარჩელის წარდგენის შესახებ არსებული წესების დაცვით.

**მუხლი 14. სარჩელის უზრუნველყოფა**

1.მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს საარბიტრაჟო სასამართლოს ან არბიტრაჟს განცხადებით სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. განცხადება უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებას, აგრეთვე მითითებას იმაზე, თუ უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს საჭიროდ.

2.განცხადებას სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტს საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარე ან, თუ არბიტრაჟი არჩეულია სრული შემადგენლობით, არბიტრაჟის თავმჯდომარე განცხადების შეტანიდან 3 დღის ვადაში.

3.სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარეს ან არბიტრაჟის თავმჯდომარეს გამოაქვს გადაწყვეტილება, რომელშიც მითითებული უნდა იყოს, თუ უზრუნველყოფის რა კონკრეტული ღონისძიება იქნას გამოყენებული. გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი ნოტარიალურად დამოწმების მომენტიდან.

4.სარჩელის უზრუნველსაყოფად გამოტანილ გადაწყვეტილებაზე მოპასუხეს შეუძლია შეიტანოს საჩივარი, რომელიც უნდა შეიცავდეს:

ა)სარჩელის უზრუნველსაყოფად გამოტანილი გადაწყვეტილების და ამ გადაწყვეტილების გამომტანი ორგანოს ზუსტ დასახელებას;

ბ)მითითებას, თუ რა ზომით უნდა გაუქმდეს ან შეიცვალოს გადაწყვეტილება უზრუნველყოფის შესახებ;

გ)გარემოებებს, რომელთა გამოც უნდა გაუქმდეს ან შეიცვალოს გადაწყვეტილება უზრუნველყოფის შესახებ.

5.სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა შეადგენს ხუთ დღეს და მისი დენა იწყება უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილების მოპასუხისათვის გადაცემის მომენტიდან.

6.საარბიტრაჟო საჩივრის შეტანა ვერ შეაჩერებს უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილების აღსრულებას, მაგრამ არბიტრაჟს შეუძლია გარკვეული დროით შეაჩეროს აღსრულება ან გააუქმოს უზრუნველყოფისათვის უკვე მიღებული ღონისძიებები.

7.სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილების აღსრულება ხდება დაუყოვნებლივ.

8.მხარის თხოვნით დასაშვებია სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლა.

9.ფულადი თანხების გადახდევინების შესახებ სარჩელის უზრუნველყოფისას მოპასუხეს შეუძლია მიღებულ უზრუნველყოფის ღონისძიებათა ნაცვლად მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი თანხა შეიტანოს საარბიტრაჟო სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე.

10.საკითხს იმის შესახებ, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიება უნდა იქნას გამოყენებული, წყვეტს საარბიტრაჟო სასამართლოს (არბიტრაჟის) თავმჯდომარე.

11.სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები შეიძლება იყოს:

ა)ყადაღის დადება ქონებაზე, ფასიან ქაღალდებსა თუ ფულად სახსრებზე, რომლებიც მოპასუხეს ეკუთვნის და არის მასთან ან სხვა პირთან;

ბ)მოპასუხისათვის გარკვეული მოქმედების შესრულების აკრძალვა;

გ) მოპასუხის დავალდებულება გადასცეს მის მფლობელობაში არსებული ნივთი სასამართლო აღმასრულებელს სეკვესტრის (ქონების იძულებითი მართვა) სახით;

დ) სხვა ღონისძიებები, თუ ეს აუცილებელია სარჩელის უზრუნველყოფისათვის.

12.აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება დაშვებულ იქნას სარჩელის უზრუნველყოფის რამდენიმე სახე.

13.საარბიტრაჟო სასამართლოს (არბიტრაჟის) თავმჯდომარეს შეუძლია მოთხოვოს მოსარჩელეს მოპასუხისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა.

14.თუ სარჩელის უზრუნველსაყოფად გამოყენებული ღონისძიებები გაუმართლებელი გამოდგა იმის გამო, რომ მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელზე და გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში, ანდა იმის გამო, რომ საარბიტრაჟო სასამართლოს (არბიტრაჟის) თავმჯდომარემ გააუქმა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, მაშინ დაზარალებული მხარის მოთხოვნით შესაძლებელია არბიტრაჟმა დაადგინოს, რომ იმ მხარემ, რომლის სასარგებლოდაც მოხდა უზრუნველყოფა, აუნაზღაუროს მეორე მხარეს ზარალი, რაც მას მიადგა სარჩელის უზრუნველსაყოფად გატარებულ ღონისძიებათა შედეგად.

**მუხლი 15. საარბიტრაჟო განხილვა**

1.არბიტრაჟი დამოუკიდებლად წყვეტს თავისი მუშაობის წესს ამ დებულების შესაბამისად და მხარეთა ერთობლივ მოთხოვნათა გათვალისწინებით.

2.არბიტრაჟი გადაწყვეტილებებს იღებს ხმათა უმრავლესობით, ხოლო უმრავლესობის არარსებობის შემთხვევაში საპროცესო საკითხებზე გადაწყვეტილებებს ერთპიროვნულად იღებს არბიტრაჟის თავმჯდომარე.

3.არბიტრაჟის სხდომები დახურულია, თუ ორივე მხარე წერილობით არ მოითხოვს ღია განხილვის გამართვას.

4.არბიტრაჟი ვალდებულია შეადგინოს საარბიტრაჟო სხდომის ან ცალკეული საარბიტრაჟო-საპროცესო მოქმედების ოქმი, თუ ამის შესახებ პირდაპირ მითითებულია საარბიტრაჟო შეთანხმებაში ან არბიტრაჟი ოქმის შედგენას მიიჩნევს აუცილებლად.

5.მხარეებს გონივრულ ვადაში უნდა ეცნობოთ მოსმენის გამართვის დრო და ადგილი, რათა მათ მოახერხონ ასეთ მოსმენაზე გამოცხადება.

6.თუ საარბიტრაჟო შეთანხმება პირდაპირ ითვალისწინებს და არბიტრაჟი ამას მისაღებად ჩათვლის, საარბიტრაჟო განხილვა შეიძლება წარიმართოს მხოლოდ წერილობითი მასალის საფუძველზე მხარეთა ზეპირი მოსმენის გარეშე.

7.არბიტრაჟს ზეპირი მოსმენის დაწყებამდე შეუძლია მხარეებს გადასცეს შეკითხვების სია, რომლებზეც მას განსაკუთრებულად და დაწვრილებით სურს მათგან პასუხის მოსმენა.

8.მხარეები საქმეებს აწარმოებენ უშუალოდ ან წარმომადგენლების მეშვეობით. მხარის გამოუცხადებლობა, თუ მას ამ დებულებით დადგენილი წესითა და ვადაში ეცნობა საქმის განხილვის დროისა და ადგილის თაობაზე, ხელს არ უშლის საქმის განხილვას და გადაწყვეტლების მიღებას, თუ გამოუცხადებელმა მხარემ წერილობით არ იშუამდგომლა განხილვის გადადება საპატიო მიზეზის მითითებით. მხარეს შეუძლია მოითხოვოს საქმის განხილვა მის დაუსწრებლად.

9.ნებისმიერ მხარეს შეუძლია საქმის განხილვის დამთავრებამდე შეცვალოს ან შეავსოს თავისი სარჩელის მოთხოვნები ან შესაგებელი, რომლის დასაშვებობის საკითხსს წყვეტს არბიტრაჟი.

10.აუცილებლობის შემთხვევაში არბიტრაჟის ან მხარეთა ინიციატივით შეიძლება გადაიდოს ან შეჩერდეს საქმის განხილვა. გადაწყვეტილებას საქმის გადადების ან შეჩერების შესახებ იღებს არბიტრაჟი დადგენილებით.

11.ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით შესაძლებელია საქმეში მესამე პირის ჩართვა. მესამე პირის ჩასართავად აუცილებელია ამ პირისა და დავის მონაწილე დანარჩენი მხარეების წერილობითი თანხმობები.

12.მესამე პირის საქმეში ჩართვის საკითხს წყვეტს არბიტრაჟი (საარბიტრაჟო სასამართლო).

**მუხლი 16. არბიტრაჟის დამატებითი უფლებამოსილებანი**

თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმდებიან, არბიტრაჟი უფლებამოსილია:

ა)გადაწყვიტოს ნებისმიერი საკითხი, რომელიც დაკავშირებულია ხარჯის განაწილებასთან;

ბ)გააგრძელოს ან შეამციროს ნებისმიერი ვადა, რომელიც გათვალისწინებულია საარბიტრაჟო შეთანხმებით, ამ დებულებით ან არბიტრაჟის გადაწყვეტილებით;

გ)დაავალდებულოს ნებისმიერი მხარე წარმოადგინოს ექსპერტიზისათვის საჭირო ნივთი და დოკუმენტაცია, რომელიც ამ მხარის კონტროლის ქვეშ იმყოფება, აგრეთვე ყველა ის დოკუმენტი, რასაც კონკრეტული საქმის განხილვისას არბიტრაჟი საჭიროდ მიიჩნევს;

დ)მიიღოს გადაწყვეტილება მტკიცების ან სხვა წესების გამოყენების თუ გამოუყენებლობის შესახებ, რომლებიც ეხება საქმისათვის ნებისმიერი დოკუმენტის დაშვებას, შემხებლობას და მნიშვნელობას, აგრეთვე ნებისმიერი ფაქტის, საკითხის და ექსპერტის აზრის შესახებ და განსაზღვროს მხარეთა შორის დოკუმენტების გაცვლის დრო და ფორმა;

ე)განსაზღვროს მხარეთა შორის დადებული ნებისმიერი კონტრაქტისა და საარბიტრაჟო შეთანხმების შესწორების პროცედურა, რომელიც აუცილებელია რაიმე შეცდომის გამოსასწორებლად, რომელსაც არბიტრაჟი მხარეთა საერთო ინტერესად მიიჩნევს, ოღონდ იმ ფარგლებში, რაც დაშვებულია ამ კონტრაქტისთვის ან/და საარბიტრაჟო შეთანხმებისათვის მარეგულირებელი კანონმდებლობით;

ვ)აუცილებლობის შემთხვევაში მხარის თხოვნით ან საკუთარი ინიციატივით გადადოს ან შეაჩეროს საქმის განხილვა, აგრეთვე შეაჩეროს საპროცესო ვადა.

**მუხლი 17. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება**

1.საქმეზე არბიტრაჟს გამოაქვს გადაწყვეტილება საარბიტრაჟო განხილვის დაწყებიდან 30 დღის ვადაში, თუ მხარეთა მიერ სხვა რამ არ არის დადგენილი.

2.საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გამოტანილი უნდა იქნას საარბიტრაჟო განხილვის დამთავრებიდან ხუთი დღის ვადაში.

3.თუ საარბიტრაჟო განხილვის რომელიმე ეტაპზე მხარეები მიაღწევენ სრულ შეთანხმებას ყველა სადავო საკითზე, არბიტრაჟი წყვეტს საარბიტრაჟო განხილვას და გამოაქვს შესაბამისი გადაწყვეტილება მორიგების შესახებ განცხადების შეტანიდან სამი დღის განმავლობაში.

4.რამდენიმე არბიტრისაგან შემდგარ არბიტრაჟს გადაწყვეტილებას იღებს ხმების უმრავლესობით. თუ არბიტრი უარს აცხადებს ხელი მოაწეროს გადაწყვეტილებას, ამის შესახებ უნდა აღინიშნოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში. არბიტრი, რომელიც არ ეთანხმება უმრავლესობას, შეუძლია წერილობით ჩამოაყალიბოს თავისი განსხვავებული აზრი. განსხვავებული აზრი დაერთვის საქმეს. არბიტრებს უფლება არა აქვთ გაახმაურონ თათბირის დროს გამართული მსჯელობა

5.საარბიტრაჟო გადაწყვეტილება უნდა ჩამოყალიბდეს წერილობითი ფორმით საარბიტრაჟო განხილვის ენაზე და მასში უნდა აღინიშნოს:

ა)გადაწყვეტილების გამოტანის დრო და ადგილი;

ბ)საარბიტრაჟო სასამართლოს სრული დასახელება და არბიტრაჟის შემადგენლობა;

გ) მხარეთა ვინაობა და მისამართები;

დ) საარბიტრაჟო შეთანხმება;

ე) დავის საგანი;

ვ) სამოტივაციო ნაწილი იმ დასაბუთებით, რის საფუძველზეც არბიტრაჟმა მიიღო გადაწყვეტილება (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საარბიტრაჟო შეთანხმება პირდაპირ ითვალისწინებს სამოტივაციო ნაწილის არარსებობას);

ზ) არბიტრაჟის დადგენილება;

თ) გადაწყვეტილების აღსრულების ვადა.

6.საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი ნოტარიალურად დამოწმებისა და მხარეთათვის მისი გადაცემის მომენტიდან.

7.საარბიტრაჟო გადაწყვეტილება საბოლოოა და სავალდებულოა მხარეთათვის შესასრულებლად.

8.ძალაში შესულ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაზე სააღსრულებო ფურცელს (წარწერას) გასცემს საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარე.

9.ერთ-ერთი მხარის მოთხოვნის საფუძველზე ან არბიტრაჟის ინიციატივით, გადაწყვეტილების გამოტანიდან 30 დღის განმავლობაში დაიშვება არბიტრაჟის მიერ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების განმარტება ან/და მასში დაშვებული მექანიკური,ტიპოგრაფიული,თუ გაანგარიშებაში დაშვებული შეცდომის გასწორება. ასეთი განმარტება წარმოადგენს გადაწყვეტილების შემადგენელ ნაწილს, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან.

**მუხლი 18. საქმის წარმოების შეწყვეტა გადაწყვეტილების გამოტანის გარეშე**

1.თუ საქმეზე არ მიიღება საბოლოო გადაწყვეტილება, საარბიტრაჟო განხილვა წყდება დადგენილებით საქმის შეწყვეტის შესახებ.

2.საქმის წარმოება წყდება:

ა)მოსარჩელის მიერ თავის მოთხოვნაზე უარის თქმისას, თუ მოპასუხე ასეთი შეტყობინების მიღებიდან ორი კვირის ვადაში არ წამოაყენებს თავის პრეტენზიებს საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ და არბიტრაჟი არ დაადგენს მოპასუხის კანონიერ ინტერესს დავის ბოლომდე მოწესრიგების თაობაზე;

ბ)თუ არსებობს მხარეთა შეთანხმება საარბიტრაჟო განხილვის შეწყვეტის თაობაზე;

გ)თუ არბიტრაჟს მიაჩნია, რომ რაიმე მიზეზით შეუძლებელია ან საჭირო არ არის საქმის შემდგომი განხილვა, კერძოდ თუ არ არსებობს ის წანამძღვრები, რომლებიც აუცილებელია საქმის არსებითად განხილვისათვის.

**მუხლი 19. დასკვნითი დებულებები**

1.სხვა არბიტრაჟის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გადასინჯვა წარმოებს ამ დებულებით გათვალისწინებული დავის განხილვის საერთო წესების დაცვით იმ განსხვავებით, რომ მხარეებს შეუძლიათ სარჩელის ნაცვლად საარბიტრაჟო სასამართლოში შეიტანონ ერთობლივი საჩივარი.

2.ყველა იმ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც გათვალისწინებული არ არის ამ დებულებით, არბიტრაჟი და მხარეები მოქმედებენ კანონისა და ამ დებულების სულისკვეთებით და იყენებენ ყველა შესაძლებლობას იმის უზრუნველსაყოფად, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას ჰქონდეს იურიდიულად გამოყენებადი ძალა.

**დამტკიცებულია შპს „საქართველოს საარბიტრაჟო სასამართლოს" პარტნიორთა კრების მიერ 2008 წლის 12 მაისს**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# აფხაზეთს ომი არ სურს



**1990-იანი წლების დასაწყისის მწვავე ომის შემდეგ პატარა აფხაზეთის რესპუბლიკა, რომელიც იმყოფება სუბტროპიკებში, გამოეყო საქართველოს და სურს იყოს დამოუკიდებელი.** აფხაზეთი არ ულიარებია ჯერჯერობით არც ერთ სახელმწიფოს, მაგრამ მას ენერგიულად მხარს უჭერს რუსეთი. ეს იწვევს საქართველოს, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატებისა და დასავლეთში მისი მოკავშირეების უკმაყოფილებას. წელს მას შემდეგ, რაც აფხაზეთმა ჩამოაგდო თავის ტერიტორიაზე რამდენიმე ქართული უპილოტო მზვერავი თვითმფრინავი, ხოლო რუსეთმა რეგიონში შეიყვანა დამატებითი ჯარები, მკვეთრად გაძლიერდა იმის საშიშროება, რომ გაჩაღდება ახალი შეიარაღებული კონფლიქტი. აფხაზეთის 59 წლის პრეზიდენტი სერგეი ბაღაფში გვიამბობს საქართველოსთან კონფლიქტის შესახებ.

ამას წინათ საქართველომ კოდორის ხეობაში გადაიყვანა დიდი სამხედრო კონტინგენტი, ამბობს სერგეი ბაღაფში. და, რასაკვირველია, როდესაც ჩვენი რესპუბლიკის საზღვარზე ან ტერიტორიაზე თავს იყრის ჯარები, ეს ყოველთვის სერიოზული საფრთხეა.

ამ შემთხვევაში ამ საშიშროების სერიოზულობა განპირობებულია იმით, რომ ამ მოქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს ადრე ხელმოწერილი შეთანხმების დარღვევა. მოსკოვის შეთანხმება, რომელსაც ხელი მოაწერეს საქართველომ და აფხაზეთმა 1991 წელს, აცხადებს, რომ ხეობაში ან კონფლიქტის ზონაში საერთოდ არ შეიძლება ჯარების შეყვანა.

ამრიგად, სამწუხაროდ, საქართველოს მოქმედება წმინდა წყლის პროვოკაციაა. მიხეილ სააკაშვილმა დაიწყო იმის მტკიცება, რომ აფხაზეთი — ეს საქართველოს ტერიტორიაა, რომ რაიონი, რაზეც მიდის საუბარი — მხოლოდ მთების პატარა ნაწილია, და რომ სააკაშვილი დაიწყებს „პიროზების კარნახს“ და ა.შ. მაგრამ მისი მოქმედების რეალური შედეგი იყო აფხაზეთსა და საქართველოს შორის მოლაპარაკების პროცესის სრული შეწყვეტა.

1990-იან წლებში მოლაპარაკებები ნაყოფიერი იყო: მიმდინარეობდა ნორმალური პროცესი სამინისტროების კონტაქტებისა; ჩვენ განვიხილავდით ენერგეტიკის საკითხებს, სარკინიგზო მიმოსვლებსა და ა.შ. მაგრამ მას შემდეგ, რაც ხელისუფლებაში მოვიდა სააკაშვილი, ეს ყველაფერი შეწყდა. რატომ? იმიტომ, რომ დაიწყო „სამხედრო ისტერია“. მან განაცხადა: „ჩვენ მოვდივართ, ჩვენ დაგასაფლავებთ“, გავაკეთებთ ამას, გავაკეთებთ იმას.

დაშინებაზე ჩვენ ვახდენდით რეაგირებას, თუმცა არ გვეშინოდა. ჩვენ ვამბობდით: „თუ თქვენ ეს გსურთ, გააკეთეთ. გააკეთეთ! ჩვენ აფხაზეთში გელოდებით. ვნახავთ, თუ როგორც გააკეთებთ ამას“. და თუ ვინმე ფიქრობს, რომ დიდი მხარდაჭერა, რასაც საქართველო იღებს დასავლეთიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, თურქეთის სპეციალისტებისაგან, რომლებიც ამზადებენ საქართველოს იმისათვის, რომ მან დააკმაყოფილოს ნატოს კრიტერიუმები — დაეხმარება საქართველოს სწრაფად გადაჭრას თავისი პრობლემები აფხაზეთთან დაკავშირებით, იგი ძალიან დიდად ცდება.

ამგვარი სიტუაციებიდან არის მხოლოდ ერთი გონივრული გამოსავალი — დიალოგის შესაძლებლობა. ჩვენ მზადა ვართ მივუსხდეთ მოლაპარაკების მაგიდას, თუ საქართველო გამოიყვანს თავის ჯარებს კოდორის ხეობიდან. ჩვენ კი, ჩვენის მხრივ, არ მივაყენებთ დარტყმებს ამ რაიონს — ზუსტად ისევე, როგორც თავს ვიკავებდით დარტყმისაგან წარსულში, მაშინაც კი, როცა ამის შესაძლებლობები გვქონდა.

ჩვენ ვინარჩუნებთ სიმშვიდეს. ჩვენ ვიცით, თუ როგორია ჩვენი ძალები და როგორ განვითარდება მოვლენები. თუ საქართველოს ჰყავს მეგობრები — ამერიკის შეერთებული შტატები, ევროკავშირი — შესანიშნავია. მე მომწონს, როდესაც მყავს მეგობრები. ჩვენ თვითონაც არ ვართ უნათესაონი. რუსეთის ფედერაცია, ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები, ყუბანელი და დონელი კაზაკები — აი ჩვენი მეგობრები.

თუ საქართველოს და მის მოკავშირეებს სურთ გააჩაღონ ლოკალური ომი ჩვენს წინააღმდეგ, ესე იგი აფხაზეთის, ან სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ, ეს მას არაფერს მისცემს. ომში ჩაებმება მთელი კავკასია. საქართველო აიჯანყებს თავის წინააღმდეგ ყველას. უბრალოდ ასე მოქცევა არ შეიძლება — ედავო ყველას, ვინც შენს გარშემოა.

საქართველო — ეს არის ქვეყანა, რომელსაც ყოველთვის შეეძლო სტუმრების კარგად მიღება, მიეღწია კომპრომისისათვის. მე ვიცნობ საქართველოს, ჩემი მეუღლე ქართველია, მე იქ ვცხოვრობდი და ვმუშაობდი. ეს ნორმალური, კარგი ხალხია. დარწმუნებული ვარ, რომ დედამიწის ზურგზე არ არიან ცუდი ხალხები, არამედ არიან მხოლოდ არაკეთილსინდისიერი პოლიტიკოსები, რომლებიც თავიანთ ხალხს აყენებენ ისეთ მდგომარეობაში, რომ მთელი მსოფლიო მიიჩნევს მას ფაშისტ ხალხად ან აგრესორებად. შეხედეთ, რა მოხდა გერმანიაში. საჭირო გახდა ქვეყნის ბრძნული ხელმძღვანელობა ათეული წლების განმავლობაში, რომ მას თავი დაეღწია ცუდი რეპუტაციისათვის, მოეხსნა იგი, როგორც ყულფი თავისი ყელიდან. ახლა კი ასეთი სცენარისკენ უბიძგებენ საქართველოსაც.

ჩვენ აფხაზეთში არ გვინდა ომი. ჩვენ გვინდა შევქმნათ ჩვენი საკუთარი პატარა, დემოკრატიული, დემილიტარიზებული სახელმწიფო, სადაც ხალხი ჩამოვა დასასვენებლად, სადაც ჩვენ ვიცხოვრებთ კარგად და მეტი არაფერი.

ჩვენთვის საერთაშორისო აღიარება და ეკონომიკური განვითარება — ერთმანეთთან დაკავშირებული ცნებებია. ჩვენ გვინდა ვუჩვენოთ ევროპასა და მთელ მსოფლიოს, რომ ვვითარდებით დემოკრატიული გზით. 1990-იანი წლებიდან ჩვენ შევქმენით აფხაზეთში ყველა აუცილებელი სახელმწიფო ინსტიტუცია. ომის შემდეგ ეს იყო ძნელი პროცესი: არ გვქონდა საჭმელი, არ გვქონდა ფული, პენსიებს ვერ ვუხდიდით, არ გვქონდა სამუშაო ადგილები, ხალხი იკვებებოდა ხილითა და მარცვლეულით, რაც თავად მოჰყავდა.

და შეხედეთ, მაშინ ჩვენ არავინ გვეკითხებოდა: „როგორაა თქვენთან საქმე?“ არსებობდა გაერო და დიდი ევროპული სახელმწიფოები, სადაც ხალხი კარგად ცხოვრობდა, მაგრამ ჩვენ არავინ გვეკითხებოდა: „როგორ ცხოვრობთ, პატარა ქვეყანავ, სადაც ყველაფერი ნანგრევებშია?, რას ჭამთ?“ ეს იყო, როდესაც 15-55 წლის მამაკაცებს უკრძალავდნენ რესპუბლიკიდან გასვლას, როდესაც ჩვენი მოქალაქეები იხოცებოდნენ იმიტომ, რომ არ შეგვეძლო აფხაზეთში შემოგვეტანა წამალი მათ გადასარჩენად.

ჩვენ შევქმენით ჩვენი ეკონომიკა სრული ეკონომიკური ბლოკადის პირობებში. დღესაც ჩვენ გვიჭირს წამლის შემოტანა. ჩვენ — პატარა ქვეყანა ვართ, მაგრამ ჩვენც ხომ ხალხი ვართ, განა ასე არ არის? ამას გარდა, ჩვენ ევროპელები ვართ. ჩვენ ვერაფრით ვერ ვგებულობთ, რატომ შეიძლება კოსოვომ მიიღოს დამოუკიდებლობა, აფხაზებმა კი არა.

**ტომ პარფიტი**

**Guardian**

---

# კავკასიური მისია

**გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა შტაინმაიერმა კავკასიის ვულკანზე მოაწყო სასწრაფო გარბენა. მისი მიზანი იყო მოძრაობაში მოეყვანა პროცესი, რომელმაც შეეძლება მოხსნას დაძაბულობა, ან შეიძლება, გადაჭრას კონფლიქტი აფხაზეთის რესპუბლიკაში, რომელმაც გამოაცხადა დამოუკიდებლობა საქართველოსგან. არ არის საჭირო ექსპერტობა, რათა გაიგო, რომ ეს მოგზაურობა არ იყო ჩვეულებრივი.**

მსგავსი რამ აქამდე არ ყოფილა: გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მეთაურმა იმოგზაურა პოსტსაბჭოთა სივრცეში, ესე იგი რუსეთის ყოფილ „შინაგან სხეულში“, ამ დროს მოსკოვი არ იგინება, არამედ მიჩერებია ყოველივე ამას კეთილგანწყობილებით. არ არის ჩვეულებრივი ისიც, რომ გერმანია კისრულობს ინიციატივას საერთაშორისო კონფლიქტში, ამუშავებს ყველაზე ნამდვილ სამშვიდობო მოწესრიგების გეგმას და ამ დროს იზიდავს კონფლიქტის ყველა მხარეს. საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატებმაც კი უნდა გაიგონ ეს და შეეჩვიონ მას. ეს იგრძნობა უკვე იმითაც, რომ ისინი ფრთხილად ეკიდებიან სიტყვა „შუამავალს“. მეორე მხრივ, გერმანია უკვე რამდენიმე წელია გამოდის როგორც გაეროს გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფის კოორდინატორი საქართველოსთან დაკავშირებით. ახლა დადგა აქტივობის გაზრდის დრო.

მოქმედება იქნება დროული მაშინ, როდესაც კავკასიის სამხრეთში უკვე აღარ იქნება გამწვავებული სიტუაცია. ეს კი წარმოადგენს საშიშროებას: ერთგვარად ღირსებაშელახული მოსკოვი კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარების გამო, აგრეთვე ნატოს გეგმებთან დაკავშირებით მიიღოს თავის რიგებში უკრაინა და საქართველო, აძლიერებს სამხედრო და ეკონომიკურ მხარდაჭერას აფხაზეთისათვის. ამას გარდა მან რეგიონში გაზარდა სამხედრო ყოფნა, განაცხადა საერთაშორისო გაერთიანების მიერ უღიარებელი სოხუმის ხელისუფლებასთან ფორმალური ურთიერთობების აღიარების შესახებ და მოსკოვიდან ბრძანებით ჩამოაგდებინა ქართული უპილოტო მზვერავი თვითმფრინავი აფხაზეთში. ამრიგად ქართულ ხელისუფლებაზე ხდებოდა ზემოქმედება — იმ მიზნით, რომ თბილისმა გადახედოს თავის პოლიტიკას დასავლეთთან დაახლოების საქმეში. მაგრამ თბილისს ეს სულაც არ აღელვებს. მოუხელთებელი პრეზიდენტის სააკაშვილის გარემოცვაში არიან ძორებიც კი, რომლებიც მზად არიან აღადგინონ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა ძალის დახმარებით. ხოლო ქართული არმია ამერიკის ხელმძღვანელობით ხდება კიდევ უფრო დარწმუნებული თავის ძალებში. აფხაზეთი კი კვლავ რჩება „გაყინულ კონფლიქტად“? ასე იყო ადრე.

არ შეიძლება უბრალოდ დახუჭო თვალი იმ საშიშროებაზე, რომ გერმანიამ შეიძლება ვერც კი გათვალოს თავისი ძალები ამ თამაშში დიდი მასშტაბით. მშვიდობიანი მოწესრიგების სამეტაპიანი გეგმა არ იქნებოდა ბერლინის მიერ დამუშავებული, თუ იქ მიიჩნევდნენ, რომ ამ საქმისათვის ხელი არ უნდა მოეკიდათ. ამისათვის კი არსებობს ბევრი მიზეზი: ურთიერთობა ქართველებსა და გერმანელებს შორის ტრადიციულად უფრო მჭიდროა, ვიდრე სხვა ევროპელებთან და არა მხოლოდ გენშერისა და შევარდნაძის დროიდან. ამას გარდა, საქართველოს უკვე დიდი ხანია უნდა გაიყვანოს ეს კონფლიქტი საერთაშორისო დონეზე. ამას განეკუთვნება ისიც, რომ შტაინმაიერს იმედი აქვს, რომ მას მოუსმენს უწინარეს ყოვლისა მოსკოვი.

აქ ერთმანეთს იცნობენ და ერთმანეთს ენდობიან: პრეზიდენტი მედვედევი პუტინის დროს სათავეში ედგა კრემლის ადმინისტრაციას, როდესაც შტაინმაიერი შრიოდერის დროს სათავეში ედგა მის უწყებას. ამჟამად გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი თავისი მივლინების დროს მიღებული იქნა პრეზიდენტ მედვედევის მიერ, როგორც უკანასკნელი გაჩერება, საღამოს ფინჯან ჩაიზე. ბერლინში დიდი ყურადღებით ადევნებდნენ თვალყურს რუსეთის პრეზიდენტის გამოსვლას დიპლომატების წინაშე. და გამოსვლის საფუძველზე ბერლინში, როგორც ეტყობა, გააკეთეს დასკვნა, რომ მომავალში მოსკოვი თავის საგარეო პოლიტიკაში წავა უფრო მცირე კონფრონტაციის გზით, ვიდრე ადრე. ამიტომ ბერლინში იმედი აქვთ, რომ აფხაზეთი გახდება ასეთი ცვლილებების ნიმუში. ჟღერს მეტად მნიშვნელოვნად, რათა იქცეს სიმართლედ.

და, მიუხედავად ამისა, მოსკოვში, ეტყობა, დაიწყეს გაგება, რომ საქართველო, მიუხედავად გადაუჭრელი კონფლიქტებისა ორ გამოყოფილ რეგიონში, არც ისე შორეულ მომავალში შეძლებს დაიწყოს ნატოში შესვლის პროცესი. დასავლეთი არავის მისცემს ნებას თავისი შანტაჟირებისა. მაშინ როგორ გამოიყურება რუსეთი? ამას გარდა იმისიც უნდა გვეშინოდეს, რომ აფხაზეთის მინელებადი ხანძარი შეიძლება ნეგატიურად აისახოს 2014 წლის სოჭის ოლიმპიურ თამაშებზე. თავად აფხაზები? მათ ესმით, რომ მოსკოვის მთელი რიტორიკის მიუხედავად, იგი, ალბათ, არ აღიარებს აფხაზეთს დამოუკიდებლად ჩეჩნეთის გამო. მაგრამ ამასთან ერთად მათ არ სურთ იყვნენ ერთ-ერთ ყველაზე უმცირეს ხალხად რუსეთში. ალბათ, ისინი დათანხმდებიან თბილისთან პირდაპირ მოლაპარაკებაზე, თუ ქართული ჯარები გამოვლენ კოდორის ხეობის ზედა ნაწილიდან. ქართველები, თავის მხრივ, აყენებენ პირობას, რომელიც ითვალისწინებს, რომ აფხაზეთში უნდა დაბრუნდნენ ქართველი ლტოლვილები.

ჯერჯერობით ბერლინის დიპლომატები უკან არ იხევენ ამ ცარიელი ლაყბობისაგან. ისინი მოხარული არიან იმისიც, რომ საგარეო საქმეთა მინისტრის მგზავრობის შედეგად გაჩნდა გარკვეული დინამიკა. ბოლოს და ბოლოს, ხომ ასეა მიღებული, რომ ჯერ კონფლიქტის მხარეებს უჭირავთ უკიდურესი პოზიციები, რაზეც ისინი შემდგომში უარს ამბობენ. ერთი ცხადია: ყველაზე დიდი წინააღმდეგობის გადალახვა იქნება მოლაპარაკების დაწყება. ის ფაქტი, რომ გერმანული გეგმა ითვალისწინებს მოლაპარაკებებს ყველაზე რთულ საკითხზე სტატუსთან დაკავშირებით მხოლოდ ბოლოს, მოსჩანს გონივრულად. აღდგენის ერთობლივ პროექტებში ჩართვა შეიძლება გახდეს იმპულსი. თუმცა, ყოველ შემთხვევაში, აქამდე ჯერ კიდევ შორია.

**ოლივერ ხოიშენი**

**Frankfurter Allgemeine**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# შეანდახება რემონტის შემდეგ



**საქართველოს ხელისუფლება, როგორც თავად აცხადებს, ზეიმობს დიპლომატიურ გამარჯვებას — რუსეთის სარკინიგზო ჯარების ბატალიონი 400 სამხედრო მოსამსახურის შემადგენლობით, რომლებიც არემონტებდნენ სოხუმი-ოჩამჩირის მონაკვეთს, მალე დატოვებს აფხაზეთის ტერიტორიას.** აღდგენითი სამუშაოების დამთავრება გათვალისწინებულია 6 აგვისტოსათვის. რუსეთის სამხედრო უწყების ცნობით, რუსეთის თავდაცვის მინისტრმა ანატოლი სერდიუკოვმა უკვე მოაწერა ხელი სათანადო ბრძანებას, რომელიც გამოქვეყნდება უახლოეს პერიოდში. მოლაპარაკების პროცესი, რომელსაც რეგიონისათვის მეტად დიდი ცხოვრებისეული მნიშვნელობა ჰქონდა, ამოქმედდა რუსეთისა და საქართველოს პრეზიდენტების შეხვედრის შემდეგ სოჭში 2003 წლის მარტში. იმ შეხვედრის შედეგების მიხედვით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი გამჭოლი სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის საკითხებზე. რუსი და ქართველი რკინიგზელები ერთობლივად იკვლევდნენ სოხუმი-ოჩამჩირის მონაკვეთს ჯერ კიდევ 2005 წელს, ამტკიცებს რუსეთის რკინიგზის გაერთიანების ვიცე-პრეზიდენტი მიხეილ აკულოვი. რუსი სამხედრო რკინიგზელები აფხაზეთში შეყვანილ იქნენ 2008 წლის 31 მაისს. ვლადიმერ პუტინმა ჯერ კიდევ რუსეთის პრეზიდენტად ყოფნის დროს, თავისი ბრძანებულებით აპრილის შუა რიცხვებში დაავალა მთავრობას, შეიმუშაოს ღონისძიებები აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობისათვის საგნობრივი დახმარების აღმოჩენის შესახებ. რუსეთის მთავრობას დაევალა იმოქმედოს უღიარებელი რესპუბლიკების ფაქტობრივ ორგანოებთან. მოსკოვი თავის მოქმედებას აფასებდა, როგორც ჰუმანიტარულ დახმარებას. მაგრამ აფხაზეთში რუსი სარკინიგზო ჯარების ბატალიონის შეყვანამ გამოიწვია თბილისის მკვეთრი ნეგატიური რეაქცია, ამ ფაქტს უწოდეს „აგრესია". ნატოს გენერალურმა მდივანმა იაპ დე ჰოოპ სხეფერმა მოუწოდა რუსეთს, გამოეყვანა თავისი სარკინიგზო ჯარები უღიარებელი რესპუბლიკიდან. რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრო ადასტურებდა რუსეთის სამხედრო რკინიგზელების ყოფნას აფხაზეთში, როგორც კანონიერს. საქართველო მოითხოვდა ქვედანაყოფების გამოყვანას, ამავე დროს სამშვიდობოებისაც. აფხაზეთში სამხედრო რკინიგზელების ყოფნის საკითხს განიხილავდნენ სანკტ-პეტერბურგშიც დსთ-ს სამიტზე ივნისის დასაწყისში საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტები. რუსი რკინიგზის ბატალიონისათვის წინააღმდეგობის გაწევა იყო არა მხოლოდ დიპლომატიური, თუმცა ბატალიონი იმყოფებოდა აფხაზეთში უიარაღოდ. ცდილობდნენ ხელი შეეშალათ სამხედრო რკინიგზელებისათვის. ივლისის შუა რიცხვებში რკინიგზის ერთ-ერთ მონაკვეთზე ამოიღეს ტანკსაწინააღმდეგო ნაღმი, რომელიც იქ ჩადებული იყო აღმოჩენამდე ერთი თვით ადრე. ნაღმი იყო საბრძოლო მდგომარეობაში. უკვე ივნისის დასაწყისში რუსეთის მხარემ განაცხადა: სარკინიგზო ჯარების ბატალიონი შეძლებს მთლიანად აღადგინოს ხაზი ორი თვის განმავლობაში. სწორედ ეს ვადა იყო აღნიშნული ოფიცრებისათვის მიცემულ განკარგულებაში. რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მინისტრი იძლეოდა პირობას, რომ რუსეთის სარკინიგზო ჯარები დატოვებენ აფხაზეთს ორი თვის შემდეგ, მას შემდეგ, რაც შეასრულებენ დასახულ ამოცანას. თუმცა აფხაზები დაბეჯითებით მოითხოვდნენ მათ იქ ყოფნას სამი-ოთხი თვის განმავლობაში. ამას ისინი იმით ასაბუთებდნენ, რომ აფხაზეთში რკინიგზის აღდგენა საჭიროა უწინარეს ყოვლისა სოჭის ოლიმპიური ობიექტების მშენებლობისათვის.

სოხუმი-ოჩამჩირის სარკინიგზო მონაკვეთი არ იყო ექსპლოატაციაში უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში, რის შედეგადაც მოხდა ხისა და ლითონის ელემენტების ბუნებრივი ნგრევა. მუშაობას ართულებდა მისასვლელი გზების უქონლობაც — ძნელი იყო რკინიგზის ვაგონამდე ტვირთის მიტანა.

ბატალიონის რესპუბლიკაში ყოფნის აუცილებლობა უკვე აღარ არის. ამჟამად მუშავდება ტექნიკური საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ქვედანაყოფის პერედისლოკაციასთან.

ნიკოლაი პოროსკოვი

ВРЕМЯ НОВОСТЕЙ

# ბიურო აფხაზეთის მხარესაა




**ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ამასწინანდელი გამწვავების შემდეგ რუსმა სამართალდამცავებმა მოინახულეს უღიარებელი რესპუბლიკა. მგზავრობის დროს მათ თავიანთი თვალით ნახეს, თუ როგორ ვითარდება აფხაზეთის სამოქალაქო საზოგადოება, და ნახეს კონფლიქტის გადაჭრის გზები. სამშაბათს სამართალდამცველებმა თავის აფხაზ კოლეგებთან ერთად ილაპარაკეს რესპუბლიკაში თავისი ვიზიტის შედეგების შესახებ. სამართალდამცველები ადასტურებენ, რომ რესპუბლიკა ვითარდება დემოკრატიული გზით. თუმცა მას დახმარება ძალიან სჭირდება.**

მოსკოვის ადამიანთა უფლებების აქტივისტები, რომლებიც დაინტერესებული იყვნენ აფხაზეთის მოქალაქეთა ცხოვრებით, ამას წინათ დაბრუნდნენ რეგიონში მოგზაურობიდან. ისინი აცხადებენ:

„უღიარებელ რესპუბლიკაში არასტაბილურმა სიტუაციამ გამოიწვია რეგიონის ინვესტიციური მიმზიდველობის დაცემა და ტურისტების მნიშვნელოვანი უკუსვლა". რუსეთის საზოგადოებრივი პალატის წევრმა, ადამიანთა უფლებების მოსკოვის ბიუროს დირექტორმა ალექსანდრე ბროდმა, რომელმაც გახსნა ღონისძიება, ჟურნალისტების ყურადღება მიაპყრო იმას, რომ მოსკოვის ადამიანთა უფლებების ბიურო პარტნიორულ ორგანიზაციებთან ერთად უკვე დიდი ხანია აკეთებს უღიარებელ რესპუბლიკაში ვითარების ანალიზს. სამართალდამცველები აწარმოებდნენ დნესტრისპირეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების მონიტორინგს, იმოგზაუროს ჩრდილოეთ კავკასიაში, ინგუშეთში, დაღისტანში და ჩეჩნეთში. მათი ყურადღების გარეშე არ დარჩა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ბოლოდროინდელი გამწვავებაც.

„ჩვენ ყველას გვახსოვს 1992-1993 წლის მოვლენები. ჩვენ შევხვდით კოლეგებს აფხაზეთის საზოგადოებრივ პალატიდან, რათა გავცნობოდით რესპუბლიკის სამოქალაქო ინსტიტუტების განვითარებას, მასობრივი ინფორმაციების საშუალებების წარმომადგენლებს, სასამართლო სისტემის მუშაკებს და ა.შ." მისი სიტყვებით, სამართალდამცველებმა შემოიარეს მთელი რესპუბლიკა, შეხვდნენ პრეზიდენტს, სპიკერს, ადგილობრივი ხელისუფლებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების, ბიზნესის წარმომადგენლებს, რიგით მოქალაქეებს. პირველი შთაბეჭდილება მძიმეა. რესპუბლიკა ჯერ კიდევ არ გამოსულა სამხედრო მოქმედებებიდან. როგორც დამოუკიდებელი ექსპერტების მონაცემები გვიჩვენებენ, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობას, ეკონომიკას მიადგა დაახლოებით 11 მილიარდ დოლარის ზარალი, დაიღუპა 3 ათასი კაცი.

მან აღნიშნა, რომ აფხაზეთის ქალაქები მძიმე მდგომარეობაშია. დანგრეულია სახლები, მიტოვებულია საწარმოები. ამიტომ ქართველ ლტოლვილებს არ ექნებათ საშუალება, რომ დაბრუნდნენ აფხაზეთში. „ეჭვგარეშეა, ხალხი უნდა დაბრუნდეს იქ, სადაც ცხოვრობდნენ სამხედრო მოქმედებამდე, მაგრამ ამჟამად მათ არ აქვთ დაბრუნების ადგილი, ვინაიდან სახლები დანგრეულია", — განაცხადა ბროდმა.

ВЗГЛЯД ДЕЛОВАЯ ГАЗЕТА

დედამიწის ზურგზე



**აშშ** რუსეთის უკმაყოფილოა, ვინაიდან იგი აპირებს გადასცეს ჩავესს ორი მილიარდი დოლარის ღირებულების თანამედროვე იარაღი. „ჩვენ არაერთგზის გამოგვიხატავს შეშფოთება რუსეთის მისამართით, რომელიც აიარაღებს ჩავესს", — განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარემ გონსალო გელიეგოსმა. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას მიაჩნია, რომ ჩავესს არ სჭირდება ასეთი შეიარაღება. იგი მხოლოდ ასე ახდენს ძალის დემონსტრაციას.

* * *

**ჩინეთის** ხელისუფლებამ თავიანთი მოქალაქეების უსაფრთხოებისათვის სპეციალური სახელმძღვანელო გამოსცა, რომელშიც 39 დებულებაა ჩამოყალიბებული თუ როგორ უნდა დაიცვა თავი ექსტრემალურ სიტუაციებში. ჩინელები თვლიან, რომ ოლიმპიადის მსვლელობის დროს განსაკუთრებულ საფრთხეს ტერორისტების მხრიდან უნდა ელოდონ.

* * *

**ბელორუსიაში** დაიწყო ნადირობა უცნობ მაიმუნისმაგვარ არსებაზე: მხეცი დაიმალა ბელორუსის ტყეებში. ამოუცნობი არსების დასაჭერად სათანადო სამსახურებმა მოიმარაგეს ბადეები. წინა დღით არსება, „რომელიც მაიმუნს ჰგავდა", გამოჩნდა ლიდსის რაიონში, სადაც იგი პირველად შეამჩნიეს. იქ ბევრი უღრანი ტყეა და არსების დაჭერა მეტად რთული იქნება, აფრთხილებს მილიცია.





**იერუსალიმში** იბრძვიან „ბულდოზერული ტერაქტების" წინააღმდეგ: არაბებს აუკრძალეს ტრაქტორებზე მუშაობა. ისრაელის შინაგან საქმეთა მინისტრი მეიერ შიტრიტი გამოვიდა გაფრთხილებით, რომ აუკრძალავს არაბ მცხოვრებლებს იმუშაონ მძიმე სამშენებლო ტექნიკაზე. წინა დღის მორიგი „ბულდოზერული ტერაქტის" შედეგად დაიჭრა 11 კაცი, მისი შემსრულებელი იყო ბულდოზერის მძღოლი. იგი მოკლულია.

* * *

**საშინელი** ტრაგედია დატრიალდა კოლუმბიაში. ეკვადორის საზღვართან კოლუმბიის დედაქალაქ ბოგოტას სამხრეთით მთიან მასივში სამგზავრო ავტობუსი ხრამში გადაიჩეხა. ავტოკატასტროფის დროს 23 ადამიანი დაიღუპა, 21 კი მძიმედ დაშავდა. აღსანიშნავია, რომ ამ ტრასას კოლუმბიელები „სიკვდილის გზას" უწოდებენ.

* * *

**კარაჯიჩის** დაცვა ითხოვს, რომ იგი სერბეთში გაასამართლონ. კარაჯიჩის ადვოკატებს შეუძლიათ შეიტანონ აპელაცია სამი დღის განმავლობაში, ვიდრე ბელგრადის სასამართლო ამზადებს დოკუმენტებს დაპატიმრებულის ჰააგაში გადაცემასთან დაკავშირებით. მის დაპატიმრებას ხელს უწყობდნენ დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის სპეციალური სამსახურები.



## პიროვნება

**ბატონი გიორგი გოგოლაშვილი დღეს დედაუნივერსიტეტის პროფესორად, სამწუხაროდ, აღარ ითვლება: საკუთარი ნებით (და არა სურვილით!) დატოვა. ამით პროტესტი გამოუცხადა ე. წ. რეფორმას, რომელსაც, ახლა, თვითონ ხელისუფლებაც... უარყოფითად აფასებს (?!).**

ცხადია, ეს არ იყო იოლი გადაწყვეტილება.

მაგრამ პროტესტი უფრო მნიშვნელოვანი იყო.

უნივერსიტეტი კი ყოველთვის მასთან იქნება.

ისიც მუდამ უნივერსიტეტთან იქნება.

უნივერსიტეტშიც იქნება, რადგან შეუძლებელია, ადრე თუ გვიან სამართლიანობამ არ იზეიმოს.



ბილი საზოგადო მოღვაწეა – „საუნივერსიტეტო დარბაზის" წინამძღოლი, ბესარიონ ჟორჟნელი... ბესარიონ ჟორბენაძის საზოგადოების დამფუძნებელი და ხელმძღვანელი, იაკობ გოგებაშვილის საზოგადოების თანათავმჯდომარე.

არიან ენათმეცნიერები, რომლასაც ჩინებულად ახერხებს. ერთხელ, მისმა მჭევრმეტყველებამ ბატონი მუხრან მაჭავარიანიც კი აღაფრთოვანა.

ქართულია მისი ოჯახიც – ტრადიციული, მაღალ ზნეობაზე დაფუძნებული.

ქართველი მანდილოსნის, დედის ყველა ღირსებითაა შემკული მეუღლე, ქალბატონი ნინო გელაშვილი. ქართული ზნით და სულისკვეთებით გამოირჩევიან შვილები – თამარი, ვაჩე და თორნიკე.

ვისურვოთ, რომ უფალმა ღირსეულ ქართველად გაუზარდოს ჯერჯეროზით ერთადერთი შვილიშვილი – წლინახევრის გიორგი გოგოლაშვილი.

შვილიშვილები კიდევ გაჩნდებიან, ბევრი გაჩნდება – ბატონი გიორგის სურვილიც ეს არის.

ერთ-ერთი წიგნის შესავალში წერს: „ერთხელ მკითხეს (უყვართ ჟურნალისტებს ასეთი შეკითხვა), ცხოვრებას რომ თავიდან იწყებდე, რა გზას აირჩევდიო. ვუპასუხე: ვეცდებოდი, უკეთესად მესწავლა ქართული, მეტი სამსახური გამეწია დედაენისთვის-მეთქი...

ქართველი კაცისთვის არ არსებობს უფრო დიდი ბედნიერება, ვიდრე თავს თვლიდე ქართული ენის ქომაგად და მოჭირნახულედ!"

ამ თვალსაზრისით, ბატონი გიორგი, უდავოდ, ბედნიერია, თუმცა კარგად იცის, რომ ჭეშმარიტი ქართველი ბედნიერად თავს მხოლოდ ბედნიერ საქართველოში იგრძნობს.

# ქართული ენის, ქართული ცნობიერების ქომაგი

**ბედნიერი? – მხოლოდ ბედნიერ საქართველოში!**

გიორგი გოგოლაშვილი ცნობილი ენათმეცნიერია – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. უნივერსიტეტში, ბოლო წლებში, ძველი ქართული ენის კათედრას (აკ. შანიძის კათედრას) განაგებდა. სულ ბოლოს კი – ქართული ენის ინსტიტუტს. დღეს არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელია.

ენათმეცნიერებაში მრავალი საყურადღებო ნაშრომი აქვს, ცალკე წიგნებადაც გამოცემული, მაგალითად, „ქართული ზმნის უღვლილების სისტემა".

გიორგი გოგოლაშვილი ცნობილი პუბლიცისტია, უაღრესად მძაფრი სტატიების ავტორი, ერისთვის ყველაზე საჭირბოროტო პრობლემებს რომ წამოჭრიან. ეს სტატიები თავმოყრილია მის გახმაურებულ წიგნებში – „ენაჲ შემკული და კურთხეული", „ერთხელ საქართველოში", „მარადიულნი თანამედროვენი", „ბედი ქართული უნივერსიტეტისა ათასწლეულის კარიბჭესთან".

გიორგი გოგოლაშვილი ცნობილი რედაქტორ-გამომცემელია. საკმარისია, დავასახელოთ მისი დაფუძნებული ჟურნალი „ბურჯი ეროვნებისა".

გიორგი გოგოლაშვილი ცნობილი საზოგადო... ლებიც ენას იკვლევენ, მაგრამ ვერ ქომაგობენ, ვერ ჭირისუფლობენ.

გიორგი გოგოლაშვილი კიდეც იკვლევს და კიდეც ქომაგობს.

თუ ბოლო ათწლეულებში ვინმეს ხმალჩაუგებლად უბრძოლია ქართული ენის სიწმინდის, მისი კონსტიტუციური სტატუსისა და უფლებების დასაცავად, პირდაპირ ვთქვათ, მისი გადარჩენისთვის, უპირველესად – გიორგი გოგოლაშვილს.

ამისათვის ოსტატურად იყენებს საჯარო გამოსვლის ნებისმიერ საშუალებას – პრესას, რადიოს, ტელევიზიას, მიტინგს, კონფერენციას.

საჯაროდ გამოსვლა მისი სტიქიაა.

ყველაფერთან ერთად, ღმერთს ორატორული ნიჭითაც დაუჯილდოებია.

მისი ფესვები იმ სოფელშია, გელათის მონასტრისგან ორიოდე ვერსი რომ აშორებს. საისტორიო საბუთებში მისი წინაპრები სწორედ გელათის მემკვიდრე აზნაურებად იხსენიებიან.

ის თხემით ტერფამდე ქართველია – მეცნიერებაშიც, პუბლიცისტიკაშიც, ბრძოლაშიც, თამადობაშიც – დიახ, ამდენ შრომასა და ბრძოლაში ჩაბმული, შიგადაშიგ, სუფრის გაძღოლასაც...

ერთ-ერთ ძალიან მოკლე (შესაძლოა, სარეკორდოდ მოკლე) სტატიაში განსაცვიფრებელი ტკივილით და პუბლიცისტური ოსტატობით გამოხატა თანამედროვე საქართველოს მდგომარეობა:

„ფიქრები ახალი ათასწლეულის კარიბჭესთან"

**I ათასწლეულის მიწურული:**

გიორგი მერჩულე: „ქართლად ფრიადი ქვეყანაჲ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების".

**II ათასწლეულის მიწურული:**

საქართველოს ყოველ კუთხეში ქართულითა ენითა ჟამი აღარ შეიწირვის და ლოცვაჲ აღარ აღესრულების".

**რა გველოდება III ათასწლეულში?"**

სულ ეს არის. და რამდენს იტევს!

...ვუსურვოთ ბატონ გიორგის, მოსწრებოდეს „ფრიად ქვეყანას". უთუოდ მოესწრება. ჯერ ხომ მხოლოდ სამოცი წლისაა.

აი, მაშინ იქნება ჭეშმარიტად ბედნიერი – საქართველოსთან ერთად.

**იოსებ ჭუმბურიძე**

## გუშინდელი ფოსტიდან

**გვინდა თუ არ გვინდა, მალე თბილისი (და, ალბათ, თვით საქართველოც) რუსეთის ეკონომიკურ გუბერნიად გადაიქცევა (თუ უკვე გადაქცეული არ არის). როგორც ცნობილია, შპს „თელასი" რუსების ხელშია, ყაზახებთან ერთად, რუსებისავე ხელშია თბილისის გაზიც. ახლა უკვე რუსების ხელში აღმოჩნდა თბილისის წყალიც (უკვე ერთი თვეა!)**

**თქვენ მაინც დაგვეხმაროთ და ჩვენი ხმა მიაწვდინოთ სადაც ჯერ არს. ნუთუ შპს „თბილისის წყალს", ანუ ჩვენს „რუს კეთილისმყოფელებს" იმის საშუალება არა აქვთ, რომ იმ ასტრონომიული მოგებიდან, რასაც ისინი ჩვენი წყლის ჩვენთვის მოყიდვით ჩაიჯიბავენ, თვითონვე, თავიანთი ხარჯით დაგვიყენონ წყლის მრიცხველები?!**

**არადა სხვანაირად ისე გამო-**

# წყლის მრიცხველებს მალე ჰაერის მრიცხველებიც მოჰყვება

**შპს „თბილისის წყალი" თბილისელებს აიძულებს, რომ თავიანთი ხარჯით დააყენონ წყლის მრიცხველები**



**ჭირი დანახული ჯობს**

**თბილისში უკვე დადიან შპს „თბილისის წყლის" წარმომადგენლები და გვაიძულებენ, რომ ჩვენი ხარჯით დავაყენოთ წყლის მრიცხველები, თუ არადა „ამ პაპანაქება ზაფხულში უწყლობით ამოგხდით სულსო".**

**ახლახან ასევე გვაიძულებდა ძველი მრიცხველების ჩვენი ხარჯით გამოცვლას „ტრანსყაზგაზი", რომელმაც პოლიტიკური პარტიებისა და, კერძოდ, ლეიბორისტული პარტიის ზემოქმედებით მალევე შეცვალა თავისი გადაწყვეტილება და განაცხადა, ჩვენ არავის არ ვაძალებთო, თუ სადმე ძველი მრიცხველის გამოცვლაა საჭირო, ჩვენ გამოვცვლითო. ასეთი განცხადების მიუხედავად, ვინც მრიცხველები თავისი ხარჯით გამოცვალა, იმათ მიმართ „ტრანსყაზგაზი" ყურს იყრუებს და მრიცხველებში გადახდილ თანხას გაზის ყოველთვიურ საფასურში არ ითვალისწინებს.**

**ახლა ამას ემატება შპს „თბილისის წყალიც", რომელსაც ისევ ხალხის ხარჯზე გადაუწყვეტია ხელის მოთბობა.**

**ძვირფასო რედაქცია, იქნებ**

**ვა, პოლიციამ, რომელმაც ბორკილი უნდა დაგვადოს, ჩვენვე გვაყიდინოს ის ბორკილი. თანაც დაზღვეული არა ვართ, რომ ჩვენი ნაყიდი „ბორკილი-მრიცხველი" ძალიან მალე უვარგისები არ აღმოჩნდება და შპს „თბილისის წყალი" ძველების კვლავ ახლებით შეცვლას არ გვაიძულებს კვლავ ჩვენივე ხარჯით.**

**ამიტომ უკეთესია, შპს „თბილისის წყალმა" თვითონ დააყენონ ეს მრიცხველები თავიანთი ხარჯით და ჩვენი წყლის რუსმა პატრონებმა თვითონვე აკონტროლონ ისინი. მაშინ ეჭვიც ნაკლებად შეეპარებათ თბილისელი მომხმარებლის პატიოსნებაში.**

**წყალობა წყურვილაშვილი,**
თბილისელი მოქალაქე.

## ინფორმაცია

# სარკინიგზო ჯარები აფხაზეთიდან გადიან

**– აფხაზეთიდან სარკინიგზო ჯარების გაყვანით რუსეთი საერთაშორისო საზოგადოების თვალში იმიჯის აღდგენას ცდილობს, – ამის შესახებ კონფლიქტოლოგმა გოგი ხუციშვილმა განაცხადა.**

– რუსეთმა აფხაზეთში ჯარი რკინიგზის შესაკეთებლად შეიყვანა, თუმცა რეალურად ისინი სამხედრო დავალებებს ასრულებდნენ. რუსეთის მიერ სამხედრო ძალების გაზრდამ საერთაშორისო თანამეგობრობის აღშფოთება გამოიწვია. სწორედ ამიტომ რუსეთმა აფხაზეთიდან სარკინიგზო ჯარების გაყვანასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მიიღო, თუმცა აღსანიშნავია, რომ სარკინიგზო ჯარების გაყვანით ბევრი არაფერი იცვლება, რადგან ადგილზე მაინც ნორმაზე მეტი სამხედრო დარჩა, – განაცხადა ხუციშვილმა.

შეგახსენებთ, რომ რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება აფხაზეთიდან სარკინიგზო ჯარების დაჩქარებული წესით გაყვანის შესახებ. ფედერაციის თავდაცვის უწყების ინფორმაციით, აღდგენითი სამუშაოების დასრულება 6 აგვისტოსთვისაა დაგეგმილი, რის შემდეგაც სარკინიგზო ბატალიონი აფხაზეთის ტერიტორიას დატოვებს. შესაბამის ბრძანებულებას ხელი უკვე მოაწერა რუსეთის თავდაცვის მინისტრმა ანატოლი სერდიუკოვმა.

**ХО-ЭОВ-ЭНО**

საქმე №2/45-08 წ.

# განჩინება

### საქართველოს სახელით

16 ივლისი 2008 წ. ქ. საგარეჯო

**საგარეჯოს რაიონული სასამართლო მოსამართლე ცისანა სირბილაძე**

**განიხილა შპს „ხაშმის" გაკოტრების საქმეზე კრედიტორთა კრების მოწვევის საკითხი და**

**გამოარკვია:**

საგარეჯოს რაიონული სასამართლო განიხილავს შპს „ხაშმის" გაკოტრების საქმეს. 2008 წლის 17 მაისს შედგა აუქციონი, რა დროსაც მოხდა შპს „ხაშმის" გაკოტრების მასაში მოქცეული ქონების რეალიზაცია. 2008 წლის 7 ივლისს სასამართლოში წარმოდგენილი იქნა გაკოტრების მმართველის განცხადება ქონების რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების განაწილების შესახებ საბოლოო ცხრილის დასამტკიცებლად.

სასამართლოს მიაჩნია, რომ „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის 27-ე მუხლის I პუნქტის შესაბამისად აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად მოწვეული უნდა იქნეს კრედიტორთა კრება.

სასამართლომ იხელმძღვანელა გაკოტრების შესახებ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის შესაბამისად და

**დაადგინა:**

მოწვეულ იქნეს შპს „ხაშმის" კრედიტორთა კრება 2008 წლის 12 აგვისტოს 15 საათზე, საგარეჯოს რაიონული სასამართლოს შენობაში, ქ. საგარეჯო, ჯაფარიძის, 6.

დაევალოს გაკოტრების მმართველს განჩინების გამოქვეყნება პრესის საშუალებით.

განჩინება კერძო საჩივრით არ გასაჩივრდება.

**მოსამართლე ც. სირბილაძე**

ოლიმპიზმი

# სამახსოვრო მონეტები პეკინის ოლიმპიადას ეძღვნება

**საქართველოს ეროვნული ბანკის ფულის მუზეუმში პეკინის ოლიმპიადის თემატიკაზე შექმნილი ოქროსა და ვერცხლისაგან დამზადებული სამახსოვრო მონეტები „ოლიმპიადა. პეკინი 2008“ გაიყიდება.**

1000 ცალი ოქროსა და 1 500 ცალი ვერცხლის მონეტა საქართველოს ეროვნული ბანკის დაკვეთით, ნიდერლანდების სამეფო ზარაფხანაში მოიჭრა.

— ახალი მონეტა კარგი საჩუქარი გახდება როგორც ქართველ ოლიმპიელთა, ასევე სპორტის ყველა გულშემატკივრისათვის. ჩვენი სურვილია, რომ პეკინის ოლიმპიადისადმი მიძღვნილი მონეტა პოპულარული გახდეს არამარტო საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც, — განაცხადა საქართველოს საკასო ოპერაციებისა და ნაღდი ფულის მიმოქცევის დეპარტამენტის უფროსმა გოჩა გორდეზიანმა.

საქართველოს ეროვნული ბანკი პეკინის ოლიმპიადაზე გამარჯვებულ სპორტსმენებს საჩუქრად ოქროს მონეტას გადასცემს, ხოლო ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორებს ვერცხლის მონეტებით დაასაჩუქრებს.

ჯი-ეიჩ-ენი

ფეხბურთი

# რონალდინიუ – №80

**„მილანის“ ახალწვეულმა თუ ძვირფასმა შენაძენმა, ბრაზილიელმა რონალდინიუმ სათამაშო ნომრად აირჩია 80. როგორც კლუბის ოფიციალურ საიტზე გამოჩნდა, სახელგანთქმულმა ფეხბურთელმა ეს ნომერი შემთხვევით როდი შეარჩია – ის ხომ 1980 წელსაა დაბადებული.**



ინტერნეტში კლუბის ახალი ფორმის გაყიდვის საიტზე მხოლოდ პირველსავე დღეს რონალდინიუს მაისურის შეძენაზე გულშემატკივრებისგან 11 ათასი შეკვეთა მიიღეს.

წამი



საგანგებო შემთხვევა

# შეტაკება იმერეთის დაბლობზე

**სოჭში, იმერეთის დაბლობზე, სადაც 2014 წლის ოლიმპიადისთვის ობიექტების მშენებლობა იგეგმება, ადგილობრივ მოსახლეობასა და სამართალდამცველებს შორის შეტაკება მოხდა.**

როგორც გამოცემა „კომერსანტი“ იუწყება, 200-მდე ადგილობრივი მცხოვრები საკუთარი სახლებისა დასაცავად პლაკატებითა და ცეცხლმოკიდებული, საწვავით სავსე ბოთლებით გამოვიდა.

გაზეთის ინფორმაციით, „ოლიმპსტროის“ წარმომადგენლებმა ორი კვირის წინათ მოითხოვეს პასუხი, თუ რატომ არ ხდებოდა ამ ტერიტორიის დაცლა. შემდეგ კი, მათ სახლების მესაკუთრეებს მიაკითხეს.

იმერეთის დაბლობზე მიწათმოწყობის სპეციალისტები სასამართლო აღმასრულებლებთან ერთად გუშინწინ დილით გამოჩნდნენ და 115-ე სახლის ეზოში შესვლა სცადეს, რომელიც ოლიმპიური ობიექტების მშენებლობის ზონაში მდებარეობს.

ინფორმაცია, რომ ადგილობრივებს ასახლებდნენ, იმერეთის დაბლობის მოსახლეობაში სწრაფად გავრცელდა და 115-ე სახლის ეზოში მალე 200 ადგილობრივი გამაგრდა.

მოსახლეობამ წინააღმდეგობა გაუწია, როგორც ადგილობრივი ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, ისე მილიციის თანამშრომლებსა და სასამართლო აღმასრულებლებს.

ადგილობრივების წინააღმდეგ სამართალდამცველებმა გაზი გამოიყენეს, რის გამოც სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახება გახდა საჭირო.

ამის მიუხედავად, მოსახლეობამ პოზიციები არ დათმო. ვითარება მას შემდეგ განიმუხტა, რაც ადგილზე ადლერის მილიციის განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი იური სტარშიკოვი მივიდა. მან მოსახლეობის პოზიცია გაამართლა და განაცხადა, რომ მათ 10 დღეში სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრება შეუძლიათ.

ინტერპრესნიუსი

ინტერნეტიდან

## ცის აკრობატები

**ბრიტანელმა პილოტმა პოლ ბონომმა Red Bult Air Race სერიაში ოთხი ეტაპიდან სამში გაიმარჯვა და მტკიცედ ლიდერობს. მისი თანამემამულე სტივ ჯონსი, ამჯერად მესამე ადგილზე რომ გამოვიდა, პირველად ავიდა პოდიუმზე, როტერდამში მეორე ავსტრიელი ჰანეს არხი იყო.**

4 რბოლის შემდეგ ბონომს 35 ქულა აქვს, არხს – 29, ჩამბლისს (აშშ – 27.

შემდეგი ეტაპი 2-3 აგვისტოს ლონდონში გაიმართება.






## მედუზებს შეეწირა

**ნიუ-იორკში, ტრიატლონისტთა საერთაშორისო ტურნირზე მედუზებმა გაცურვის დროს დასუსხეს და გარდაიცვალა ერთი სპორტსმენი, ოთხი კი საავადმყოფოში გადაიყვანეს. თუმცა ჯერჯერობით ოფიციალურად არ აცხადებენ ტრაგედიის მიზეზებს, მაგრამ გაცურვის სამი ათასი მონაწლიდან ათეულობით სპორტსმენი აცხადებს, რომ მედუზებისგან ძალზე მტკივნეული დამწვრობა მიიღეს.**

დაღუპულია 32 წლის არგენტინელი ესტემან ნეივა. ის გარდაიცვალა 1,5 კილომეტრიანი დისტანციის გადალახვისას.

ბოლო რამდენიმე თვეში აშშ-ი ტრიალტონისტთა ტურნირების ეს მეოთხე მსხვერპლია. სპორტსმენები დაიღუპნენ ფლორიდაში, აიოვას და ორეგონში. შარშან ასეთი პრობლემა არ ყოფილა.

## ევა გასუქდა?

**ცნობილ მსახიობს ევა ლონგორიას, კალათბურთის ვარსკვლავის ტონი პარკერის მეუღლეს, სასაცილოდ არ ყოფნის, როცა მასზე ამბობენ – ფეხმძიმედააო. არადა, ერთი შეხედვით მას მართლა წამოეზარდა პატარა მუცელი. თავს კი იმით იმართლებს,რომ რეჟისორების მოთხოვნით ცოტა წონაში მოიმატა. ვარცხნილობაც კი შეიცვალეო. ეს კი იმიტომ, რომ ახალ სეზონში სერიალის „სასოწარკვეთილი დიასახლისების“ გმირი გაბრიელა სოლისი უკვე ორი შვილის დედა იქნება.**

— მართალი რომ გითხრათ, ევა ჯერ კიდევ საკმარისად არ გასუქებულა ამ როლისთვის, — განაცხადა გადასაღებ მოედანზე ევას წარმომადგენელმა ლაიზა ანდერსონმა, — გაბრიელა ლამაზი, მომხიბვლელი ქალიდან ხომ გადაქანცულ დიასახლისად უნდა გადაიქცეს. ევა ახლა ამ როლის თამაშისას ბალიშებს იდებს დუნდულებსა და მუცელზე.



◉ პიროვნება

**მოსკოვში ვახტანგ კიკაბიძეს კინაღამ ძეგლი დაუდგეს – ხალხთა მეგობრობის ნიშნად, მაგრამ შემდეგ... თავადაც ხვდებით... 19 ივლისს პოპულარულ მსახიობსა და მომღერალს 70 წელი შეუსრულდა.**

# ვახტანგ კიკაბიძე – „მიმინო“ თუ „ქორი“?

**ცნობილი მსახიობი და მომღერალი - ხალხთა „არამეგობრობაზე“, ნატოსა და სიყვარულზე**

## „ყველა დამნაშავეა“!

**– ვახტანგ კონსტანტინეს ძევ, 30 წლის წინათ ფილმში „საკდესი უფლებამოსილია განაცხადოს“... თქვენ ითამაშეთ ნაკლებ სიმპათიური ტიპი-ცრუ-ს აგენტი ჯონ გლები...**

– დიახ, და ამ მტრის როლისთვის სსრ კავშირის სუკ-ის პრემია მომცეს (იცინის).

**– განა წარმოიდგენდით, რომ ოდესმე ამერიკა საქართველოს საუკეთესო მეგობარი გახდებოდა, რუსეთი კი – მოწინააღმდეგე? რომ ამ ქვეყნად ყველაფერი გადაბრუნდებოდა?**

– მამაჩემი 1942 წელს ქერჩთან დაიღუპა. განა ის წარმოიდგენდა რომ 50-60 წლის შემდეგ გერმანია რუსეთის მეგობარი გახდებოდა? მაგრამ ხომ გახდა „დრო გადის– წვიმა შლის ყველა ნაკვალევს“... იცით, თავის დროზე ფილარმონიაში რატომ არ მიმიღეს? თქვეს: კიკაბიძეს ხრინწიანი ხმა აქვს, დამპალი დასავლეთითაა გატაცებულიო. შემდეგ კი დასავლეთმა ფანჯრებში შემოგვანათა.

მე ბევრ რამეს ვერ წარმოვიდგენდი – მაგალითად, ჩვენს ქალაქებში რომ უცხოური მანქანები ივლიდნენ. მახსოვს, ლაწირაკმა პირველად დავინახე რაღაც ჯაბახანა, „ფორდი“, მის სანახავად ნახევარი ქალაქი შეიკრიბა. მეორე დღეს კი გამელვიძა და მივხვდი, რომ „პროიგრივატელი“ უნდა გადამეგდო, იმიტომ, რომ ფირფიტების ნაცვლად კომპაქტდისკები შემოვიდა...

**– მაგრამ თქვენთვის რომ ეთქვათ, რომ იმ გულკეთილ გმირებს, ფრუნზიკ მკრტიჩიანთან ერთად „მიმინოში“ რომ ითამაშეთ, „კავკასიურ ნაციონალურ პირებს“ დაუძახებდნენ, განა დაიჯერებდით? ვინაა ყველაზე მეტად დამნაშავე იმაში, ხალხთა მეგობრობა რომ დაიბზარა – მასპინძლები თუ ჩამოსულები?**

– ბზარი ადრეც იყო. სულ ახალგაზრდა რომ ვიყავი, შუააზიელებს უკვე ეძახდნენ „ჩუჩმეკებს“. კავკასიელებს „შავტრ....იანებს“. ებრაელებს კი – ჟიდებს. ვინაა დამნაშავე? ყველა ვართ დამნაშავენი! ზოგმა რუსეთს მოაშურა საშოვარზე, არაფრად რომ აგდებდნენ თქვენს წეს-ჩვეულებებს. სხვებს მოთმინება არ ყოფნიდათ... ისე რომ, ყველა კარგები ვართ.

სხვათა შორის, „მიმინოზე“. შარშან მოსკოვიდან დამირეკეს და მითხრეს „ვახტანგ კონსტანტინოვიჩ, ჩვენ გვინდა ჩისტიე პრუდებზე თქვენი ფილმისთვის ძეგლის დადგმა. სამი გმირის ძეგლისა – კიკაბიძის, ლეონოვისა და მკრტიჩიანისა, როგორც ხალხთა მეგობრობის სიმბოლოსი. მაშინ ცოტა დათბა რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობაში. მაგრამ შემდეგ „ზევით“ რაღაცაზე ვერ მოილაპარაკეს და ძეგლის იდეაც მოიკეტა. ახლა მისი დადგმა თბილისში უნდათ.

## „დავა ცოლდვაა“

**– ამას წინათ ცოლთან ერთად მის იუბილეს აღვნიშნავდით. მეგობრებთან ერთად ქართულ რესტორანში შევედით. რაღაც უცნაური საერთო სურათი იყო: სამზარეულო – ეროვნული, ხოლო ღვინო...**

– ფრანგული და ესპანური? ვიცი, ვიცი... კიდევ კარგი, რომ ჯერჯერობით ლობიოს ჭამასაც არ გიკრძალავენ (იცინის), როცა ონიშჩენკომ განაცხადა, რომ ჩვენებური ღვინო საწამლავიაო, მე წავედი ერთ-ერთ ყველაზე ცუდ მაღაზიაში, ვიყიდე ყველაზე ცუდი ღვინო და კიდევ 3 ბოთლი თქვენთან აკრძალული „ბორჯომი“, დავლიე... რატომღაც არ მოვკვდი!

**– მაშ რატომ მივიდა საქმე „ღვინისა“ და „წყლის“ ომებამდე? ეს გარჩევაა ხალხთა შორის, თუ პოლიტიკოსებს შორის?**



სჯობს იცეკვო, ვიდრე იომო!

– პოლიტიკოსებმა ბევრი რამ გააფუჭეს – ორივე მხრიდან. რუსეთის ეკრანებზე ერთი და იგივე პირები, მათ შორის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატები, სულ გაიძახიან, რა ცუდი პრეზიდენტია საქართველოშიო, მე მას კარგად ვიცნობ. ის ძალზე განათლებული, ჭკვიანი კაცია. არა, შეიძლება, ცოტა ექსპანსიურიც. საქართველოსთვის სააკაშვილმა ბევრი კარგი გააკეთა. დაელაპარაკეთ ხალხს ქუჩებში...

**– ველაპარაკე და ერთიანი აზრი არ იყო, ერთმა თბილისელმა ტაქსისტმა ასე მითხრა: „რუსეთი მეზობლადაა, ამერიკა, ნატო კი – შორს. რუსეთთან უნდა ვიმეგობროთ, სააკაშვილი კი ნატოსთან მეგობრობს!“**

– ამას წინათ ტელეარხის დროს მოსკოველმა ქართველმა მკითხა: „რად გინდათ ნატოო? მე გავიხუმრე – თუ კი თქვენ ქართველი ხართ, მაშინ უნდა იცოდეთ, რომ ნატო ვაჩნაძე, რეჟისორების ელდარ და გიორგი შენგელაიების დედა, ყველაზე ლამაზი ქალი იყო ჩვენს კინომატოგრაფიაში-მეთქი...

**– ქართველები – თვითმყოფადი ხალხი ხართ. თქვენ მუდამ მაღლა გეჭირათ საკუთარი თავის პატივისცემის თამასა, მაშინაც, როცა რუსეთის იმპერიის ნაწილი იყავით, შემდეგ კი სსრ კავშირისა... მაგრამ ახლა, როცა დამოუკიდებელნი ხართ, ისევ რატომ ისვამთ კისერზე უცხო ბატონებს, რატომ ემორჩილებით ვაშინგტონის ან ბრიუსელის მითითებებს. განა უკეთესი არაა, გახდეთ „კავკასიური შვეიცარია“, დაიცვათ ნეიტრალიტეტი?**

– კი, როგორ არა... აფხაზეთის გარეშე და ოსეთის გარეშე... ეს ხომ ურთიერთკავშირია! რუსეთი არ იძლევა გარანტიას,რომ შეეშვება ჩვენს ტერიტორიებს, თუ კი საქართველო უარს იტყვის ნატოზე... თუ კი მედვედევი ან პუტინი მშვიდობიანად გადაწყვეტენ აფხაზეთის საკითხს, მათი ფოტოსურათები ეკიდება ყოველი ქართველის სახლის კედელზე. საქართველო მართლმადიდებელი ქვეყანაა. რუსეთს სარწმუნოებით ქართველებზე ახლოს არავინ ჰყავს. დავა ჩვენთვის ცოლდვაა. მაგრამ საქართველო თანაც ძალზე პატარა ქვეყანაა: ამიტომაც მიწის ყოველი გოჯი ჩვენთვის ძვირფასია. და თანაც, რა უნდა ვუთხრათ აფხაზეთიდან ასობით ათას ლტოლვილს, რომლებსაც, 15 წელია, არ შეუძლიათ თავიანთ სახლებში დაბრუნება?

**– მაგრამ რა უნდა გაკეთდეს, თუ კი აფხაზებსა და ოსებს არ უნდათ თბილისის ბატონობის ქვეშ ცხოვრება?**

– ქართველები აფხაზებს მოელაპარაკებიან. თუ კი რუსეთი ხელს არ შეუშლის. უნდა ვილაპარაკოთ. მაგიდა ხომ იმისთვის არსებობს რომ დავსხდეთ და ვიმსჯელოთ, ვიპოვოთ გამოსავალი. არადა მაშინ ეს პოლიტიკოსები რაში ღებულობენ თავიანთ ხელფასს?

## „ასაკი უნდა გიყვარდეს“

**– კინოში ახლაც გიღებენ?**

– ერთი თვის წინათ დავამთავრე ერთი სურათი, ნოემბერში იქნება მეორე, ქართულ-რუსული მელოდრამა-ვითამაშებ ალბათ მარინა ნეიოლოვასთან ერთად. დიდხანს უარს ვამბობდით გადაღებაზე. ყველა წინადადება თითქოს ერთი კონვეიერიდან იყო: სერიალები მენტებზე, ბანდიტებზე და მეძავეებზე.

**– სიმღერის თქვენს მანერას, სიტყვები „ილაპარაკოთ“ მუსიკაზე, ადარებდნენ უტიოსოვის ბერნესის შემოქმედებას...**

– ეს დიდი კომპლიმენტია! თუმცა თვით უტიოსოვმა ერთხელ მითხრა: „შენ ახლა ვახტანგ კიკაბიძე კი არ ხარ, ვახტანგ ბერნესი ხარო“.

**– ხალხს რატომ მოსწონს „მოლაპარაკე“ მომღერლები?**

– ალბათ ისინი უფრო გასაგებნი არიან, ტექსტი სულამდე უფრო კარგად მიდის და კიდევ, ცუდ ლექსებს არასოდეს ვმღერი. ვარჩევდი მუდამ ზედმიწევნით–ევტუშენკოს, მანდელშტამს, ოკუჯავას... ეს ის როდია, ახლა რომ მღერიან „ორჯერ უარი მითხარი, „არ მინდაო“ მითხარი შენი“ (იცინის). არასოდეს მიმღერია ტანკებზე, ატომურ ბომბებზე, პარტიასა და კომკავშირზე. ის, რასაც მე ვმღერი, ახლობელია ყველა ადამიანისთვის ცრემლისმომგვრელია. ეს პატარა ადამიანის ცხოვრებაა. ადამიანს კი რა უნდა? მშვიდობა, სიმშვიდე, სიყვარული, მეგობრები...

**– განიცდით თქვენს წლებს, როგორც სიმდიდრეს, როგორც ერთ-ერთ თქვენს სიმღერაში რომ მღერით? თუ ნაღვლობთ ახალგაზრდობაზე?**

– არა. მე საერთოდ ნატურით წუწუნა როდი ვარ. ასაკი უნდა დააფასო. სხვა საქმეა, რომ ადამიანმა თავის თავში არ უნდა დაკარგოს... ბავშვობა. თუმცა ასაკი ზოგჯერ თავს გახსენებს. ზოგჯერ მიწევს ხოლმე დღეგამოშვებით 3, 4, 6 საათი ფრენა. მაგრამ კონცერტების გარეშე, უსიმღეროდ სიცოცხლე არ შემიძლია. როგორც არ შემიძლია ვიცხოვრო მეზობლების, მეგობრების გარეშე. არაყს მარტო ვერ დალევ. ვიღაც უნდა გყავდეს ჭიქის მომჭახუნებელი, ვინც შენ გიყვარს, ვისთანაც საინტერესოა ჯდომა...

**– როგორ ვიცოცხლოთ 70 წლამდე სულისა და სხეულის სიმხნევის შენარჩუნებით? შევიტყე, რომ ექიმებთან არ დადიხართ.**

– არ დავდივარ. მაგრამ ეს ძალზე ცუდია. ცივილური ადამიანი წელიწადში ერთხელ ან ორჯერ მაინც უნდა ეჩვენოს ექიმს. დღეს ამის თაობაზე სერიოზული საუბარი მქონდა მეუღლესთან. ისე რომ, წასვლა მომიწევს. თუმცა ვიცი, თუ კი იქ მივალ, აღარ გამომიშვებენ (იცინის).

**– თავს რითი იზღუდავთ? თუმცა იმ ქვსი სიგარეტით თუ ვიმსჯელებთ, ინტერვიუს დროს რომ მოწიეთ, ვხვდები, რას მიპასუხებთ.**

– არ ვიზღუდები. საჭმელს, მართალია, არ ვეძალები. შემიძლია, მთელი დღე მხოლოდ შემწვარი კარტოფილით გავატარო. სანატორუმში დასვენება არ შემიძლია – მოწყენილობაა. უკეთესია საზღვაოდ წასვლა, ან ბიჭური დროსტარება მეგობრებთან – ჩემსავით „ბებერ ყარალებთან“. ერთ ჩემს სიმღერაში არის სტრიქონები: „სირბილი, ხტუნაობა, არყის სმა აუცილებელია, შე, კაცო, არ დაგავიწყდეს, ეს დიდებულია!“

**ვიტალი ცეპლიაევი**
**თბილისი-მოსკოვი.**
**„არგუმენტი ი ფაქტი“ №29. 2008 წ.**

◉ ინფორმაცია

## ლეიბორისტები ბანკების პიკეტირებით იმუქრებიან

**ლეიბორისტული პარტიის ლიდერებმა კომუნალურ გადასახადებზე ბანკების მხრიდან დამატებითი თანხის დაწესება ბანკ „რესპუბლიკას“ ერთ-ერთ ფილიალთან გააპროტესტეს.**

როგორც აქციაზე პარტიის აღმასრულებელმა მდივანმა პაატა ჯიბლაძემ განაცხადა, თბილისის მოსახლეობის დიდი ნაწილი სოციალურად დაუცველია და კომუნალური გადასახადების მომსახურებისთვის ბანკების მხრიდან ერთი ლარის დაწესება არაკანონიერია.

– არჩევნების გასაყალბებლად ბანკებმა სოლიდური თანხები გაიღეს, რისთვისაც ხელისუფლებამ სანაცვლოდ კომუნალური გადასახადების მომსახურებისთვის დამატებითი თანხის აღების უფლება მისცეს,–განაცხადა პაატა ჯიბლაძემ.

ლეიბორისტების ინფორმაციით, თბილისში კომუნალურ გადასახადებს 400 ათასი ოჯახი იხდის და ბანკები ამ გზით სოლიდურ თანხას იღებენ.

თუ აღნიშნული გადასახადი არ გაუქმდება, ლეიბორისტები სექტემბრიდან ყველა ბანკის ცენტრალური ოფისის პიკეტირებას მოახდენენ.

**ინტერპრესნიუსი**

## ცხინვალის უნივერსიტეტში გამოცდები დაიწყო

**სეპარატისტულ სამხრეთ ოსეთის ალექსანდრე ტიბილოვის სახელობის ე.წ. სახელმწიფო უნივერსიტეტში მისაღები გამოცდები დაიწყო.**

მისაღები გამოცდების კომისიის თავმჯდომარე ილია ხუგაევი აცხადებს, რომ უნივერსიტეტში ყველა პირობაა შექმნილი იმისთვის, რომ გამოცდები სამართლიანად ჩატარდეს.

**ХИ-ЭЙВ-ЭНИ**

⊙ გამოიცა

# აფხაზეთის მართალი ისტორია

**გამომცემლობა „ინტელექტმა“ აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროსა და ივ. ჯავახიშვილის ისტორიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ეგიდით გამოსცა ისტორიული ნარკვევების სოლიდური კრებული „აფხაზეთი“.**

**დიდი შრომა გაუწევია ავტორთა კოლექტივს: ჯემალ გამახარია (პროექტის ხელმძღვანელი), ლია ახალაძე, მალხაზ ბარამიძე, თამაზ ბერაძე, ლია ბითაძე, ირაკლი გელენავა, თეიმურაზ გვანცელაძე, ბადრი გოგია, კობა ოკუჯავა, გურანდა ფხაკაძე, რეზო ხვისტანი, ბეჟან ხორავა, დაზმირ ჯოჯუა და სარედაქციო კოლეგიას: პროფესორები ჯემალ გამახარია (პროექტის ავტორი), თამაზ ბერაძე და თეიმურაზ გვანცელაძე და მკითხველმა მიიღო პირველი განმაზოგადებელი მეცნიერული ნაშრომი აფხაზეთის ისტორიის საკითხებზე უძველესი დროიდან დღემდე, ეცნობა ქართველი და აფხაზი ისტორიკოსების შეხედულებებს სადავო საკითხებზე, რაც თავის მხრივ, საშუალებას აძლევს დარწმუნდეს ამ თუ იმ დებულების სისწორეში.**

აფხაზეთის ისტორიის საკითხებზე ასეთი განმაზოგადებელი მეცნიერული ნაშრომის მომზადება და სხვადასხვა ენებზე გამოცემა მეტისმეტად გაჭიანურდა. მისი შექმნის აუცილებლობა მრავალი გარემოებით არის ნაკარნახევი. უპირველეს ყოვლისა, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის სახელმწიფოს მუდმივი ცდა, ჩამოაშოროს საქართველოს თავისი ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი, ჯერ კიდევ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ გახდა აფხაზეთისა და მასთან ერთად მთლიანად დასავლეთ საქართველოს ისტორიის პოლიტიზაციის, შესაბამისად, ისტორიული წარსულის უხეში ფალსიფიკაციის მიზეზი. სწორედ გაყალბებული ისტორიის საფუძველზე, ლოზუნგით „აფხაზეთი – საქართველო არ არის“, XX საუკუნის დასაწყისში აღმოცენდა თანამედროვე აფსუურ-აფხაზური პოლიტიკური სეპარატიზმი – რუსული იმპერიალიზმის ერთ-ერთი ნაირსახეობა და მისი დასაყრდენი საქართველოში. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ აფხაზეთში დღეს არსებული უკანონო რეჟიმი და მისი მფარველები ოდითგანვე ქართული რეგიონის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის საფუძვლად „ხალხის ნებასთან“ ერთად, ისტორიას, „ისტორიულ უფლებას“ (?!) ასახელებენ. ამ „უფლების დასაცავად“ სეპარატისტულად განწყობილმა ავტორებმა (ს. ლაკობა, ო. ბღაჟბა, ვ. ჩირიკბა, მ. გუმბა, ვ. ჰაგბა, გ. ოთირბა, ნ. აკაბა, ე. აჯინჯალი, ი. მარუხბა (მარხოლია), თ. აჩუგბა, დ. დბარი, ს. შამბა, თ. ძაფშბმა და სხვებმა) რუსულ და ინგლისურ ენებზე ათობით ტენდენციური ნაშრომი გამოსცეს, მათ შორის სახელმძღვანელოები. ხსენებულ ავტორთა ნააზრევს მეცნიერული ღირებულება პრაქტიკულად არ გააჩნია. მათი ფანტასტიკური „დასკვნები“ უფრო ილუზორულ პოლიტიკურ მიზნებს ემსახურება, ვიდრე მეცნიერებას. ყალბი ისტორიოგრაფია სეპარატისტული ხელისუფლების განსაკუთრებული მზრუნველობითა და ყურადღებით არის მოცული.




ქართული ისტორიოგრაფია კი, სამწუხაროდ, ძლიერ ჩამორჩა მოვლენებს. მიუხედავად დიდი პოტენციალისა, დამოუკიდებელ საქართველოში მან ჯერ ვერ დაიმკვიდრა ღირსეული ადგილი. სათანადოდ არ არის გაცნობიერებული ისტორიოგრაფიის მნიშვნელობა ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობის, პოლიტიკური და იდეოლოგიური საფრთხეებისგან ქვეყნის დაცვის, აწმყოსა და მომავლის უკეთესად გააზრების საქმეში. ამ პირობებშიც აფხაზეთის ისტორიისადმი ქართულმა ისტორიოგრაფიამ დღემდე ვერ შეიმუშავა ერთიანი მიდგომა ცალკეული საკვანძო პრობლემებისადმი; ბოლომდე არ არის დაძლეული საბჭოთა ისტორიოგრაფიის ნეგატიური გავლენა ისეთ პრობლემათა კვლევისას, როგორიცაა ანტიკური ხანის კოლხეთის/ეგრისის სამეფოს ეთნოპოლიტიკური ისტორია, ქართველი და აფხაზი ხალხების ეთნოგენეზისი და ა. შ. ეს კი, თავის მხრივ, გარკვეულ ზემოქმედებას ახდენს სხვა მნიშვნელოვანი საკითხებისა და შემდგომი პერიოდის ისტორიის გაშუქებაზეც.

ავტორთა კოლექტივმა წარმატებით გაართვა თავი აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორიის (და არა მხოლოდ საკუთრივ აფხაზეთის, რომლის საზღვრები ყოველთვის არ ემთხვეოდა მის ამჟამინდელ ფარგლებს) უპირატესად ეთნოპოლიტიკური ისტორიის გაშუქებას, არგუმენტირებული პასუხი გასცა სეპარატისტულ-ფალსიფიკაციებს. მთავარი არგუმენტი კი ქართული და უცხოური ისტორიული წყაროებია, რომელთა ცნობებითაც გაჯერებულია ეს ნაშრომი. გამოკვლევის ერთ-ერთი თავისებურება ის არის, რომ მასში გამოყენებულია როგორც ისტორიკოსებისა და არქეოლოგების, ისე ანთროპოლოგების, ისტორიული გეოგრაფიის სპეციალისტებისა და ლინგვისტების უკანასკნელი მეცნიერული მიღწევები.

ერთიც, ამ ნაშრომს არანაირი კავშირი არა აქვს მიმდინარე პოლიტიკასთან, აფხაზეთის მომავალი სტატუსის განსაზღვრასთან. ნარკვევის მიზანს წარმოადგენს არა ქართულ-აფხაზურ ურთიერთობაზე ზემოქმედება მისი გაუმჯობესების, ან, მით უმეტეს, გაუარესების თვალსაზრისით, არამედ ისტორიული სინამდვილის აღდგენა. ქართველ და აფხაზ ისტორიკოსთა მოსაზრებები ამ ეტაპზე სრულიად შეუთავსებელია და თანამშრომლობა მათ შორის ვერ ხერხდება. მიუხედავად ამისა, ავტორები მზადყოფნას გამოთქვამენ, მომავალში ითანამშრომლონ მეორე მხარესთან.

**სანდრო ალექსიძე**

⊙ ნეტავი ჩემი იყოს!

## კომფორტის მოყვარულთა საყურადღებოდ!



სასოფლო უნივერსიტეტის სიახლოვეს, პრესტიჟულ ქოშიგორაზე იყიდება მრავალი სახეობის ხეხილით, ვერცხლისფერი ნაძვებით, ტალავრებით განაშენიანებული ელიტური აგარაკი, 1700 კვმ მიწის ნაკვეთი, 250 კვმ ფართის უცხოვრებელი 2 სახლი (5 საძინებელი ოთახი, 3 სასადილო, 3 სამზარეულო კედლის კარადებით, 3 ბუხარი, 4 სველი წერტილი, 2 კეთილმოწყობილი აბაზანა, 6 აივანი, ყველაფერი ჭალუზებში), კეთილმოწყობილი საუნა, საწყობები, კაპიტალური ავტოფარეხი, ფანჩატური მაგიდა-სკამებით, მუდმივი ელდენი, ნატახტარის წყალი, გამაცხელებლები, სარწყავი სისტემა, კანალიზაცია, სახლამდე მისასვლელი გზა (ტრასიდან 500 მეტრში) ახლახან მოასფალტდა. ფასი შეთანხმებით.

899 93-01-04; 23-37-37 რეზო. 36.50.33 მაია.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პათოლოგიური ანატომიის დეპარტამენტი და აკად. ნ. ყიფშიძის სახ. ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკის პათოლოგიური ანატომიის სამსახური ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი

თამარ დეკანოსიძე

სამოქალაქო პანაშვიდი 25, 26 VII, 17 სთ. მის: თბილისი, იოსებიძის №80. გამოსვენება 27 VII, 15 სთ. ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების სახელობის ეკლესიიდან (სამედიცინო უნივერსიტეტის გვერდით).

---

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პათოლოგიური ანატომიის დეპარტამენტი და აკად. ნ. ყიფშიძის სახ. ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკის პათოლოგიური ანატომიის სამსახური ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი

თამარ დეკანოსიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

თამარ დეკანოსიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება ინსტიტუტის ყოფილი მეცნიერ-თანამშრომლის, ღრმად განათლებული, კეთილშობილი ინტელიგენტის

მერაბ ჯანელიძის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს. პანაშვიდი 24, 25 VII, 17 სთ. გამოსვენება 26 VII, 14 სთ. მისამართი: თ. ჭოველიძის (ყოფ. ბელინსკის) №24.

---

საქმე №2-805

## განჩინება

**სს „კასპის სასურსათო კომბინატის“ კრედიტორთა კრების მოწვევის შესახებ**

ქ. გორი 18 ივლისი, 2008 წ.

**გორის რაიონული სასამართლოს მოსამართლე დ. პაპუაშვილმა ერთპიროვნულად, ზეპირი მოსმენის გარეშე, განიხილე სს „კასპის სასურსათო კომბინატის“ გაკოტრების მმართველის ვ. კაპანაძის განცხადება კრედიტორთა კრების მოწვევის თაობაზე.**

**დაადგინა:**

1. სს „კასპის სასურსათო კომბინატის“ გაკოტრების მმართველის ვახტანგ კაპანაძის 2008 წლის 18 ივლისის განცხადება დაკმაყოფილდეს.
2. სს „კასპის სასურსათო კომბინატის“ კრედიტორთა კრება მოწვეულ იქნას 2008 წლის 31 ივლისს, 11 საათზე, ქ. გორში, გორის რაიონული სასამართლოს შენობაში.
3. კრედიტორთა კრების დღის წესრიგი განისაზღვროს:

სს „კასპის სასურსათო კომბინატის“ გაკოტრების მმართველის საბოლოო ანგარიშისა და საბოლოო მოხსენების შემოწმება.

4. განჩინება გამოქვეყნდეს ცენტრალურ პრესაში და განთავსდეს სასამართლოს დაფაზე.

მოსამართლე დ. პაპუაშვილი

---

⊙ მოგვმართავენ, გვეკითხებიან

**რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.**

**კითხვა: მიიღება თუ არა მხედველობაში დროებითი შრომისუუნარობის დახმარების ოდენობის განსაზღვრის დროს ზეგანაკვეთური ანაზღაურება და დანამატები?**

**არჩილ წიკლაური**



**პასუხი:** კანონის თანახმად, დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარების ოდენობის გაანგარიშების დროს ზეგანაკვეთური ანაზღაურება და დანამატები მხედველობაში არ მიიღება.

* * *

**კითხვა: ვარ 42 წლის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის მონაწილეებთან გათანაბრებული პირი. თუ შეიძლება, მაცნობეთ, რას უნდა შეადგენდეს ჩემთვის დანიშნული საყოფაცხოვრებო სუბსიდიის ოდენობა?**

**რამინ ოდიშარია**

**პასუხი:** საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის საბრძოლო მოქმედების მონაწილეებთან გათანაბრებულ პირებს საყოფაცხოვრებო სუბსიდია ეკუთვნით თვეში 22 ლარის ოდენობით.

* * *

**კითხვა: მყავს 2 მცირეწლოვანი ბავშვი. გადავწყვიტე მეუღლესთან განქორწინება. მაქვს ქონებრივი დავა. შემიძლია, განქორწინების თაობაზე იმ ორგანოს მივმართო, რომელმაც დაგვაქორწინა?**

**თამარ ბაღაშვილი**

**პასუხი:** არა, არ შეიძლება, ვინაიდან თქვენ გყავთ მცირეწლოვანი შვილები, და მეუღლესთან გაქვთ ქონებრივი დავა, განქორწინების საკითხზე სასარჩელო განცხადებით აუცილებლად სასამართლოს უნდა მიმართოთ.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-65-87.**

შეიძინეთ ფართები „ოლიმპიურ ვარსკვლავში“ და უგულშემატკივრეთ საქართველოს ოლიმპიურ ნაკრებს ოლიმპიურ ვარსკვლავებთან ერთად!!!

ყურადღება,

ყურადღება!!!

სამშენებლო კომპანია „ოლიმპიურმა ვარსკვლავმა“ დაიწყო პეკინის ოლიმპიადისადმი მიძღვნილი აქცია

ვინც 1-დან 30 ივლისამდე ყველაზე დიდ საცხოვრებელ ან საოფისე ფართს შეიძენს, პეკინის ოლიმპიადის საგზურით დასაჩუქრდება.

საგზურში შედის: მგზავრობისა და სასტუმროს ხარჯები, ასევე ოლიმპიურ თამაშებზე დასწრების ბილეთები

გისურვებთ დროის სასიამოვნოდ გატარებას



მის: კანდელაკის ქ.№1. ტელ; 38-14-12. 899 62-32-32, 877 76-62-62

ინფორმაცია

## დაკავებული ოსები გაათავისუფლეს

**ქართულმა მხარემ ოთხი დღის წინათ დაკავებული კიდევ ორი ოსი ეროვნების მოქალაქე გაათავისუფლა.**

როგორც სააგენტო „რესი“ იუწყება, ალიხან ხუბაევი და სოსლან სიუკაევი, რომლებიც ნარკოტიკებისა და იარაღის უკანონოდ შენახვაში იყვნენ ეჭვმიტანილები, გუშინწინ, 20 საათზე გაათავისუფლეს.

სამხრეთ ოსეთის თვითალიარებული რესპუბლიკის ადამიანის უფლებათა დამცველის დავით სანაკოევის განცხადებით, ხუბაევი და სიუკაევი გირაოთი გაათავისუფლეს. თითოეულმა მათგანმა 2 ათასი ლარი გადაიხადა.

– გორში, 22 ივლისს სიუკაევისა და ხუბაევის სასამართლო პროცესი გაიმართა. ქართულმა მხარემ მათ ნარკოტიკების უკანონოდ გადატანა და გავრცელება დასდო ბრალად. თუმცა, დაკავებულების ახლობლებისა და ნაცნობების ჩვენებების მიხედვით, ეს ბრალდება სრულიად უსაფუძვლოა, – აღნიშნა სანაკოევმა.

მისივე თქმით, სოსლან სიუკაევი რელიგიური მოძრაობის – „ორმოცდაათიანელების“ წევრია და ამ ორგანიზაციის წევრები ნარკოტრაფიკით არასოდეს არიან დაკავებულნი.

ქართულმა პოლიციამ ალიხან ხუბაევი, სოსლან სიუკაევი, გურამ სანაკოევი და ზაურ ხუბაევი სოფელ ერედვში დააკავა. გურამ სანაკოევი და ზაურ ხუბაევი 21 ივლისს გაათავისუფლეს.

ინტერპრესნიუსი

ძვირფასო მკითხველო!

ჩვენს გაზეთში თქვენთვის საჭირო განცხადების ან რეკლამის განსათავსებლად შეგიძლიათ ისარგებლოთ იმეილით ან ფაქსით. ინფორმაციის მიღებისთანავე დაგიკავშირდებათ ჩვენი რედაქციის წარმომადგენელი და მოგაწვდით ყველა საჭირო მონაცემს.

იმეილი: sakresp@ayety.ge
ტელეფონი: 98-65-87 (89932.85.76ძ.
ფაქსი: 98-65-87.

გვესაჭიროება ჟურნალ-გაზეთების დამხარისხებელი. მსურველები დაგვიკავშირდით: 37-61-53, 899 51-02-85.

რეკლამა კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-65-87; 899 32-85-76.

ანეკდოტები

მიდის ტიპი ქუჩაში. უცებ ესმის ხმა:
– სდექ, არ გაინძრე! კიდევ ერთი ნაბიჯი და, აგური დაგეცემა.
ტიპი შედგა და აგური მართლაც მის წინ დაიფშვნა.
გაოცებულმა ტიპმა გზა განაგრძო. უცებ ისევ ესმის ხმა:
– სდექ, არ გაინძრე, თორემ მანქანა გაგიტანს.
ტიპი შედგა და მართლაც მის წინ მანქანამ შურდულივით ჩაიქროლა.
– ვინა ხარ, კაცო, არ მეტყვი? – კითხულობს გაოცებულ-მადლიერი ტიპი.
– შენი მფარველი ანგელოზი ვარ.
– ისემც შენ რა გითხარი. თუ მართლა ასეა, სად იყავი მაშინ, როდესაც ცოლი მომყავდა?



* * *

– ჩემო ტკბილო, ერთი სათხოვარი მაქვს.
– რა, საყვარელო?
– დაიფიცე, რომ ჩემი სიკვდილის შემდეგ არც ერთ კაცს არ შეიყვარებ.
– მაგრამ თუ არ მოკვდი?

* * *

იმისთვის, რომ მართალი თქვა, სულაც არ არის საჭირო, იყო ჭკვიანი, ტყუილის სათქმელად კი – ბრიყვი.

* * *

როდესაც საკუთარ თავს დასცინი, ყველაზე ძნელია ტირილისგან თავის შეკავება.

* * *

განცხადება: „გვესაჭიროება მინერალური წყლების გამყიდველი თეთრეულის მაღაზიის წიგნების განყოფილებაში“.

* * *

– ექიმო, ჩემს ცოლს არ მოსწონს, რომ ვხვრინავ...
– ხვრინვა მოგაშოროთ თუ ცოლი?..

* * *

გარდამავალი ასაკი ისაა, როცა სიცხეში ვერ მიმხვდარხარ, რა უფრო გინდა: ნაყინი თუ ლუდი...

კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებლები
აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „მაქსიმუმში“. 95-11-92
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.